„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორვი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№2 (182)
თებერვალი
2014 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთთეძვსმეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

„ლიტერატურული მესხეთი“ – 15

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შემოქმედებით კოლექტივს

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს მწერალთა კავშირი გულმხურვალედ, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ თქვენთვის და ჩვენთვის, სრულიად საქართველოსთვის უძვირფასესი გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ დაარსების მე-15 წლისთავს.

ამ ხნის განმავლობაში „ლიტერატურულმა მესხეთმა“ მოახერხა ქცეულიყო ძალზე სერიოზულ და სოლიდურ გამოცემად, დაემსახურებინა საყოველთაო მოწონება, აღიარება და დაეკავებინა საპატიო ადგილი ქართულ ლიტერატურულ გამოცემებს შორის.

ჩვენმა საყვარელმა გაზეთმა თითქმის შეუძლებელი შესძლო, რადგანაც უარი თქვა ბოლო დროს დამკვიდრებულ იაფფასიან კლიშეებზე და ბოლომდე უერთგულა ათასსუთასწლოვანი ქართული მწერლობის სახელოვან ტრადიციებს.

„ლიტერატურულ მესხეთს“ გვერდს ვერ აუვლის საქართველოს ამ უმკაცრესი და, ამავე დროს, უმშვენიერესი კუთხის ვერც ერთი მკვლევარი, ვინც დაინტერესებულია მესხეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის შესწავლით.

„ლიტერატურული მესხეთის“ ღვაწლი კარგად მოეხსენება თანამედროვე საქართველოს. ამიტომაც გიხდით უღრმეს მადლობას გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს და, განსაკუთრებით კი, ბატონ ავთანდილ ბერიძეს, რომელიც სიზიფესავით შეეჭიდა უზარმაზარ ტვირთს, მოვალეობას, პასუხისმგებლობას იმ საშინელ, ნიჰილიზმითა და განუკითხაობით სავსე წლებში და იმავე სიზიფესაგან განსხვავებით შეუძლებელი შესძლო – თავის თანამოაზრეებთან ერთად შექმნა მესხეთის უძველესი კულტურული ტრადიციების საკადრისი ლიტერატურული ორგანო.

მტკიცედ გვწამს, რომ XXI საუკუნეშიც ლაღად იფრიალებს „ლიტერატურული მესხეთის“ ბაირაღი, როგორც რწმენის, ერთგულების, სათნოების სიმბოლო.

საქართველოს მწერალთა კავშირი

გაძლიერებას ვუსურვებ ჩემს საყვარელ გაზეთს

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ კარგახანია იქცა არამარტო ჩვენი დიდებული სამცხე-ჯავახეთის ლიტერატურული ცხოვრების ამსახველ, არამედ, სრულიად საქართველოს სამწერლო გაზეთად. დიდია მისი ავტორიტეტი. „ლიტერატურული მესხეთი“ ბეჭდავს არამარტო ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მსახურთა საუკეთესო ნააზრევს, არამედ ღრმაანალიზიან, სანდო, ავტორიტეტულ მეცნიერულ წერილებსაც.

მე, პირადად, აღფრთოვანებული ვარ, რომ საქართველოს ამ ძირძველი კუთხის გაზეთი, სადაც გენიალური რუსთაველი დაიბადა, ფეხდაფეხ მიჰყვება მთელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებას, ბეჭდავს საუკეთესო სტატიებს თვით რუსთაველზე, მრავალტანჯული სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეთნიკურ თავისებურებებზე, ამ კუთხის ისტორიულ ბედზე და ენათმეცნიერულ გამოკვლევებზეც, იმ დიდებულ წვლილზე, რაც მესხურმა დიალექტმა საერთო ქართული ენის შექმნა-ჩამოყალიბებაში, მისი ბალავარის განმტკიცებაში შეასრულა.

გაძლებას, გაძლიერებას ვუსურვებ ჩემს საყვარელ გაზეთს. დარწმუნებული ვარ, იგი მრავალჯერ თხუთმეტ წელს კიდევ მოითვლის ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნების უძნელეს გზაზე.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს „ლიტერატურული მესხეთის“ ირგვლივ შემოკრებილი რაზმი ქართველი მწერლებისა და მეცნიერებისა, განსაკუთრებით, ამ გაზეთის რედაქტორი, ნიჭიერი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ ბერიძე, რომელმაც საკუთარი მხრებით ზიდა გაზეთის გაცოცხლებისა და შენარჩუნების ილიასეული ტვირთი.

რევაზ მიშველაძე,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართული პროზის რაინდის ტიტულის მფლობელი.

,,ლიტერატურული მესხეთის“ მთავარ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს

ბატონო ავთანდილ,

,,ლიტერატურული მესხეთის“ მთელ შემოქმედებით კოლექტივს გულწრფელად ვულოცავ გაზეთის დაარსებიდან თხუთმეტი წლის გასვლას.

თხუთმეტი წელი არც თუ ისე მოკლე მანძილია, თუმცა მრავალწლიანობა წინ გელოდებათ და თქვენი თავკაცობით, გვჯერა, კიდევ უფრო მრავალი მკითხველი გეყოლებათ მომავალში.

ვის, თუ არა განათლებულ, წიგნის მოყვარულსა და ჟურნალ-გაზეთებზე უზომოდ შეყვარებულ ქართველ კაცს სჯერა იმისა, რომ პრესის მიზანი ძველებურად, ქვეყნის ან მისი შემადგენილი კუთხის მოსახლეობაზე მრავალფეროვანი ინფორმაცია-მასალების მიწოდებაა. თქმა არ უნდა, გაზეთი თუ სხვა პერიოდული გამოცემა, პირველყოვლისა, უნდა ასახავდეს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს და აკმაყოფილებდეს მათი გონებრივი და სოციალური ვითარების დონე-ხარისხს.

იქ, სადაც საზოგადოება ნაკლებად ინტერესდება ასეთი გამოცემებით, საქმე მთლად კარგად ვერაა და მომავალიც ბუნდოვანია. განა სადავოა ის ჭეშმარიტება, რომ ინტელექტისა და განათლების ამამაღლებელ საშუალებათა დაკნინება ცუდის ნიშანია?! რბილად იქნება ნათქვამი თუ ამაში გარკვეულწილად, მსოფლიოს მასშტაბით მეტისმეტად ფრთაშესხმულ საინფორმაციო საშუალებათა მოზღვავებას დავადანაშაულებთ მხოლოდ.

თქვენს დიდებულ შემოქმედებით კოლექტივს სისხლხორცეულად აქვს გათავისებული, რომ აუცილებელია ყველა ნომრიდან მკითხველს მიაწოდო ახალი სიტყვა-მოსაზრება და მასთან ერთად იმსჯელო, თორემ წარმატება განზე გადგება, რადგან ნათქვამის გამეორება მოსაბეზრებელი და უინტერესოა კიდეც.

სწორედ ამიტომ მახარებს ,,ლიტერატურული მესხეთის“ მიერ სახელოვნად განვლილი თხუთმეტი შესანიშნავი წელი.

უკან დატოვებულმა პერიოდმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ამ გამოცემამ ეროვნული საზოგადოების ფრიად დიდი ნაწილის ყურადღება მიიპყრო.

პირადად მე, ას წელს მიტანებული კაცი, ორმოცამდე პოეტური კრებულის ავტორი, ყოველთვის მოუთმენლად ველოდები „ლიტერატურული მესხეთის“ ახალი ნომრის სურნელთან შეხვედრას....

კიდევ ერთხელ გილოცავთ სახელოვან თარიღს და გისურვებთ ჩვენი სამშობლოს გამორჩეულად ძვირფასი და საამაყო კუთხის, მესხეთის თბილი ხალხის დიდ სიყვარულსა და გვერდში დგომას.

პატივისცემით,
თქვენი ვასილ გვეტაძე

„ხე ნაყოფით იცნობა“...

„ხე ნაყოფით იცნობა“ – უთქვამს წინაპარს. მართლაც რომ ასეა. გაზეთი კი თავისი დამოკიდებულებით მიმდინარე მოვლენებისა თუ წარსულის მიმართ, თავისი სწორი პოზიციით და მაღალი სულიერებით. ისიც იძენს სულსა და სიცოცხლეს გამოსვლის შემდეგ.

15 წლის წინათ დაბეჭდილი „ლიტერატურული მესხეთი“ ზუსტად ისევე მაღალი ღირებულებით იყო სავსე, როგორც დღევანდელი. გაზეთის თავკაცზე ბევრია დამოკიდებული და ავთანდილ ბერიძე რომ თავად არის საუკეთესო ქართული თვისებების მატარებელი კაცი, ეს გაზეთსაც ეტყობა.

15 წელი გასულა. 15 წელი კი ბევრია და არა ცოტა, ეს წლები გაზეთისთვის იყო სიახლის ძიების წლები და ამას მშვენივრად ახერხებდა გამომცემელთა, ჟურნალისტთა, ავტორთა ჯგუფი.

„ლიტერატურული მესხეთი“ ჩემი გაზეთია იმიტომ, რომ აქ ყოველთვის ვპოულობ იმას, რაც მაინტერესებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთის და მისი თავკაცის როლი „შოთაობის“ დღესასწაულის განახლებაში და ამ დღისთვის ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული ავტორების გამოვლენაში.

2010 წელს თავად გახლდით ამ კონკურსის გამარჯვებული და დღესაც, როცა ეს ამბავი მახსენდება, დიდი სითბოთი და მადლიერებით მევსება გული.

„ლიტერატურული მესხეთი“ კიდევ იმიტომ არის ჩემი გაზეთი, რომ ის ისევ მოიცავს მთელ საქართველოს, როგორც მესხეთს, არის საუკეთესო ეროვნული ტრადიციების წარმომჩენი და გამგრძელებელი.

იუბილეს გილოცავთ ძვირფასო კოლეგებო!

გისურვებთ თქვენც და თქვენს პირმშოსაც დიდხანს, ძალიან დიდხანს სიცოცხლეს საქართველოს საკეთილდღეოდ.

მარინა თეძთუმანიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, პოეტი

ღირსეული გაზეთი

,,ლიტერატურული მესხეთი“ თხუთმეტი წლისაა?! დაუჯერებელია! – ასე მგონია, იგი ჩემი ჭაბუკობისდროინდელი თანამგზავრია და სულ ხელიხელჩაკიდებულნი მოვდივართ!...

მე არ შემხვედრია მეორე ისეთი ქართული გაზეთი, რომელსაც მკითხველების შემოსაკრებად თუ მისატყუებლად ასე მოწამეობრივად გაეძლოს იაფფასიანი სენსაცია-სკანდალებისათვის, მხატვრულ ლიტერატურაში ასერიგად მომძლავრებული თავაწყვეტილი უხამსობისა და არაფრის მომცემი პოლიტიკანური ვნებათაღელვისთვის და მთელი თავისი ძვირფასი დრო, ადგილი და ენერგია უმწიკვლოდ მიეძღვნას ჯანსაღი ლიტერატურული პროცესების განვითარებისათვის, საქართველოს ყველაზე მრავალტანჯული და ყველა ჩვენთაგანისათვის საყვარელი კუთხის – მესხეთის წარსულისა და აწმყოს თანმიმდევრული გაშუქებისთვის, რაც ხელს უწყობს ერის მეხსიერების აფხაზებას და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების რთულ პროცესს...

აღტაცება-პატივისცემას იმსახურებს ამ საქმისათვის თავგადადებული რედაქტორისა და სარედაქციო საბჭოს წევრების მიერ მრავალფეროვანი თემატიკის ავტორებისა და სტატიათა შერჩევის განსაცვიფრებელი ალღო და სიფაქიზე: საუკუნეთა ჟამუღრანებში საქართველოს ამ მხარეში მიმდინარე ისტორიულ ქარიშხლებსა და უამინდობაზე ხშირად ისეთ-ისეთი მასალები ქვეყნდება, რომ მე თვითონ, პროფესიით ისტორიკოსს, მანამდე არცა მსმენოდა!.. ამიტომ ვიწამე: ბევრი წინდახედული მამულიშვილი ,,ლიტერატურულ მესხეთს“ არამარტო ყიდულობს, არამედ მის ნომრებს წლობით ინახავს, რათა ჩვენი გაუბედურებული სამშობლოს მომავალზე სჯა-ბაასისას, თუ საჭირო შეიქმნა, გაზეთის ესა თუ ის ნომერი გადმოიღოს და საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული რომელიმე მოვლენა ან ამბავი მოყვასსაც გაუთვალისწინოს, რათა ყველამ ვიცოდეთ -- რანაირი სატანჯველი გამოგვივლია და დღეს რა გვევალება!..

მე გულით მიყვარს არამარტო ეროვნული სულისკვეთების მატარებელი ,,ლიტერატურული მესხეთი“, არამედ თავისუფლების მოედანზე თვით ის ერთი ხელისდადება ადგილიც, სადაც თვეში ერთხელ მის შესაძენად მივიჩქარი ხოლმე!

ძვირფასო კოლეგებო, გულით გილოცავთ თხუთმეტი წლის ქერაქოჩრიანი მესხი ჭაბუკის დაბადების დღეს... გისურვებთ წარმატებებს!

თქვენი ერთ-ერთი
პატარა ავტორი და
დიდი გულშემატკივარი

ჯემალ მესხრიშვილი

ბირსტარი

გულწრფელად, გულახდილად და გულანთებულად რომ ვთქვა, ამ სიტყვის ამზიანება მიყვარს, როცა საჭიროა, – როცა ესადაგება, როცა ესურათხატება ასხივოსნებულ საქმეს. მაშ, სხვა რომელი სიტყვით ავაჩირაღდნო გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ამაგი და ღვაწლი... იგი, უკვე, 15 წელია ქართული სიტყვის ალამდარია სამხრეთ საქართველოში, დღეისათვის ერთ-ერთ, ყველაზე ურთულეს, ეთნიკურად მრავალეროვან რეგიონში.

„ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე აკიაფდა ჩემი ლექსებიც – მესხეთზე და კუმურდოზე.

ამ ალამდარს, ქართული ცივილიზაციის ნააკვნარზე, უდიდესი მისია აკისრია ჩვენი ეროვნული მუხტის, ცნობიერების გაღვივებისა და გათითოკაცებული ქართველების კონსოლიდაციისათვის.

ოდითგანვე, მესხეთის წინაშე ვალშია მთელი საქართველო: სიკეთის, სიდიადისა და სიყვარულისათვის.

უძველესი დროიდან, მესხეთი იყო კარიბჭე – შუმერულ-ეგვიპტური, ძველბერძნულ-ბიზანტიური და რომაული კულტურათა შემონათებისა, მტკიცე ბასტიონიც ბარბაროს მოლაშქრეთა წინააღმდეგ.

ამ მიწაზე დააბიჯებდა ვეფხვისტყავით იგავმიუწვდომელი და გენიალური რუსთაველი.

მესხეთია ჩვენი თავმოწონებისა და ჩვენი გმირული ისტორიის უკვდავი თავფურცელი.

ამ ფასდაუდებელ ღირებულებათა მემკვიდრეა „ლიტერატურული მესხეთი“, – აქაურ ქართველთა: სულიერი მესიტყვე, მაჯისცემაცა და გულის ფეთქვაც.

ეს მისია, კვლავაც, მთელი სისრულით უნდა გაისიგრძეგანოს 15 წლის იუბილარმა, – სახელოვანი წინაპრების ღირსების ალამი დაბლა არ დახაროს, XXI საუკუნის საკადრისად, ჭეშმარიტების გზით გაუძღვეს სამესხოს, – ჩვენი, ჯვარზე გაკრული საქართველოს გარდმოხსნის, გამთლიანებისა და აღორძინებისათვის.

გაზეთის საპატიო თარიღს და იუბილეს ვულოცავთ მესხეთის კალმოსანთა მთავარსარდალს ავთანდილ ბერიძესა და მის ლაშქარს, ბობოქარ საუკუნეში – მხნეობას, სიმტკიცეს, ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის თელავის განყოფილების სახელით,

ფარნაოზ რაინაული

იუბილეს გილოცავთ!

ძმაო ავთანდილ!

გულწრფელად გილოცავთ გაზეთ ,,ლიტერატურული მესხეთის“ დაარსების საიუბილეო თარიღს – 15 წლისთავს. განვლილი 15 წელი არა მარტო შემოქმედებითი თვალსაზრისითაა დასაფასებელი და ხაზგასასმელი, არამედ, უპირველესად, იმ დაუღალავი შრომის და პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულების თავდებიცაა, რითაც შეიძლება იამაყონ არა მარტო შენი ნიჭის თაყვანისმცემლებმა, არამედ, მთლიანად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის და სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობამ.

ფასდაუდებელია შენი შრომა და თავდადება იმ დიდი საქმისადმი, რასაც რეგიონში „ლიტერატურული გაზეთის“ გამოცემა ჰქვია.

პირადად ჩემთვის, შენი დიდი ხნის ნაცნობი კოლეგისათვის, კარგადაა ცნობილი თუ როგორი დაუღალავი შრომა ესაჭიროება თითოეული ნომრისათვის მასალების შეგროვებას, დამუშავებას, აწყობა-დაკაბადონებას, გაზეთის დაბეჭდვას და მერე მის გავრცელებას. ამიტომ ორმაგი პატივისცემით და სიამაყით განმაწყობს შენდამი.

ისიც კარგად ვიცი, როგორი ენთუზიაზმით ასრულებ ჟურნალისტის, გამომცემლის, რედაქტორის და, ბოლოს, გაზეთის გამავრცელებლის მოვალეობას, ამიტომ ვთვლი – ავთანდილ ბერიძის სახით ჩვენს ისტორიულ კუთხეს ჰყავს ერის დიდი მამულიშვილი. ნამდვილად გმირობის ტოლფასია შენი საქმიანობა. ვინც გაზეთის, ბეჭდური პროდუქციის ფასი იცის, ის ნამდვილად ასე იფიქრებს. ფასდაუდებელია შენი ღვაწლი, შრომა და რუდუნება ,,ლიტერატურული მესხეთის“ გამოცემის საქმეში.

ვაგლახ, რომ ჯერ კიდევ ბევრმა შემოსავლიანმა თუ ფულიანმა ბიზნესმენმა ვერ შეიგნო და ვერ გაითავისა თუ როგორ საშვილიშვილო საქმეს ემსახურება ხშირად ენთუზიაზმით გამომავალი გაზეთი – ,,ლიტერატურული მესხეთი“.

ის, რომ გაზეთის ყოველ ახალ ნომერს მოუთმენლად ელოდება მკითხველი, სწორედ მისი რედაქტორის, გაზეთის მცირერიცხოვანი კოლექტივის დამსახურებაა.

დღეგრძელობა და მზეგრძელობა არ მოკლებოდეს 15 წლის იუბილარ გაზეთს – ,,ლიტერატურულ მესხეთს“!

ჩემო ავთანდილ, კვლავაც ერთგულად და საქმის სიყვარულით ემსახურე შენს საყვარელ და მშობლიურ მხარეს.

ჟანგი არ მოკიდებოდეს შენს კალამს, კიდევ უფრო საინტერესო წერილებით გაახარე შენი ერთგული და უღალატო მკითხველი.

კიდევ ერთხელ გულწრფელად გილოცავთ გაზეთის იუბილეს და გისურვებ შემოქმედებით წარმატებებს.

პატივისცემით,

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქტორი,
ღირსების ორდენის კავალერი,
ბორჯომის საპატიო მოქალაქე

ჩემო ძვირფასებო! ,,ლიტერატურული მესხეთის“ სულისჩამდგმელებო!

ბედნიერი ვარ, რომ საიუბილეო თარიღის მოლოცვის შესაძლებლობა მომეცა. მართალია, 15 წელი სიყმაწვილის ასაკია ზოგადად, მაგრამ ,,ლიტერატურული მესხეთი“, ყველა საზომით, ისეთი ზნეობრივი, მორალური, ეთიკური და სულიერი პარამეტრების გაზეთია, როგორიც ყველა ნორმალურ, საქართველოს მომავალზე მოდარდე და მოჭირნახულე ქართველს სჭირდება. თითქმის ყველა ნომერი, რომელმაც ჩემამდე მოაღწია, გაჟღენთილია უფლის, სამშობლოსა და ადამიანისადმი ქრისტესმიერი სიყვარულით. წარსულის მდიდარი გამოცდილება ისეთი სითბოთი და ზომიერი დოზით მიეწოდება მკითხველს, რომ აწმყო, მართალია, მოუხელთებელია, მაგრამ წარსულსა და მომავალს შორის ისე მტკიცედ ნაგებ ხიდს სდებს, რომ მომდევნო ნომრის მოუთმენელი მოლოდინი გეუფლება... მენდეთ, ეს განცდა დღეს, ცხოვრების თავბრუდამხვევი, დაუნდობელი, დამაბნეველი რიტმისა და სიძულვილის ბაცილით მოწამლულ სამყაროში, დასაფასებელი და იშვიათია. ამისთვის დიდი მადლობა თქვენ, მადლობა იმ ადამიანებს, რომლებმაც 15 წლის წინ საფუძველი ჩაუყარეთ და ჩვენამდე სუფთად და ლამაზად მოგაქვთ ყველაფერი ის, რაც ასე ფასეულია ქართველი კაცისათვის ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც – ,,მამული, ენა, სარწმუნოება“!

ბატონო ავთანდილ! განსაკუთრებული მადლობა თქვენ, დაუცხრომელი სულის, მუხლჩაუხრელი შრომის, უამრავი კეთილი საქმისა და დიდი ადამიანური სითბოსთვის, რომელსაც უშურველად იმეტებთ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ნიჭიერი ადამიანებისადმი და უთმობთ თქვენი გაზეთის გვერდებს. არც მე მომკლებია თქვენი და თქვენებურთა სითბო და პატივისცემა, ,,ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე დაბეჭდვა თუ იუბილის მოლოცვა, მუდამ მიწვევთ არაჩვეულებრივ, მთელი საქართველოსათვის საყვარელ დღესასწაულზე – ,,შოთაობაზე“ და დიდი მგოსნის სახელობის დღისადმი მიძღვნილი ერთი ზეიმი ჩემთვისაც დღესასწაულად აქციეთ.

თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც ბათუმელი ნორჩი შემოქმედის – ნიკა ფუტკარაძის გვერდით დადექით და უფროსი მეგობრის ღირსეული დამოკიდებულებით შემოქმედებითი ფრთების გაშლაში წაეშველეთ. ამიტომაც უყვარხართ ნიკას განსაკუთრებულად და უამრავი მშვენიერი ლექსიც უძღვნა თქვენს მხარეს.

ჩემს წარმოსახვაში, ,ლიტერატურული მესხეთი“ მებადურსა ჰგავს, რომელიც ცხოვრების მღვრიე ტალღებში კალმახებისა და ორაგულების მოძიებას ცდილობს. მეთევზემ იცის, მძიმეა ბადე, მაგრამ ცდად ღირს, რადგან ეს მშვენიერი გაზეთიც და მისი მესვეურნიც, შთამომავლობის გადარჩენისათვის თავდაუზოგავი ორაგულებივით, აღმა მიარღვევენ მდინარეს, მართალი სიტყვა და შეულამაზებელი სიმართლე მიაქვთ მკითხველამდე, ამიტომაც გვიყვარხართ, ძვირფასებო!

მრავალჟამიერ ,,ლიტერატურულ მესხეთს“!

სიყვარულით, პატივისცემითა და დიდი მოკრძალებით,

გელა ქეგურია, *პოეტი*

„ლიტერატურული მესხეთი“ მთელ საქართველოში უნდა ერცელდებოდეს

მინდა, „ლიტერატურულ მესხეთს“ მივულოცო სახელოვანი იუბილე და სიტყვა რუსთველისკენ გამირბის, რაშიც, ალბათ, ასე ვთქვათ, დამნაშავე არის სიტყვა – მესხეთი. როგორ შეიძლება მესხეთი ახსენო, რა კონტექსტშიც არ უნდა იყოს ის და თვალწინ რუსთველის ლანდი არ დაგიდგეს, ანდა, პირიქით, რუსთველი ახსენო და მესხეთმა ჟრუანტლად არ დაგიაროს.

მსოფლიოს გენიოსები ფესვებით ან აღმოსავლური კულტურიდან მოდიან ან – დასავლური. ერთადერთია რუსათაველი, რომელიც სათავეს ორივედან იღებს.

ეს განასხვავებს ჩვენს რუსთველს ყველასგან, აი, ეს ხდის მის შემოქმედებას უნიკალურს.

XII საუკუნემდე ქართული ლიტერატურა სასულიერო ხასიათისა იყო. XII საუკუნეში კი, არა მარტო ქართულ, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროს ლიტერატურაში, „ვეფხისტყაოსნის“ სახით, მოულოდნელად, ამოიფრქვა საერო მწერლობის ვულკანი, რაც დღეს მსოფლიოში ქართულ რენესანსად არის აღიარებული და, რითაც რამდენიმე საუკუნით ვუსწრებთ ევროპულ რენესანსს.

ამაყობს მთელი საქართველო თავისი სახელოვანი შვილით – რუსთველით, მაგრამ, ბუნებრივად, განსაკუთრებით, ამაყობენ ამ სახელით მესხები.

ორიოდე წლის წინ ირანში გახლდით, X საუკუნის დიდი ირანელი პოეტის ფირდოუსისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც ტარდებოდა სისთან-ბელუჩისთანის უნივერსიტეტში. როდესაც უმაღლესი სასწავლებლის კარებს მივადექით და ავტობუსიდან ჩამოვედით, საზეიმო განწყობით, შემოგვეგებნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ამ დროს ერთ-ერთი გოგონა გამოეყო თანატოლებს, გაბრწყინებული სახით ჩემკენ გამოექანა და მახარა – მე სისთანელი, ვარ – როსტომის შვილიშვილი, როსტომი ჩემი ბაბუა იყოო!

დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ როსტომში ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ მთავარი მოქმედი მითოლოგიური გმირი, როსტომი იგულისხმებოდა, რომელიც წარმოშობით სისთანელი იყო.

– დიახ, როსტომი ყველა ირანელის ბაბუაა-მეთქი, განვაზოგადე ვითომ. – არა, როსტომი ჩემი ბაბუაა, მე როსტომის შვილიშვილი ვარ, მე სისთანელი ვარო! – გამიმეორა ანთებული სახით გოგონამ.

– სხვა გზა არ იყო და დავამშვიდე აღელვებული გოგონა – დიახ, შენ ნამდვილად როსტომის შვილიშვილი ხარ, როსტომი შენი ბაბუა იყო-მეთქი.

თუ იმ ირანელ გოგონას, და, მასთან ერთად, სისთანელებს, სჯერათ, რომ როსტომი მათი ბაბუაა, რა გასაკვირია, მესხელ გოგონებსა და ბიჭუნებს სჯეროდეთ, რომ ტარიელი, ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი... მათი ბაბუები და ბებიები არიან.

დიახაც, ეს ასედაც სჯერათ მათ.

მე კი ასე მჯერა, რომ, თითქოს, ამ მიმართულებით მათი მომავლის გასხივოსნებისთვის დაბადებულიყოს „ლიტერატურული მესხეთი“...

სად არის იმის ფუფუნება, თორემ, „ლიტერატურული მესხეთი“ უნდა ვრცელდებოდეს მთელ საქართველოში.

სხვათა შორის, ირანი ვახსენეთ და მის დედაქალაქში ქვეყნის ყველა სამხარეო გაზეთი ყველასთვის ხელმისაწვდომია.

მადლობა გაზეთის რედაქტორს, შესანიშნავ პოეტსა და პიროვნებას, ავთანდილ ბერიძეს, გაზეთის ყველა მუშაკს, იმ სამსახურის გამო, რასაც ისინი, მისი ყოველი ნომრის გამოცემით, უწევენ სამშობლოს.

ნომადი გართაია,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოეტი და მთარგმნელი

ვულოცავ იუბილეს გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“

საქართველოში არ მეგულება გაზეთი, რომელსაც იმხელა პასუხისმგებლობა ჰქონდეს დაკისრებული მშობლიური ერის და მწერლობის წინაშე, როგორიც აქვს გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“. ჩემი აზრით, ამ ეროვნულ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს ორი გარემოება: პირველი და უმთავრესი ის არის, რომ იგი რუსთაველის მშობლიურ მხარეს წარმოაჩენს, ეს კი განუზომელ ფუნქციას აკისრებს არამარტო მის რედაქციას, არამედ, მთელი მესხეთის ლიტერატურულ ელიტას. ისინი ღვთისა და ერის წინაშე ვალდებულნი არიან გენიალური თანამემამულის ტრადიცია ღირსეულად გააგრძელონ. ეს კი იოლი არ არის, რადგან პოეზიის ღმერთი მარად უკვდავია და ეს უკვდავება საუკუნეებს სწვდება და თავის ფრთებქვეშ ითავსებს ყველა დროის პოეტურ მუზას, პოეზიას. შეიძლება ითქვას, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ თავისი თხუთმეტწლიანი არსებობის მანძილზე ცდილობს მხატვრულ სიტყვაში განასხეულოს დიდი თანამემამულის ეს მხარე. ამას მოწმობს მის გვერდებზე გამოქვეყნებული პოეზიის, პროზის და მესხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

მეორე გარემოება, რომელიც ზრდის გაზეთის პასუხისმგებლობას, არის ის, რომ იგი გამოდის ეთნიკური თვალსაზრისით ერთ-ერთ ურთულეს რეგიონში. აქაც მოწოდების სიმაღლეზეა გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“. საქართველოს, კერძოდ, მესხეთის მიმართ ზოგიერთი არაკეთილმოსურნე მეცნიერის თუ პოლიტიკოსის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს აძლევს სათანადო და ტაქტიან პასუხს.

ამ გაზეთის შესახებ კიდევ ბევრი კეთილი სიტყვის თქმა შეიძლება, მაგრამ ახლა ეს ვიკმაროთ.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციას ვულოცავ საიუბილეო თარიღს – არსებობის სახელოვან თხუთმეტ წელს!

რედაქტორს, – ავთანდილ ბერიძეს, – ნიჭიერ პოეტს და პუბლიცისტს კი ვუსურვებ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

პატივისცემით,

***გონდო არველაძე**, არმენოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

* * *

გაზეთ ,,ლიტერატულურული მესხეთის'' რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს და ეროვნული სულით გაჟღენთილ მთელ სარედაქციო საბჭოს მოგესალმებით და დიდი სიხარულით გილოცავთ ამ, მართლაც და მამულიშვილური გაზეთის (ქართული კულტურის ერთ-ერთი თბილი და ღირსეული კერის) დაარსებიდან თხუთმეტი წლისთვის...

გისურვებთ, სამშობლოს საკეთილდღეოდ მოღვაწეობის ჟამს არასდროს დაგჩლუნგდებოდეთ კალამი.

გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი:
ეთერ ზარიძე, დალი ყარაულაშვილი, ძეთევან დოლიძე, თამარ ფარჩუკიძე, ამირან ჯმუხაძე, მერაბ სადღოგელაშვილი, რევაზ აბზიანიძე

* * *

გაზეთ ,,ლიტერატულურული მესხეთი“-ს რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერაძეს, სარედაქციო საბჭოს და მკითხველებს გულითადად ვულოცავთ მისი დაარსებისა და მოღვაწეობის თხუთმეტი წლისთავს.

„ლიტერატურულმა მესხეთმა" დიდი ამაგი დასდო ეროვნული სულიერების ამაღლებას. მას გზას უნათებდა, გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, – ,,სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი მზის მხურვალება გარს რომ ავლია".....

ვუსურვებთ, არასდროს განელებულიყოს ეს გრძნობა და მხურვალება.

საყმაწვილო გაზეთის – ,,ციცინათელა"-ს რედაქტორ-გამომცემელი აკაკი ბრეგაძე

გილოცავთ!

გასული საუკუნის 90-იან წლებში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, კერძოდ, საბჭოთა იმპერიის რღვევამ და სიკვდილმა, განსაკუთრებული დაღი დაასვა ადამიანის სულიერ ცხოვრებას.

სხვადასხვა სახის ღირებულებათა გადაფასებამ და დამკვიდრებულმა ქაოსმა, ერთგვარად, ქართული სიტყვაც გააუფასურა, რამაც გამოიწვია ფსევდომწერლების, ფსევდოლიტერატურის და ფსევდომასმედიის სოკოებივით მომრავლება.

სწორედ ასეთი განუკითხაობისა და ქაოსის პერიოდში დაიბადა ქართული კულტურის ერთ-ერთ ფორცენტრში, ქართველი კაცისა და სრულიად საქართველოს სინდის-ნამუსის „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის – შოთა რუსთაველის მშობლიურ კუთხეში –მესხეთში, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, რომელიც, აგერ უკვე თხუთმეტი წელიწადია თავისი მყარი და გაუბზარავი ხმით ამცნობს სრულიად საქართველოს აქაური, და არა მარტო აქაური, კაცის სულის ყივილს, გულის ნადებს, ტკივილსა და სიხარულს.

„ლიტერატურული მესხეთი“ იმ ფასდაუდებელი ტრადიციებისა და მეტად საჭირო ნოვაციის ჰარმონიითაა გაჯერებულ-გაზავებული, როგორიც გუშინდელ, დღევანდელ და ხვალინდელ საქართველოს სჭირდება ჰაერივით.

აჭარაში გამომავალი სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი „ჭოროხი“ გულწრფელად ულოცავს „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციას, მის თავკაცს, პოეტს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს ამ ლამაზ იუბილეს.

სანდრო ბერიძე,
ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი

მოვალეობამიერ!

გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“ 15 წელი შეუსრულდა. ეს სიჭაბუკის პერიოდია, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, იგი დიდი ხანია გამოსულია სიჭაბუკის ხანიდან და უკვე დაბრძენებული, მე ვიტყოდი, დამაჯერებელი ნაბიჯით წინ მიიწევს. ბარაქალა მათ, ვინც იგი ამქვეყნად მოავლინა, ვინც ძუძუ აწოვა და აკვანი ურწია იმ გაჭირვების ჟამს, როცა გაზეთი გამოვიდა იმ სივრცეში. შიმშილისა და სიცივის პერიოდში იგი იყო მესხთა სულიერი საზრდო და ანთებული კვარივით გულში ცეცხლს უნთებდა ახალგაზრდებს, რომ გაეთბო და მაშვრალისთვის ჭისკენ მიმავალი გზა გაეკვალა. ბარაქალა იმ ვაჟკაცებს, ვინც ქედი შეაშველა და მთელი ის სიმძიმე თავის თავზე აიღო, რომ გაზეთი დღემდე მოსულიყო, ზრუნვა არ მოაკლო, რომ მესხთა გულის წადილი გამოემზეურებინა. მე ჩემი მოკრძალებული, რამდენიმე მოთხრობა გამოვაქვეყნე ამ გაზეთში, სადაც ჩემი წინაპრების სათქმელი გაზეთის ენით ვთქვი და მათი ვარამი ზიარად დავუდევი ფეხშუმზე მომავალ თაობას, რათა წარსული არ დაავიწყდეს და ეს ვარამი საგზლად წაიღოს, ვიდრე მომავლით ვახშმად დაჯდებოდეს.

ვულოცავ გაზეთის რედაქტორს და მთელ სარედაქციო საბჭოს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. ვუსურვებ წარმატებებს, შემოქმედებით წინსვლას და გამარჯვებას.

ზელიმხან მაღრაძე

* * *

თვიდან თვემდე მოუთმენლად ველოდებით ახალი ნომრის გამოსვლას და აი ამ ლოდინ-გამოსვლის სიხარულში თხუთმეტი წელიც გასულა...

ღმერთმა უთვალავჯერ თხუთმეტად აქციოს ეს თხუთმეტი წელი.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციას და მის რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს გულითადად ვულოცავთ გაზეთის თხუთმეტი წლისთავს და ვუსურვებთ მხნეობას ამ მართლაც და მამულიშვილურ საქმიანობაში.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის კოლექტივის და ერთგული მკითხველების სახელით,
*ბიბლიოთეკის დირექტორი **ციალა კალმახელიძე**.*



წმინდანები

უდიდესი წმინდა ღვთისმეტყველი მღვდელმთავრები

ქრისტიანული მართლმადიდებლური საოციქულო ეკლესია ყოველწლიურად – 12 თებერვალს, განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს უდიდესი წმინდა მღვდელმთავრების: ვასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ხსენების დღეს.

ყოვლად უზენაესი ძალის განგებით, ამ სამი უბრწყინვალესი მღვდელმსახურის ცხოვრება და მოღვაწეობა თითქმის ემთხვევა ერთსა და იმავე ისტორიულ ხანას. საფიქრებელია, სწორედ ამიტომაც, მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლთა გადაწყვეტილებით, მართებულად იქნა მიჩნეული მათი ხსენების დღესასწაულის ერთ თარიღში გაერთიანება.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღემდე შექმნილ უამრავ ხატში სამივე ერთადაა წარმოჩენილი. მიმაჩნია, ესეც, ყოვლადწმინდა სამების სამსახოვანებისა და განუყოფლობის მსგავსად, შინაარსობრივად, კაცობრიობას ამ დიდებული წმინდანების ერთობლიობაზე მიგვანიშნებს.

ძვირფასო მკითხველო, ახლა კი მოკლედ ვისაუბროთ თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე.

ვასილი (გასილი) დიდი. წმინდა ვასილი დიდი დაიბადა 330 წელს კაბადოკიაში. სწავლა-განათლება კესარიაში, კონსტანტინოპოლსა და ათინაში მიიღო. ამის შემდეგ, საკუთარი დის – წმინდა მაკრინას რჩევით, დიდი მონდომებითა და გულისყურით შეისწავლა საღვთო წერილის წიგნები, მოიარა მრავალი უდაბნო და ძირფესვიანად გაეცნო მონაზონთა ცხოვრებას. მანვე ააშენა ბევრი მონასტერი და, რაც მთავარია, მეუდაბნოეთათვის შეადგინა კანონი.

მისი მოღვაწეობის პერიოდში გავრცელებული იყო არიოსის ცრუ სწავლება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მართლმადიდელობას. სწორედ ამიტომ, კესარიის იმდროინდელმა მთავარეპისკოპოსმა – ევსევმა, უდაბნოდან დაბრუნება სთხოვა წმინდა ვასილს და საკუთარი სურვილით, თავისი საკარძელიც კი დაუთმო.

ქვეყნის მაშინდელი იმპერატორი ვალენტი არიოსის მიმდევარი და მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი იყო. მან ცრუ სწავლების გავრცელება მიანდო მთავარმართებელ მოდესტს, რომელიც ყოველმხრივ შეუზღუდავი უფლებებით აღჭურვა სწორედ იმ მიზნით, რომ როგორმე მოედრიკათ დიდი წმინდანი და გაენადგურებინათ მართლმადიდებლობა.

მოდესტმა დაიბარა მღვდელმთავარი ვასილი და მოღვაწეობის შეწყვეტა ურჩია, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ქვეყანაში გადასახლებითა და მოკვლითაც კი დაემუქრა, რაზედაც ასეთი გულგრილი და ამაყი პასუხი მიიღო:

– „ის არ კარგავს ქონებას, ვისაც არა აქვს რა, გარდა ამა ძაძისა და ცოტა წიგნებისა, რომელნიც შეადგენენ მთელ ჩემს სიმდიდრეს; სხვა ქვეყანას გაგზავნა მე არ მაშინებს, იმიტომ რომ ყოველი ქვეყანა ღვთისაა; წვალება რაღას მიქმს მე? სიკვდილიც ჩემთვის სიკეთეა, იმიტომ რომ ის მალე მიმიყვანს მე ღმერთთან, რომლისთვისაც მე ვცხოვრობ“.

ამის გამგონე მოდესტმა, იმპერატორ ვალენტისთან სიტყვა-სიტყვით მიიტანა წმინდა ვასილის წარმოთქმული და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სულ სხვა სურათის მომსწრე შეიქმნა. იმპერატორი ღრმა პატივისცემით განიმსჭვალა წმინდანის მიმართ და სასწრაფოდ გასცა განკარგულება თავი დაენებებიათ მისი დევნისათვის.

წმინდა ვასილი დიდმა მთელი თავისი ცხოვრება ქრისტესადმი უანგარო მსახურებასა და ღარიბ-ღატაკების თანადგომაში განვლო. მანვე დიდ განძად დაგვიტოვა უბრწყინვალესი ქადაგებანი და შეადგინა წირვა, რომელსაც დღესაც იყენებს მართლმადიდებელი ეკლესია.

წმინდა ვასილი დიდი გარდაიცვალა 379 წელს.

დასასრული 6 გვ. ▶

ბონდო არველაძე

„ყოველი პატარა ერი, რომელიც ებრძვის თავის მოძალადეს და მოწინააღმდეგს, უფრო მეტს იგებს, ვიდრე როდესაც შეურიგდება და წაუწვება დამპყრობელს“.

რევაზ გაბაშვილი,
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი

რევაზ გაბაშვილის

ცნობილ ჟურნალისტთან, – ბატონ ივანე ჯაფარიძესთან საუბარში გავიგე, ამერიკაში, კერძოდ, ნიუ-იორკში მოღვაწეობს ციცინო ჯერვალიძე, რომელიც ქართველ ემიგრანტთა მემუარებს და ეპისტოლურ მემკვიდრეობას მოვლა-პატრონობას უწევს. ორიოდე წლის წინ გამოუცია ქართველი ემიგრანტის – ლევან ზურაბიშვილის მოგონებები. ამჯერად კი ქართველ მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა რევაზ გაბაშვილის წერილების კრებული. მას ეს წერილები წლების განმავლობაში პარიზიდან მიუწერია ვაშინგტონში მცხოვრებ 96 წლის ქართული ემიგრაციის მეორე თაობის წარმომადგენელ ბ-ნ პეტრე ხვედელიძისათვის.

რევაზ გაბაშვილს რაც შეეხება, მისი ბიოგრაფიული მონაცემები ასე გამოიყურება; ცნობილი ქართველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი დაბადებულა 1882 წლის 6 ნოემბერს. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია 1902 წელს დაუმთავრებია. შემდეგ სწავლა გაუგრძელებია ბელგიაში – ქალაქ ლიეჟის მონტეფიორეს სახელობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში (1902-1905წწ). საქართველოს განთავისუფლების რწმენით შესულა საქართველოს სოციალ-ფედერალისტურ პარტიაში. ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით იგონებს: ამ წლებში მარტო ორი პარტია იყო – სოციალ-დემოკრატების, მაგრამ მათ პროგრამაში ეროვნული საკითხი არ ჰქონდათო. მეორე იყო სოციალ-ფედერალისტური, რომელიც, ასე თუ ისე, საქართველოს ავტონომიის მომხრეები იყვნენ და ამიტომ ამ პარტიაში შევედიო.

რევაზ გაბაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, ილია რომ მოკლეს. ქართველმა სტუდენტობამ სამძიმრის დეპეშა გამოგზავნა. ერთ-ერთმა პირველმა მან მოაწერა ხელი. სამძიმარს ხელი არ მოაწერეს მარტო სოციალ-დემოკრატებმა. მათ მხარდაჭერა გამოუცხადეს თავიანთ ლიდერს – ნოე ჟორდანიას. მან კი ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გაამართლა და ასე შეაფასა: „როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივაო„!

ილია თუ ნაფოტი იყო, თვითონ ნეტავ რას წარმოადგენდა – სოციალ-დემოკრატული ყალბი იდეებით ტვინგადაბრუნებული ჟორდანია!

მივყვეთ პირველ სიტყვას: 1911-1912-1917 წლებში ჩატარდა სოციალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების და დაშნაკთა პარტიების კრება. ამ კრებაზე დაშნაკებმა დააყენეს სასაზღვრო-ტერიტორიალური საკითხი: მათ მოითხოვეს – ტერიტორიული გამიჯვნა საქართველოს და სომხეთს შორის მომხდარიყო რეალური მოსახლეობის პრინციპით. ეს კი ნიშნავდა– ჯავახეთი და ქვემო ქართლი სომხეთს უნდა დარჩენოდა. ამ მოთხოვნას დაეთანხმა სოციალ-დემოკრატები და, სამწუხაროდ, სოციალ-ფედერალისტებიც. ამის გამო რევაზ გაბაშვილი გამოვიდა სოციალ-ფედერალისტების პარტიიდან და შევიდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. ამ პარტიას ჰქონდა საკუთარი ორგანო – ჟურნალი „კლდე“. რედაქტორი იყო რევაზ გაბაშვილი, პარტიის იდეოლოგიას ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები ედო საფუძვლად.

აღნიშნული მიზეზის გამო სოციალ-ფედერალისტური პარტია დატოვა აგრეთვე მიხეილ ჯავახიშვილმა და შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში.

რევაზ გაბაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და პარლამენტის დეპუტატი იყო (1918).

წითელმა ეშმამ, როცა მე-11 არმია შემოუსია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რევაზ



გაბაშვილი იუნკრების მხარდამხარ იბრძოდა კოჯორთან. ამ ბრძოლაში დაეღუპა საყვარელი დისშვილი – მარო მაყაშვილი. ქართული ჯარი მამაცურად ებრძოდა შემოსეულ მტერს. ბოროტმა ძალამ იმძლავრა. გათენდა ტრაგიკული 25 თებერვალი. დათალხული თბილისი თვალცრემლიანი უყურებდა გამარჯვებულ ეშმაკეულთა ზეიმს. ხალხის ეს მწუხარება მოგვიანებით პოეტურ სტრიქონებად გადმოიღვარა:

„თოვდა და თბილისს
ეხურა თალხი,
დუმდა სიონი და
დუმდა ხალხი...
თეთრ ცხენზე მჯდარი,
ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილის
ცელი“!

რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო რეზო გაბაშვილისათვის წითელი მთავრობა და ამიტომ სტოვებს სამშობლოს, საყვარელ ოჯახს და მიდის ემიგრაციაში. ჯერ სტამბოლშია, 1924 წელს გადადის პარიზში და უერთდება ქართველ ემიგრაციას. ეკონომიურად არ ულხინს, ზოგჯერ მარკის ფულიც არ აქვს, წერილი რომ გაგზავნოს. მაგრამ მაინც აქტიურად თანამშრომლობს ქართულ ემიგრაციულ პერიოდიკაში: „დამოუკიდებელი საქართველო“, „სამშობლოსათვის“, „კავკასიონი“, „მამულიშვილი“, „სამშობლო“, „საქართველოს დამოუკიდებლობა“, „ქართული აზრი“, „კრებული“, „Кавказ“ და სხვ.

რევაზ გაბაშვილის პიროვნული დამახასიათებელი შტრიხი: სამოცი წლის ასაკში (1942-1944 წლებში), საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში მოინდომა იარაღით ებრძოლა, მაგრამ ასაკის გამო, უარი უთხრეს. ამის მიუხედავად, ფარხმალი არ დაუყრია. ჩაუჯდა გერმანულ ენას, მოკლე ხანში შეისწავლა, დააარსა ქართველ ტყვეთა დახმარების კომიტეტი და თანამემამულეებს ეხმარებოდა სურსათით და ტანსაცმლით.

ვინ იცის, რამდენი ქართველის სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილს.

აქვე მსურს აღვნიშნო, – რევაზ გაბაშვილი ფართოდ განათლებული პიროვნება გახლდათ, გამორჩეული იყო იმითაც, რომ ათ უცხო ენას სრულყოფილად ფლობდა.

მისი პირადი არქივი 1943 წლის 1 მარტს ინგლისის მიერ საავიაციო დაბომბვის დროს განადგურდა. 1944-1947 წლებში ცხოვრობს ავსტრიაში, ქალაქ ზალოცბურგში. 1947 წლის შემოდგომაზე ბრუნდება პარიზში და ენიშნება მოხუცებულობის პენსია. ამ ხანებში ქართული ემიგრაცია პარიზში ორად გაიყო:

1. „ეროვნული საბჭო“ (თავმჯდომარე ნ.ჟორდანია);

2. „ეროვნული ცენტრი“ – (საპატიო თავმჯდომარე, გენერალი გ. კვინიტაძე; თანათავმჯდომარე – რევაზ გაბაშვილი).

საბჭოთა მთავრობამ ვერ მოინელა რევაზ გაბაშვილის მიერ მის წინააღმდეგ შეურიგებელი, აგრესიული ბრძოლა და შური იძია იმით, რომ 1951 წლის 25 დეკემბერს, ყაზახისტანში, წითელი ქვიშის უდაბნოში, უვადოდ გადაასახლა 25.000 ქართველთან ერთად მისი მეუღლე მარიამ ცისკარიშვილი და შვილები – გურამი და ციალა. ისინი სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში. გურამი იყო ცნობილი არქიტექტორი, ციალა კი – ხელოვნებათმცოდნე. გურამმა, ორმოცდაათწლიანი განშორების შემდეგ, 1966 წელს მოინახულა მამა პარიზში, ციალა კი 1968 წელს შეხვდა.

მარიამ ცისკარიშვილმა, ამ კეთილშობილმა ქართველმა მანდილოსანმა, შვილებს მამის პატივისცემა და სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაუნერგა და ღირსეულ ქართველებად გაზარდა. მარიამ ცისკარიშვილი გარდაიცვალა 1970 წელს.

რევაზ გაბაშვილისათვის ემიგრანტის მძიმე ყოფის შემსუბუქებას, ოჯახური წვრილმანებისაგან განთავისუფლებას ცდილობდა და ერთგულად ედგა გვერდში მისი ცხოვრების თანამგზავრი – ქ-ნი ლიზა ყიფიანი. იგი გარდაიცვალა 1963 წელს პარიზში.

ციცინო ჯერვალიძის სანაქებოდ უნდა ითქვას, კარგად მოიქცა, რომ კრებულში შეიტანა ლიზა ყიფიანის მიერ გაგზავნილი წერილები შალვა ამირეჯიბის, პეტრე ხვედელიძის და სხვათა მიმართ. მსურს მოვიტანო ამონარიდი ქ-ნ ლიზა ყიფიანის ერთ-ერთი წერილიდან:

„დღეს ჩემი დაბადების დღეა, გაზაფხული მე მომიყვანია...

ქრისტე აღსდგა! ვისურვებდი აღსდგეს ჩვენი საყვარელი სამშობლო, მე კი ვერას მოვესწრები ან და აწ ჩემ სამშობლოს რაში გამოვადგები და ან ჩემს ახლობლებს. თქვენ კი გისურვებდით აღდგომა სამშობლოში გეზეიმოთ...„

ამ სევდიან სიტყვაში კარგად ჩანს ქართველ ემიგრანტთა საუკეთესო ოცნება: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

ქ-ნი ლიზა ყიფიანი, პარიზში სოროსოდენა ოთახში გამოკეტილი, ქმარზე უფრო მეტს ფიქრობს და ზრუნავს, ვიდრე საკუთარ თავზე: ხეირიანი კოსტიუმიც კი არა აქვს რევაზ გაბაშვილს – **„სულ ჩაუცმელია, აქაც გული მისკდება, როგორ კოსტიუმში და ფეხსაცმელში დადის, მაგრამ საშუალება არ არის“**, – შესჩივის შალვა ამირეჯიბს.

ქ-ნ ლიზა ყიფიანის წერილებში მკაფიოდ ჩანს ქართველ ემიგრანტთა გამწარებული ყოფა-ცხოვრება, მაგრამ უმეტესობა სულით არ დაცემულა, არ გატეხილა და დამოუკიდებელ საქართველოს ოცნებაში დალია სული.

აქვე მსურს მივმართო ქუთაისის საზოგადოებას – ვინაიდან ლიზა ყიფიანი დაბადებულა ქუთაისში (1892 წ.), იქნებ ვინმეს ჰქონდეს მის შესახებ რაიმე ინფორმაცია და გთხოვთ, მიაწოდოს იგი გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციას.

რევაზ გაბაშვილის წერილები გამართულ ლიტერატურულ ენაზეა დაწერილი, რასაც ვერ ვიტყვი ბევრი ემიგრანტის ქართულზე. ამ საკმაოდ მრავალრიცხოვან წერილებში იკვეთება რევაზ გაბაშვილის პოლიტიკური კრედო, ეროვნული სულისკვეთება და შემართება, – მისი გონება და ფიქრი საქართველოს დასტრიალებს.

1957 წლის 8 იანვარს ბ-ნ პეტრე ხვედელიძისადმი გაგზავნილ წერილში წერს: **„არა რცხვენია ამერიკის პრეზიდენტს ეიზენჰაუერს, რუსებს ეგრე ელოლიავება? მაგასაც ხომ თვალს არ უჭრელებს რუსული „ოტკა“ და ხიზილალა? აუხსენი, რომ საუკეთესო არაყი ქართული ჭაჭისაგან კეთდება. იმ – დაწყევლილ რუსეთს, ხიზილალა, ჩვენი კასპიის ზღვიდანა აქვს ნაღებული ავაზაკურად... თუ დასანგრევ რუსეთს ომს აუტეხს, ღმერთი არ გაუწყრეს და შეტევა კავკასიიდან არ დაიწყოს, ჩვენი ტურფა ქვეყანა ატომის ყუმბარებით არ დაანგრიოს, თორემ ღმერთი არ უყაბულებს და აღარც დალესის „სახარების კითხვა რუსის მგლის თავზედ გამოადგება“.**

ბ-ნ პეტრე ხვედელიძისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში რევაზ გაბაშვილი გადახედავს რა განვლილი ცხოვრების გზას, ერთგვარი სინანულით წერს: **„მე საქართველოს შევალიე მთელი ცხოვრება და „ნივთიერებას“ ყურადღებას არ ვაქცევდი. თურმე, დიდი სისულელე ყოფილა, რადგან ვხედავ, ასჯერ მეტის გაკეთებას შევძლებდი სიმდიდრე რომ შემეძინა, რისაც ათასჯერ მქონია საშუალება“.** ეს ამ გულქართველი კაცის წუთიერი სინანულია, კაცისა, რომელიც, რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა და აკეთებდა კიდეც. იგი უანგაროდ იბრძოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. სხვანაირი საქართველო ვერ წარმოედგინა. ამიტომ ვერაფრით ვერ ეწყობოდა ყოველგვარ ეროვნულ გრძნობას მოკლებულ სოციალ-დემოკრატებს. ბ-ნ პეტრე ხვედელიძეს ერთ წერილში შესჩივის: **„აქ ახალი არაფერია, გარდა გრიშკა ურუტაძის უმსგავსო და მოღალატური წიგნებისა და კოლონიის თავმჯდომრის არჩევნების ორომტრიალისა. ცხრაჯერ შეგვითანხმდნენ მენშევიკები და ცხრაჯერვე შეგვიშალნენ. ამისთანა უსინდისო ხალხი იშვიათი საპოვნელია. იქ ქვეყანა გაძარცვეს, დაღუპეს და აქაც ისე მოაქვთ თავი, თითქოს გაეკეთებინოთ რამე და გაემარჯვნოთ“.**

ამ სიტყვებში ვინმემ შეიძლება პარტიული დაპირისპირება დაინახოს, მაგრამ, ვფიქრობ, რევაზ გაბაშვილი ყოველგვარ ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა იდგა. იგი სიმართლეს ამბობს – მენშევიკების საშინაო და საგარეო პოლიტიკა ამას მოწმობდა.

1957 წლით დათარიღებულ წერილში ხანდაზმული – 75 წლის რევაზ გაბაშვილი საკუთარ თავს ასე ახასიათებს: **„ყველაზე ძნელად ვიტან ადამიანთა უსინდისობას ახალგაზრდობიდან. ერთი, როგორც ეტყობა, მცდარი წარმოდგენა მქონდა, რომ ადამიანი, უნდა უნაკლო იყოს (ასეთები არ არსებობენ) და ყველას და ჩემ თავსაც ამას ვთხოვდი. ამიტომ იყო, ვერავისთან ვერ ვრიგდებოდი, ყველასთან „ოპოზიციაში“ ვიყავი და მეგობართან უფრო, ვიდრე მტერთან, რადგან, რაც უფრო მახლობელი იყო ჩემთან ვინმე, იმდენად მეტ მსხვერპლსა და სიქველეს მოვითხოვდი... „მტერსა და მოყვარეს შენ ერთნაირად**

→

წერილები

ღანძღავო“, – მეტყოდა ხოლმე ჩემი „სუსტი“ ხასიათის გამო მეგობარი შალვა ამირეჯიბი. – არა, ჩემო შალვა, მტერს ხეირიანი რა მოვთხოვო, მტერს მტრულად ვებრძვიმეთქი და მეგობარს, მახლობელს, ძმას და შვილს როგორ ვაპატიებ ან მოუთმენ საზოგადოების და ქვეყნის წინაშე ან სისუსტეს და სრულად თავის არ განწირვას“.

აქ ჩანს მისი ხასიათი – მეგობრისგან, მახლობლისგან მოითხოვდა სამშობლოს სიყვარულის რეალურ საქმედ ქცევას. იმას, რასაც სხვისგან მოითხოვდა, პირველ რიგში, თვითონ აკეთებდა უანგაროდ და უკომპრომისოდ.

რევაზ გაბაშვილი არაერთხელ უბრუნდება სოციალ-დემოკრატებს და დაშნაკებს შორის „რეალური მოსახლეობის პრინციპით“ ტერიტორიალური დაყოფის შეთანხმებას და მას მოღალატურს უწოდებს. მის გახმაურებულ წიგნში „რაც მახსოვს“, ხაზგასმით აღნიშნავს: **„ფუქსავატობა და სიყალბე ყორდანიასი იმაშია, რომ სომხებთან ომის მიზეზებს რასაც მიაწერს, სინამდვილეში მისი საკუთარი, 1917 წელს წაკითხული მოხსენების შინაარსი იყო ბელინსკის ქუჩაზე №2-ში, საცა ის თვითონ გვიმტკიცებდა სწორედ იმას და იმავე არგუმენტით, რასაც თავის წიგნში სომხებს მიაწერს. სწორედ ამაშია მარქსისტული ყალთაბანდობა. 1912-1915 და 1917 წლებში მენშევიკები ეთანხმებოდნენ სომხების პრეტენზიებს ქართულ ტერიტორიასა და თბილისზე, მაგრამ ან მათმა მრევლმა არ იცოდა მაშინ, ან, საზოგადოდ, ქართველი ერი როგორ მოითმენდა შემდეგ ასეთ გაყიდვას, ან სომხები როგორ გაბრიყვდნენ და საქართველოს ტერიტორიას როგორ ყიდულობდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატებისაგან? პატრონს, ქართველ ერს აღარ ჰკითხავდნენ და კიდეც დაიმტვრიეს კბილები...“ (მიუნხენი, 1959, გვ.23).**

კიდევ უფრო მწვავედ და სამართლიანად გააკრიტიკა მენშევიკი გრიგოლ ურუტაძის წიგნი – „Оброзование и консолидация ГРУЗИНСКОЙ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ,“ 1956, მიუნხენი).

ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთის იმპერიის მთლიანობის დამცველნი იყვნენ მუდამ. **„მათ არასდროს უფიქრიათ საქართველოს დამოუკიდებლობაზე** – მართებულად წერს რევაზ გაბაშვილი და განაგრძობს – **1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა რუსეთის იმპერია დაიშალა და კავკასია გამოეყო რუსეთს, იძულებული გახდნენ, მოეწყოთ დროებითი მმართველობა. ფიქრობდნენ, პეტერბურგში შეიკრიბებოდა დამფუძნებელი კრება და კავკასია ისევ რუსეთს დაემორჩილებოდა, მაგრამ ოქტომბრის გადატრიალება რომ მოხდა, მაშინ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჯერ კავკასიის, მერე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ეს იყო მათი მხრივ იძულებითი აქტი„!**

ჩვენი მხრივ, უნდა აღვნიშნოთ – მართლაც მენშევიკებს არ უნდოდათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რუსეთის პროლეტარიატს ვერ გამოვეყოფითო. გერმანიის კატეგორიული მოთხოვნა რომ არა, ფიქრადაც არ მოსდიოდათ ამ ისტორიული აქტის შესრულება. ამდენად, იძულებულნი გახდნენ თავიანთი ნების წინააღმდეგ წასულიყვნენ და 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ, კენჭისყრის გამოცხადების შემდეგ, გაირკვა – წინააღმდეგ ხმა მიუცია ერთს – ეს იყო კაკი წერეთელი!

რევაზ გაბაშვილი შემდეგ აღნიშნავს: **„უროტაძე ცრუ ინფორმაციას აწვდის უცხო მკითხველს – საქართველო მე-19 ს-ის დასაწყიში თავის ნებით შეუერთდა რუსეთის იმპერიასო„!**

ისტორია ამ საკითხისა ასეთია – გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, რუსეთი საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეში არ ჩაერეოდა, შეუნარჩუნებდა ბაგრატოვანთა სამეფო ტახტს, გარეშე მტრისგან დაიცავდა და ა.შ., მაგრამ რუსეთმა ვერაგულად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი, არცერთი პირობა არ შეასრულა და, მათ შორის, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისაგანაც არ დაიცვა საქართველო – პირიქით, ირკვევა, საიდუმლოდ აქეზებდა კიდეც. მეფე გიორგი XII-ის გარდაცვალება საბაბად გამოიყენა და გააუქმა ბაგრატოვანთა სამეფო ტახტი, საქართველოს ეკლესიას ჩამოართვა ავტოკეფალია (1811), ქვეყანა დაჰყო გუბერნიებად და მიუერთა რუსეთის იმპერიას (1801 წ.) და ა.შ.

ეს იყო ნებით შეერთება რუსეთთან?!

ამის თქმა შეეძლო მხოლოდ ეროვნულ გრძნობამოცვეთილ სოციალ-დემოკრატს!

გრიგოლ ურუტაძის შემდეგი სიცრუე ის არის, – წერს რევაზ გაბაშვილი, – თითქოსდა საქართველოში არ არსებობდა საზოგადოების ფენა, დამოუკიდებლობას მხარს რომ უჭერდაო.

ილია ჭავჭავაძე ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას რომ ეწეოდა, ქართველი ხალხი გვერდზე ედგა, მხოლოდ სოციალ-დემოკრატები არ სცნობდნენ ამ ბრძოლას, პირიქით, ებრძოდნენ მას, მაგრამ ილიას უზარმაზარ ავტორიტეტთან და პოპულარობასთან რომ ვერაფერს გახდნენ, ერის მამა მოკლეს!

რევაზ გაბაშვილმა საკადრისი პასუხი გასცა ურუტაძეს (იხ.„Кому грядеши Уротадзе“ 1957), პარიზის ქართული ემიგრაციის მენშევიკურმა ნაწილმა კი რევაზ გაბაშვილს ბოიკოტი გამოუცხადა.

რევაზ გაბაშვილს 1957 წელს შეუსრულდა 75 წელი. ქართველმა ემიგრანტებმა გადაწყვიტეს, აღენიშნათ იუბილე. საიუბილეო თარიღის აღნიშვნაზე უარი განაცხადა და ითხოვა მისი შრომების გამოცემა – **„დაწერილი მაქვს 4 წიგნი:** „რაც მახსოვს“ (მოგონებები), „საქართველოს ისტორია“, „ჩვენი მოდგმის (ქალდეველთა) წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“. **ეს არის 20 წლის განმავლობაში ნაკვლევი და ბოლოს პატარა მოთხრობები და რომანიც ერთ კრებულად“.** ბ-ნ პეტრე ხვედელიძისადმი 1967 წლის 27 ივლისს გაგზავნილ წერილში გულისტკივილით წერს: **„ნეტავი შენსავით ესმოდეთ ჩემი წიგნის („ჩვენი მოდგმის (ქალდეველთა) წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში„) მნიშვნელობა. მათ არ იციან ჩემი წიგნის ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა, მეტადრე, მისი, როგორც საბრძოლო იარაღი თუნდაც იმ სომხების, სომხოფილური „მეცნიერების“ და „ისტორიკოსების“ წინააღმდეგ, რომელნიც საუკუნეების მანძილზე ებრძვიან, მალავენ და აბათილებენ ყველაფერს ქართულს და უსინდისოდ იჩემებენ ჩვენ ისტორიულ განძს, როგორც ნივთიერ, ისე ტერიტორიულს, სულიერს თუ ყველა სხვა ამგვარს. ჩემ წიგნში მთელი თავი მაქვს მიძღვნილი სწორედ ამ ყალბ მეცნიერების მცდარ და უტიფარ ნაჩხმახვის წინააღმდეგ“.**

ამასვე ჩივის მეორე წერილშიც, რომ მისი წიგნის მეცნიერულ ღირებულებას არ აფასებენ – **„მარტო ერისთავების და ბაგრატოვანთა საგვარეულოთა მეცნიერულ-ისტორიული ცნობები რად ღირს ჩემი წიგნისა, – რომ ესმოდეთ ამათ, არ დაიშურებენ... საშვილიშვილო საქმისთვის... თუნდ პრაქტიკული მიზნითაც. დიდი ამერიკელი ხალხი (80% მაინც) არის კავკასიური მოდგმისა (რასის) და მთელი ქართველობა და კავკასიელი ერი ხომ ვართ და ვართ. ჩვენი შორეული ნათესაობა განა მისაჩქმალია?„**

ამ წიგნის რამდენიმე ფრაგმენტი გამოქვეყნდა პარიზში 1967 წელს ქართულ ენაზე. ავტორი თანახმა იყო ყოველგვარ პირობაზე, ოღონდ სრულად გამოქვეყნებულიყო – **„თუნდაც ჩემი სახელის მოუხსენიებლად. მთავარია წიგნი და არა ავტორი, ჭეშმარიტება და არა, სომხური ზღაპრები, რითაც იჩქმალება ჩვენი ისტორია“.**

რამდენადაც ვიცი, აღნიშნული წიგნი დღემდე გამოუცემელია. ახლა შეიძლება ცოტა მოძველებულია, კავკასიელ ხალხთა და ქართველი ერის ეთნოგენეზისის მეცნიერული კვლევა სრულიად ახალ საფეხურზე დგას, მაგრამ ამ პრობლემის კვლევის ისტორიის გარკვეულ ეტაპს ასახავს და ამ თვალსაზრისით საინტერესოა. გარკვეული რედაქტირების გავლის შემდეგ მისი გამოცემა შესაძლებელია.

პეტრე ხვედელიძე და ციცინო ჯერვალიძე

რევაზ გაბაშვილი გარდაიცვალა 1969 წელს 86 წლის ასაკში. დაკრძალულია პარიზის ბანიოს სასაფლაოზე, მეუღლის – ლიზა ყიფიანის გვერდით. მისი საფლავი დაკარგვას გადაარჩინა ციცინო და სოფიკო ჯერვალიძეებმა. საფლავის მოძებნაში კი დაეხმარა საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ფრანგი ქალბატონი – **მარი-მადლენ ბარტი.** მან გაარკვია – საფლავის მიწა შეძენილი ყოფილა 1963 წელს, როცა რევაზ გაბაშვილის მეუღლე – ლიზა ყიფიანი დაკრძალეს. საფლავის ნასყიდობის ვადა 1993 წელს გასულა. თანხა არ იყო გადახდილი და საფლავის დაკარგვის საშიშროება შეიქმნა. ბიუროკრატიული ფორმალობის შესრულების შემდეგ, **ციცინო ჯერვალიძემ პარიზში – ბანიოს სასაფლაოს ადმინისტრაციას გაუგზავნა საჭირო თანხა და საფლავი ათი წლით იქნა შენარჩუნებული.** წიგნთან ერთად ზუსტად რევაზ გაბაშვილის საიუბილეო თარიღის – დაბადებიდან 130 წლისთავს დაემთხვა ეს მოვლენა **(იხ.სოფიკო ჯერვალიძე, „მარი-მადლენ ბარტი, საქართველო და რეზო გაბაშვილის გადარჩენილი საფლავი პარიზში“. ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2014,№1).**

ქართველი მკითხველი არ იცნობს, ან ნაკლები ინფორმაცია აქვს რევაზ გაბაშვილის წერილების ადრესატის – ბ-ნ **პეტრე ხვედელიძის** შესახებ, ამიტომ თავს ნებას მივცემ, მისი ცხოვრების შესახებ მოკლედ გიამბოთ:

დაიბადა 1918 წლის 25 ივნისს თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში – დიდუბეში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის მე-10 შრომითი სკოლა. ამ წელს დააპატიმრეს მისი უფროსი ძმა. „ხალხის მტრის“ ძმამ ვეღარ შესძლო სწავლა გაეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში. 1939 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1940 წელს ის უკვე ლეიტენანტია. მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველი დღიდანვე ფრონტზეა. 2 ივლისს ვარდება ტყვედ, სადაც ცხრა თვე გაატარა. 1942 წელს მოხალისედ ჩაირიცხა ქართულ ლეგიონში. სამხედრო ოპერაციის დროს დაიჭრა. 1944 წელს გერმანული ჯარის ნაწილიდან ქართული ლეგიონი გადაჰყავთ სამხრეთ საფრანგეთში – კასტრაში. აქ ლეგიონი უერთდება დე გოლის ჯარის ნაწილებს და იბრძვის ფაშისტების წინააღმდეგ. 1944-1951 წლებში მსახურობს უცხოელთა ლეგიონში. მიიღო სერჟანტის სამხედრო ჩინი. მამაცური სამსახურისათვის დააჯილდოეს ორდენებითა და მედლებით. 1956 წელს მიდის ამერიკაში. 10 წელი ცხოვრობდა ნიუ-იორკში. 1985 წლიდან 11 წელი მუშაობდა „ამერიკის ხმის“ რედაქციაში. ამჟამად ცხოვრობს ვაშინგტონში. შარშან შეუსრულდა 96 წელი.

ეს არის უხუცესი ქართველი ემიგრანტის ბ-ნ პეტრე ხვედელიძის მოკლე ბიოგრაფიული ჩამონათვალი.

ბ-ნი პეტრე ქართული ემიგრაციის ისტორიის ცოცხალი მემატიანეა. როგორც სოფიკო ჯერვალიძემ გადმომცა, შენარჩუნებული აქვს შესანიშნავი მეხსიერება, ახსოვს ქართველ ემიგრანტთა თაობების ცხოვრებისა და საქმიანობის ყოველი დეტალი. მიუხედავად ასაკისა, თვალყურს ადევნებს ამერიკულ პრესაში დაბეჭდილ მეცნიერულ ლიტერატურას. თუ რაიმე ტენდენციური ინფორმაცია ნახა საქართველოს და ქართველი ხალხის შესახებ, სასწრაფოდ გზავნის საქართველოში. მოგითხრობთ ერთი შემთხვევის შესახებ: ამერიკულ ჟურნალში – „მსოფლიო ხალხები“, – 2011 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულა სტატია – „კავკასიის ხალხები“, – სადაც ჩამოთვლილნი არიან – სომხები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები და ინგუშები. ქართველები მოხსენიებულნი არ იყვნენ. ბ-ნ პეტრეს წაუკითხავს თუ არა ეს სტატია, გაცეცხლებული მიჭრილა ჟურნალის რედაქციაში და გაუპროტესტებია – მოუთხოვია რედაქტორთან ან მოადგილესთან შეხვედრა, მაგრამ ისინიც დამალულან – არ მიუღიათ. ნომერი უკან დაუბრუნებია და წამოსულა. ამავე დროს სასწრაფოდ გამოუგზავნია თბილისში აღნიშნული ჟურნალი და ბარათი: **„ამ წიგნს გთავაზობთ ჩემს მეგობრებს, რათა გაეცნოთ 95 და 96 გვერდებზე დაშვებულ უხამსობას. პატივისცემით პეტრე ხვედელიძე. 6 მაისი, 2011 წელი“.**

ისტორიკოსმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა საფუძვლიანი მეცნიერული პასუხი გასცა სტატიის ავტორს. ჩემი მხრივ დავძენ – ეს არ იყო უნებლიე შეცდომა, რედაქციაში ალბათ მუშაობდა ვინმე გაამერიკელებული სომეხი – ეს მისი ნაცუღლუტარი იქნება.

რევაზ გაბაშვილის წერილებს რომ გავეცანი, გავიფიქრე – მათი მეგობრობა ხევსურთა ძმადნაფიცობას ჰგავს-მეთქი. არავისთან ისეთი გულწრფელი არ ჩანს, როგორც ბ-ნ პეტრესთან ყოფილა. მას ენდობა, გულმხურვალედ უყვება თავის სიყვარულის ისტორიას. ციცინო ჯერვალიძე მართებულად მოქცეულა – მისი ინტიმური წერილებიც რომ შეიტანა კრებულში. რეზო გაბაშვილი მისი ცხოვრების ერთ პერიოდში თავდავიწყებით ყოფილა შეყვარებული მასზე გაცილებით უმცროს, ულამაზეს დოდო ამილახვარზე. ამაში გასაკვირი არაფერია. გავიხსენოთ გოეთე, გრიგოლ რობაქიძე – ესენიც შეყვარებულნი იყვნენ უმცროს ქალებზე. შეიძლება ნიკო ნიკოლაძეც გავიხსენოთ – ყოველი ქალის შეყვარება ათი წლის სიცოცხლეს მმატებდაო. რეზო გაბაშვილიც აღიარებს – ჩემ სიცოცხლეში ხუთი ქალი მიყვარდაო. ქალში მარტო სქესი არ აინტერესებდა. მიჯნურობა, შოთას გაგებით, იყო მისთვის მისაღები. მის და დოდო ამილახვარის სიყვარულს შეიძლება ვუწოდოთ პლატონური, როგორც ციცინო ჯერვალიძეს მიაჩნია: ასეა თუ ისე, ერთი კია – რევაზ გაბაშვილის წერილები, რომლებშიც მათი სიყვარულია მოთხრობილი, შეიძლება ქართული ნოველის ნიმუშადაც მივიჩნიოთ. განსაკუთრებით დოდო ამილახვრის თვითმკვლელობის შესახებ ნანახი კომშმარული ხილვა-სიზმარი.

აქვე მსურს ხაზგასმით აღვნიშნო – კრებული გამოცემულია მაღალ ტექსტოლოგიურ დონეზე. ახლავს შესავალი, კომენტარები და პირთა საძიებელი. ეს არის მეცნიერული გამოცემა, რომლის მომზადებაში ციცინო ჯერვალიძესთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის მის უმცროს დას, კრებულის რედაქტორს, სოფიკო ჯერვალიძეს.

სტატია არ მინდა დავამთავრო ისე, ორიოდე სიტყვა არ ვთქვა ციცინო ჯერვალიძის მოღვაწეობის შესახებ: წარმატებული ჟურნალისტი წავიდა ამერიკაში – ნიუ-იორკში დაიდო ბინა და ენერგიულად შეუდგა ქართველ ემიგრანტთა მოგონებების და ეპისტოლარული მემკვიდრეობის მოძიებას და თავმოყრას. გამოსცა ორი წიგნი – „ლევან ზურაბაშვილი“ და „რევაზ გაბაშვილი“, რომელიც უსასყიდლოდ დაურიგა ქართველ მკითხველ საზოგადოებას.

ციცინო ჯერვალიძის თავდადება და უანგარობა მაგონებს შუა საუკუნეების ქართველ ბერ-მონაზვნების საქმიანობას. ისინი მიდიოდნენ საქართველოდან შორს, მონასტრებში და რუდუნებით ეწეოდნენ გადამწერლობას და მთარგმნელობით მოღვაწეობას. ამჟამად ამზადებენ კრებულს – „ევროპიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“. მასში შედის ვიქტორ ნოზაძის და ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების მოღვაწეობა და ეპისტოლარული მემკვიდრეობა (ორ წიგნად).

მე კი დავყურებ წიგნის ყდაზე მოთავსებულ ციცინი ჯერვალიძის სურათს, დავყურებ სანდომიან, ეშხით მოსილ ქართველ მანდილოსანს შუბლზე ჩამოფენილი „შჩოლკა“ რომ ვერ უფარავს მაყვალივით შავ და ჭკვიანურ თვალებს. სახეზე სევდანარევი იერი გადაჰკრავს, დაჟინებული მზერა ნებისყოფის და მიზანსწრაფულობის ნიშანია. ვფიქრობ და მიკვირს, ამ გამხდარ ქალში რამდენი ენერგია და სიყვარულია ჩვენი მწერლობის, კულტურის, რომ ყოველდღიური შრომით მოპოვებულ გასამსჯელოს ახმარს ემიგრანტთა ეპისტოლარული მემკვიდრეობისა და მათი არქივების შესწავლისა და გამოცემის საშვილიშვილო საქმეს.

მეტი რა ქნას, ღმერთმა ხელი მოუმართოს!

უდიდესი წმინდა ღვთისმეტყველი მღვდელმთავრები

◀ მე–3 გვერდიდან

გრიგოლ ღვთისმეტყველი. წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი დაიბადა 328 წელს. მშობლებმა ადრეულ ასაკშივე შეაყვარეს გრიგოლს ღვთისმსახურება. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო კესარიაში, ალექსანდრიასა და ათინაში. ის წმინდა ვასილი დიდს ჭაბუკობის პერიოდიდან დაუახლოვდა და მალევე უპირველეს მეგობრებად შეიქმნენ.

გრიგოლის მამასაც გრიგოლი ერქვა. ის ნაზიანის ეპისკოპოსი გახლდათ და სწორედ მან აკურთხა შვილი მღვდლად.

მღვდლად კურთხევისთანავე, წმინდა ღვთისმეტყველი გრიგოლი, ვასილი დიდთან ერთად უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ, საიდანაც ისევ მამის თხოვნით, კვლავ მშობლიურ ნაზიანში დაბრუნდა. მალე ეპისკოპოსობასაც მიაღწია და იმ დღიდან მოყოლებული სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა იმხანად მეტისმეტად მომძლავრებულ არიოსის მწვალებლურ სწავლებას.

წმინდა გრიგოლი თავდაუზოგავად იბრძოდა მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად. სწორედ ამიტომ, ძალიან შეიყვარეს კეთილმოსურნე ქრისტიანებმა.

დადგა დრო და წმინდა გრიგოლი მიიწვიეს კონსტანტინოპოლში მთავარეპისკოპოსად, რაშიც მთავარი დამსახურება იმპერატორ თეოდოსის მიუძღვის.

დიდი იმპერატორის ასეთი გადაწყვეტილება კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებამაც ერთსულოვნად დაამტკიცა. ამის მიუხედავად, ზოგიერთ მღვდელმთავარს ეს ფაქტი არ მოეწონა და სამღვდელოებაში თავი იჩინა განხეთქილებამ.

მაშინ წმინდა გრიგოლმა მათ მშვიდობისა და თანხმობისაკენ მოუწოდა და შეახსენა, რომ არ ღირდა მის გამო ურთიერთში შუღლის დამკვიდრება და თვითონ დაკავებული ადგილიდან განთავისუფლება მოითხოვა, თან იქვე დასძინა:

„... თუმცა მე არა ვარ დამნაშავე, მაგრამ მზადა ვარ დავითმინო ყოველივე, რაც თქვენ გსურთ, მხოლოდ შერიგდით და იყავით ერთი აზრისანი“.

ამ სიტყვების გამგონეთ ძლიერ შერცხვათ, ხოლო ბევრს ცრემლიც კი მოერია.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველმა ამის შემდეგ, ცხადია, კონსტანტინოპოლი მალევე დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა.

იქიდან მოყოლებული, მრავალი წლის განმავლობაში, უდიდესი წმინდანი განმარტოებით ცხოვრობდა.

გრიგოლ ღვთისმეტყველი 62 წლის ასაკში, 390 წელს გარდაიცვალა.

მღვდელმთავარი წმინდა იოანე ოქროპირი. წმინდა იოანე ოქროპირი დაიბადა 353 წელს ანტიოქიაში.

კეთილშობილმა და, ამასთანავე, მდიდარმა მშობლებმა იგი თავიდანვე ეკლესიურად აღზარდეს. რამდენიმე წელი ანტიოქიის მახლობლად იოანემ უდაბნოში გაატარა. მკაცრი ცხოვრებისეული პირობების გამო, ის ფიზიკურად დაავადმყოფდა და იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო, სადაც დიაკვნად იქნა ხელდასხმული.

გავიდა ხუთი წელი და იოანე მღვდლის ხარისხში ამაღლდა.

დიდი წმინდანი თორმეტი წლის მანძილზე ანტიოქიაში ქადაგებდა უფლის სიტყვას. ამ უბრწყინვალეს პიროვნებას ქადაგების განსაკუთრებული ნიჭი და უნარი აღმოაჩნდა და სწორდე ამიტომ უწოდეს მას ოქროპირი.

იოანე ოქროპირი ორმოცდაოთხი წლის ასაკში კონსტანტინოპოლის მთავარ ეპისკოპოსად დაადგინეს. ხალხში მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებაში თავდაუზოგავად მოღვაწე მღვდელმთავარს, არიოსის მიმდევრებმა შეურიგებელი და უსამართლო ბრძოლა გამოუცხადეს იმპერატორის მეუღლის – ევდოქსიას და ალექსანდრიის მთავარესპისკოპოსის – თეოფილეს წინამძღოლობით.

უამრავი, ყოვლად მიუღებელი ხერხის გამოყენებით, იოანე გადააყენეს დაკავებული მღვდელმთავრის მაღალი პოსტიდან და მისი დაპატიმრებაც კი მოახერხეს.

ძალიან მალე, წმინდა იოანე მისი სამწყსოს უდიდესი თანადგომით, კვლავ კონსტანტინოპოლში დააბრუნეს, რამაც შურისძიების სურვილი კიდევ უფრო მეტად გაუღვივა იმპერატორის მეუღლეს – ევდოქსიას.

მეტისმეტად გაბოროტებულმა ევდოქსიამ, საოცრად მკრეხელური გადაწყვეტილება მიიღო:

კონსტანტინოპოლში, სოფიას ტაძრის წინა მოედანზე საკუთარი გამოსახულების ქანდაკება აღმართა, რომელსაც იძულებით თაყვანს სცემდა მრავალი ადამიანი.

ცხადია, ამას გულგრილად ვერ შეხვდებოდა იოანე, რომელმაც უმალ ამხილა ევდოქსიას უღირსი საქციელი და სამართლიანად გაკიცხა ის.

განრისხდა იმპერატრიცა და ისევ გასცა განკარგულება იოანეს პატიმრობაში ასაყვანად.

ყოველივე ამის მიუხედავად, იოანე კვლავინდებურად, კიდევ უფრო მეტი მონდომებით განაგრძობდა ბრძოლას მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად, ამხნევებდა ქრისტეს მიმდევრებს და მოუწოდებდა გამოეჩინათ სულიერი სიმტკიცე სარწმუნოების გასაძლიერებლად.

ახლა უკვე მთლად განრისხებულმა ევდოქსიამ, კიდევ უფრო შორს, შავი ზღვის ნაპირებისაკენ გააგზავნინა პატიმრობაში მყოფი იოანე, რომელმაც ბევრი ტანჯვისა და ავადმყოფობის გამო, ვეღარც ჩააღწია იქამდე და გზაზე, ქალაქ კომანახში გარდაიცვალა.

იდგა 407 წელი.

მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდნენ წმინდა იოანე ოქროპირის მტრები თავიანთ ჩადენილ უსამართლობას უდანაშაულო დიდი ადამიანის მიმართ და ცოდვის რამდენადმე გამოსყიდვის მიზნით, კონსტანტინოპოლში გადაასვენეს მისი უწმინდესი ნეშტი.

წმინდა იოანე ოქროპირმა განძად დაგვიტოვა უამრავი ბრწყინვალე ქადაგება და წირვის წესი, რომელიც იოანე ოქროპირის წირვად იწოდება.

ლევან გვეტაძე,
საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრი

მიკროავტობუსმა დაბა ყაზბეგიდან გადაუხვია და სოფელ გერგეტისკენ აიღო გეზი. რამდენიმე წუთში სოფლის შესასვლელთან მდელოზე გაჩერდა. კარი გაიღო და ბავშვები ჟივილ-ხივილითა და სიცილ-კისკისით აბიბინებულ მწვანე მინდორზე გაიშალნენ. – შორს არ წახვიდეთ! – არა, დედიკო, არა. – ახლა ცოტა დავისვენოთ, ძალა მოვიკრიბოთ და ამ მთის წვერზე, სამების ეკლესიასთან ავიდეთ, – შუახნის ქალმა ხელი გაიშვირა მთის კორტოხზე მედიდურად მდგარი ტაძრისკენ. – ქალბატონო ია, სულ მინდა გკითხოთ, რატომ მოგმართავენ ბავშვები როგორც დედას და არა, როგორც მასწავლებელს? – მიუახლოვდა მძღოლი ქალს. – დემურ, თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, ერთმა გერმანელმა მეცენატმა ააშენა მიუსაფარ ბავშვთა სოფელი, სადაც ოთხმოცი მოზარდი იზრდება. უმრავლესობას მშობლები არ ჰყავს. სხვადასხვა ასაკის შვიდ-შვიდი ბავშვი ცხოვრობს თითო კოტეჯში და ისინი გამზრდელს უწოდებენ დედას. ამით ვქმნით ოჯახურ გარემოს. თითოეული დედა შვილებს პატრონობს, ზრუნავს მათზე და, რაც მთავარია, აძლევს სიყვარულს, უქმნის ოჯახურ კერას. ჩვენთან აღზრდილი ბავშვები საზოგადოების სრულფასოვანი წევრები იქნებიან, შექმნიან საკუთარ ოჯახებს და იცხოვრებენ ჩვეულებრივად, ეყოლებათ შვილები და გაათკეცებული დედობრივი თუ მამობრივი გრძნობით იზრუნებენ საკუთარ მონაგარზე. – როგორ გაუმართლა ამ ოთხმოც ბავშვს, –ჩაფიქრებულმა ჩაიბუტბუტა მძღოლმა. – ჭეშმარიტად გაუმართლა. დემურ, ჩვენ ნელ-ნელა დავიძრებით და, ალბათ, სამ საათში დავბრუნდებით. – ნუ იჩქარებთ. მე აქა ვარ და გელოდებით. – აბა, ბავშვებო, მოდით აქ! – აღმზრდელმა თვალი მოავლო მინდორში გაფანტულ პატარებს. – მანქანას ჩავკეტავ და მეც წამოვალ. მარტოებს ვერ გაგიშვებთ. – ძალიან კარგი, – გაულიმა მძღოლს იამ. – შენ რა გქვია? – მიმართა დემურმა იქვე მდგომ გოგონას, რომლის გამოხედვა უზომო კმაყოფილებასა და ბედნიერებას ასხივებდა, მაგრამ ყველაფერ ამის უკან, უხილავი სევდა იმალებოდა, სევდა უმშობლობისა, მონატრება ნამდვილი დედ-მამის სიყვარულისა. – სალო სიხარულიძე თაფლისფერი თვალებით შესციცინებდა მამაკაცს. – სალო, შვილო, წამოდი, აიღე ყველაფერი, რაც გჭირდება, მანქანა ჩავკეტოთ და ტაძრისკენ წავიდეთ. – ბავშვებო, დროზე! გაგა, მერაბ, მორჩით უაზრო სირბილს. საქმეს მიხედეთ, თორემ, დაგვიგვიანდება. დემურმა მანქანა ჩაკეტა და ყველანი ერთად სოფლისკენ გაეშურნენ. კითხვა-კითხვით სასაფლაოსთან გავიდნენ, იქიდან კი საურმე გზა იწყებოდა, რომელიც ტყეში იკარგებოდა. ნელი ნაბიჯით მიიწევდნენ წინ. გოგონები ნაირფერ ყვავილებს აგროვებდნენ, კონებად კრავდნენ და ჩანთებში იწყობდნენ. ბიჭები დემურს შემოხვეოდნენ და ათასნაირი კითხვებით აბრუებდნენ. შუა გზაში ბავშვებს დაღლა დაეტყოთ.– დავისვენოთ ათი წუთი, – გადაჭრილ ხეზე ჩამოჯდა ია. – რა ლამაზია, – ხელი გაიშვირა მამაკაცმა ყუროს მთისკენ, რომლის ძირში დაბა ყაზბეგი სათამაშო სახლებით მოფენილ ქალაქს ჰგავდა. გზაც ასევე სათამაშო სატვირთო მანქანებით იყო გადაჭედილი, – ამ მთების, ამ ბუნების პატრონს, დღეს რამე უნდა გვიჭირდეს? – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა და სიგარეტს მოუკიდა. – ნუ იტყვით, პატრონი არა ჰყავს ქვეყანას. აღარ არიან ერის კაცები, შემოიფარგლნენ საკუთარი კეთილდღეობით და, საერთოდ, დაივიწყეს სამშობლო, ერი. – ეჰ, ქალბატონო ია, თავიდათავი იმაშია, რომ სიყვარული დაკარგა ხალხმა. დაავიწყდათ, რომ ნამდვილი, ხალასი სიყვარული მხოლოდ ღვთის რწმენაშია. თუ გინდა შეიგრძნო სიყვარული, უნდა გიყვარდეს ღმერთი და ეს რომ შესძლო, უნდა იცხოვრო ისე, როგორც გთხოვს უფალი. ფარისევლებით გაივსო ქვეყანა. თავისი კაბინეტისა და ოჯახის იქით ვერაფერს ხედავენ. სასაცილო გახდა ერის კაცობა, მოსწრებაზე არიან. – გეთანხმებით, – სიმწრის ღიმილი დაედო ქალს, – ოცდაექვს მაისს ელიტა პრეზიდენტთან დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა და რამ გამაკვირვა, იცით?! არც ერთი პიროვნება, ვინც მართლა იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, იქ არ იმყოფებოდა. დარბაზი სავსე იყო ყოფილი კომუნისტებითა და კომკავშირლებით, იმ ადამიანებით, რომლებიც ყველა დროს ერგებიან. როცა უნდათ, ათეისტები არიან და როცა უნდათ, იერუსალიმში მაცხოვრის საფლავს ემთხვევიან...– დედიკო, ნახე ორი ცხენოსანი გვიახლოვდება, – მოირბინა სალომ. ყველანი გზის პირას ჩამწკრივდნენ და დაკვირვებით აათვალიერეს ცხენოსნები, ერთი – ჭაღარამორეული, ხანში შესული კაცი, რომელსაც თავზე ბანჯგვლიანი ქუდი ჩამოეფხატა, ცხენის ძუნძულს დინჯად აყოლებდა ზორბა ტანს და დიდი სიამოვნებით აბოლებდა ჩიბუხს. მეორე – სანდომიანი სახის ახალგაზრდა იყო. მოშვებული წვერი, შუაზე გაყოფილი თმა, დიდი შუბლი და სახის ნატიფი ნაკვთები თვალებიდან გადმოღვრილ სიბრძნეს ესადაგებოდა. ბავშვების დანახვისას მხედრები ცხენებიდან ჩამოხტნენ და ბავშვები ორ ცხენზე შესვეს, აღვირები ხელში დაიჭირეს და დაწყებული საუბარი ნაბიჯ-ნაბიჯ გააგრძელეს. ია მოხვევს წამოეწია და გაკვირვებულმა ჰკითხა: – თქვენი სახელი? – ლელთ ღუნიას მიხმობენ, – მიუგო უცნობმა. ქალმა გაკვირვებისგან პირზე ხელი აიფარა და მათ საუბარს ყური მიუგდო:– „აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი გამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხოს, ატირდომილ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ – პირად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოსრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?...– ახლა რომ მშვიდობიანობა არის?– რაის ვაქნევ ცარიელ მშვიდობას, ცარიელ სტვამაქით. რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა ცოცხალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის“. ბავშვები ცხენებზე გასუსულები ისხდნენ. ია და დემური, თითქოს სიზმარში იყვნენ, გაკვირვებულები ფეხდაფეხ მისდევდნენ უცნობ ნაცნობებს. ამასობაში გზაც დაილია და სამების ტაძარი, როგორც ხელის გულზე დადებული მარგალიტი, ისე გამობრწყინდა უზარმაზარ მთებს შორის. თოვლში გახვეული მყინვარწვერიც კი ვერ შეედრებოდა მეთოთხმეტე საუკუნის ძეგლის დიდებულებას.

→

 პოეზია

უჩა ღონღაძე

***

აქედან ტყე მეჩხერდება, დამრჩა ბოლო ხევი,
უნამუსო ბუსუსები მივლის ბალახივით,
ბოლო ხესთან ორი შველი ნახატს გავს და მინდა, –
მართლა იდგეს...სურვილებს ხვევს მხარზე მკლავს ამინდი,
მზე პირს იბანს, წვიმა ღრუბელს ესაყურეება,
ფეხშიშველა ოცნებები, როგორც ხუროები
უთენია მაღვიძებენ, მჭამენ უთენია,
ლოდივით რომ დავაგორო ფიქრი ფუთიანი.
ვითომ ხარაჩოებია ბეწვის ბილიკები, –
ტაძრებივით მაღლდებიან მთები...ვილეკები,
პირჯვრის წერის წყურვილი მკლავს ამ წუთს იმნაირი,
კლდეზე ნაწერი ჩანჩქერი ჩემი ჰიმნი არი,
ოდებივით შეჰფენია თოვლის წვალებამდე, –
მთებს ფეხმძიმე ჩემი ცოლის ლურჯი თვალები და
იარაღის არჩევანი მინდა შევთავაზო.
ანც ნისლს, როცა ქარის შემდეგ მოდის შეტევაზე.
ფარასავით შლის ღიმილსაც – მწყემსმა მომიკითხა,
უწარბო და უწამწამო სევდა მომიკითხა...
მთხოვს, რომ უკან მივტრიალდე, მართლა სევდა არი...
ძლივს სიზმართა დალაქული მხარე გამიმზევდა,
ძლივს არწივებს მოტეხილი მზერა დავაწიე,
წიქარადან ვერ ვისროლე მხოლოდ სავარცხელი.
გზაჯვარედინს აქ რა უნდა, მაინც თუკი ვნახე,
მის უცნაურ წესთა მწერალს რითმე ვუკარნახებ,
რომ უთუოდ ღმერთთან მივალთ გზიდან – სამივედან
და ცალ-ცალკე ჩემი მტრები რომ არ წამოვიდნენ...

* * *

ქარი თუთიდან ფოთლის ლექსებს ყოველდღე თარგმნის
სალოსივით,
ყოველდღე ხეზე გასულ თვალებს მიჭრელებს ფერთა
მგზნებარება,
ხანდახან სითბო მოაქვს ნიავს, ისეთი, თითქოს სალოცავი
სულ ახლოს, აქვე სადმე არის და უბრალოდ მთა ეფარება.
ხოლო თუთაზე ჩიტივით ზის თუთაზე ასვლის მოგონება,
პატარა ბიჭი – ჩემი ძმაა, – თუთის თვალებით მეხვეწება,
ათას მეტსახელს მიგონებენ კანჭებ-მკივანა გოგონები,
ქარი ქრის, მაინც დარი არის, არ მძინავს, მაგრამ
მეღვიძება.
საღამოობით სანთლებს ვანთებ, – სანთლები ჩემი
თითებია,
ცას კი შურთხივით მამის შუბლზე მოკლული ფიქრის ფერი
აქვს და
მინდა ნისლები დავარწმუნო, ვიდრე წამოიჩიტებიან, –
მტრობა მტვერია მარტოოდენ, დროის უაზრო ფორიაქთა,
გაღრუბლებული სევდის მიღმა რწმენა ცასავით
ცისფერია,
ღამეებს ვტკეპნი და ვადაბლებ ველურ სიზმართა რემიანი,
ჩემი ოცნება – აქვე ტყეა – ნაკადულია, ტყისპირია,
ჩემი უფალი – სულ არაა, აქვე ცა – დედაჩემი არის...

***

მთაში მივდივარ, მოწყენილი ცხენი ხალისობს, –
გზას ბილიკი ცვლის, ცოტა მერე ბილიკს – შენი თმა,
ცელზე გადააქვთ აბეზარი ფიქრი სალესებს,
ორი პატარა სერი დამრჩა მხოლოდ შენამდე..
ასეთი ცელქი რად ხარ მეთქი? – მტერს ვეკითხები, –
ვაცალოთ ძილი ხანჯლიშვილებს, არ ღირს გალევად...
როგორც მითხარი, საჭირო და თბილი სიტყვები
მომაქვს ფქვილივით და მარილივით...

***

თვალებს თუ დახუჭავ, კოცნა ვით პეპელა
წამწამზე ჯიუტად მანამდე გეჯდება,
სანამ არ გაახელ ლამაზო მხლებელო
და სანამ არ მეტყვი, სადაა ბეჭდები?
რას ნიშნავს ყოველწუთს ასე რომ იცვლები,
ან ის გზა სად მიდის,რომელიც დამიდე,
ან ასე ძვირფასი მთები და ნისლები
როდისღა ჩამომრჩნენ, რომელი ღამიდან?
სანამ არ გამიმხელ, უბრალოდ იმედი
თუ რატომ არ კვდება (ღმერთო, აღარა თქვა),
რომელი ღრუბლიდან ისწავლე წვიმა და
ჩერქეზის რომელი ისრიდან დაკარგვა?
მანამდე იმ შაირს ვიმღერებ ბოლომდე,
ასე რომ არ გიყვარს, მივიღებ მოლოცვას
და შენ რომ არ გჯერა, ცხრა მთიდან ბოლო მთა
დამრჩება, ცხრა ზღვიდან გადავჭრი ბოლო ზღვას...

***

შენი ცრემლის ფაცხის ქვემოთ, ცისკრის გაშლილ
მდინარეზე
დევს ჭიკჭიკის შეკიდული, კონწიალა ხიდი,
ვითომ შენი სული არის,
ისე არ ჩანს ჩიტი,
მოხუცებულ ცას აბავშვებს ოცნებების ტკბილეული,
ეგ თვალები სხვისმზირალი შენია თუ მისი?
ვითომ შენი სუნთქვა არის,
სიო არ ჩანს ისე...
ბაგეც ისე ამიციხე, ალყასავით კოცნა უნდა
შემოგარტყა, ქუდზე ვიხმო სურვილების ჯარი,
დროზე უნდა ამოვაგდო
აღშფოთების ქარი,
თორემ, ვიღაც ჩემნაირი დამასწრებს და ხომ ვიცი, რომ
შენც არ ივლი ზამთარ-ზაფხულ შემოსილი შავით,
სად მაქვს მერე მე ცხელ გულზე
მოსაკლავი თავი?

* * *

ქორწილში ალბად უნებურად ერთი ოცნება გამოვტოვე, –
ძვლების საშველი აღარ არის, არ იქნა ბუხრის გახურება,
კარებს ვერ ვაღებ, საფიქრალმა გულამდე ისე ჩამოთოვა,
უნდა ავიდე, გადმოვთოვლო ღიმილი, როგორც სახურავი...
ძილი ცხენივით დამიფრთხა და წელს ვეღარა ვწევ
დამტვრეული,
ვეღარც ქარისებრ ამოვაგდე – გულში ტრიალებს
მძვინვარება,
აღარც შენი მზე გამიმრავლდა უგრძნობი ფიფქით
დამტვერილი,
სურვილებივით შეგვიწირეს შეუძლებლობის მყინვარებმა.

* * *

აგონებს ეშმაკს ქვაზე დახატულს,
მთებში ბელების ნაბელი ქარი
და პირჯვარივით იწერს ნაკადულს

ოცნების ლურჯი ნაბილიკარი...
კვლავ შემიძლია, როგორც წიწილას, –
გაქორებულმა ვუტრიალო სენს,
ციდან გადმოდის მადლი სიცილის
და სევდას ვმარცვლავ, ვით კრიალოსანს.
მიყვარხარ ცაო, მითხარი ბანი,
მომარეკინე ღრუბელთა რემა, –
ვითომ ისევ რბის მზისკენ, კანივით
ღიმილ-აცლილი ბავშვობა ჩემი...

* * *

სიომ, – სოფელში წასული ვარო, –
ნაჩხაპნი ფოთლით გეწვის იერი:
მხარზე იდაყვით მეყრდნობა მთვარე
და შენს სურათებს ვათვალიერებთ...
მერე მაცოცხლებს სუნთქვა უვნებო,
მერე შემოდის მეზობლის ბავშვი,
მერე ცრემლს ვმალავ და ვეუბნები,
რომ გასული ხარ...რომ არ ხარ სახლში...

***

მიუწვეველმა სრულწლოვანი მზის დღეობაზე,
მხოლოდ უბრალოდ, შეუმჩნევლად თავი დახარე, –
შენი შეკრული, გაუვალი თმის ხეობაში
მონასტერივით სათრთოლველი მოჩანს ჭაღარა...
იმედის ტკბილ და დიდ-დიდ აბებს ყლაპავდი წუხელ,
ახლა გვერდითი მოვლენები გტანჯავენ, ბოლთას
ცემს შენი ჩრდილი, შენ დაყვები, გაწუხებს მუხლი
და უმზერ ცაცხვთან როგორ ელის სიყვითლე ფოთოლს,
რომელიც ცოტა მერე წყდება, ვით ხეების ხმა,
შენ კი ჩურჩულებ ამღვრეული ქარის მატებით,
შენი დამშრალი, დაწყვეტილი ბაგეების სმით
ვეღარ იკლავენ უჩვეულო წყურვილს ხატები..
იტირე დედა, გეხვეწები, იტირე მართლა,
ოღონდ, ნუ მეტყვი, რომ კარგად ხარ, ან რომ მარილი
წვნიანში ბევრი მოგივიდა, ცოტა კი – მარტი
ხასიათში და ამინდია თან საყვარელი,
ნუ ცდილობ ცრემლი ლტოლვილივით გადმომაპარო
მზერის საზღვარზე, ცას ვერ მომხსნი ასე ზურგიდან,
თუ დაგამშვიდებს, მომიყევი მერე ზღაპარი,
,,წიქარა" მიყვარს, წიქარაზე იყოს – თუ გინდა...

***

მამშვიდებს შენთან ეს სიახლოვე:
მზე იკრიფება, როგორც მაღლარი,
ცა სულის უფრო სამოსახლოა,
ვიდრე ცისფერი ნამოსახლარი,
თან სასწაულის მჯერა ისევე,
ხატის გულისკენ სანთლის გზა მიდის
და ბაგეს ლოცვა კიდია ისე,
ვითომ ბაღია სემირამიდის.
წყალწასაღები წუხან ხიდები
და ფერმკრთალდება ნაპირთა ზღვარი, –
ნაკადულივით მკერდზე დიდდება
შენს ჭაღარაზე ასხმული ჯვარი.
თითქოს ხელახლა ყველა სანთელი
იწვის, აქამდე რაც ამინთია, –
შობს ისე მშვიდად, უგანსაცდელოდ
მარიამივით ნათელს ამინდი...

***

შენზე ფიქრს ნელ-ნელა ვეჩვევი,
მთაში ვარ, სერიდან ვეშვები,
გთხოვ, ნუღარ ჩამიყვან წყაროზე
და სულით ამივსე პეშვები...
არ მესმის ვითომ და ვერთობი, –
სიტყვებზე ღიმილიც მიაბი,
ხომ ხედავ, სურვილის ფერდობი
აიკლეს ჩურჩულის იებმა,
ოცნებებს გადაყვნენ ჯიხვები
ცანცარა ნისლების უარით,
ამინდზე რაღაცას გიყვები,
თან ვფიქრობ, გაკოცო თუ არა...

***

რატომ დახარე თავი, მითხარი,
კანკალით რატომ შეგიჩდნენ მხრები?
მარტოსული ხარ ახლა, ვით ქარი,
თუ ნაჭერივით ნატვრისხეს წყდები?
ისე გადის და შემოდის ღამე,
თითქოს კარები ამ გულს არ ებას,
შენც თუ ორჭოფობ, ბარემ გამოდი,
ერთიც ვეყოფი ჩემს მწუხარებას...

***

ქარი აქამდე ვერ ამოვა, ქარიყლაპია ეჭვები კი
დიდი ხანია დავიჭირე და მეზობლის ძაღლს შევაჭამე,
უაზროდ სულ რო ვიღიმები – ელეს არ მოსწონს ჩვევა
ჩემი,
ელეს ვუყვარვარ, შუბლშეკრული ზოგჯერ ცოტა ხნით
რო ვეშვები...
ელე სწრაფია, ეშმაკია, ელე ხის უკან იმალება, –
სამი მგელივით სერზე მიდის ელეს დაკარგვის სამი შიში,
ელემ ცოტახნით გამაშეშა, ელემ დიდი ხნით გამაშეშა,
მაგიჟებს კოცნით დასაფარი ელეს მტვრიანი ყვრიმალები.
ელე, გამოდი, გეხვეწები, გამოდი-მეთქი, დაგაფიცე,
ვაიმე, მგონი ფეხი ვიღრძე, გადავიხსენი ქვაზე მკლავი,
რო გეუბნები, დამიჯერე, შე ბლაგვი დანით დასაკლავო,
ნუ სარგებლობ, რო ძაან მიყვარს შენი თვალებით
ნაგები ცა..
ცრემლად ცალ-კედელ-ჩამოღვრილი, –ელეს
თვალმარცხნივ საყდარია,
სანთელი საყდრის სიახლოვეს ამოდის უცხო ბალახივით,
ლოცვის ბილიკებს ამოვყევით ბავშვები უფლის სანახავად,
ის წელაღვერა წუხილები, ნეტა, აქამდე სად არიან?
ელე გიცდისო , – დედაჩემმა, – მთაში მივდივართ
საბანაოდ:
მეორე დღეა მაღიღინებს ბავშვობის ერთი მოგონება, –
ღელეში ჭინკებს გვიღვიძებენ მზერათა ჭიაკოკონები,
შიშველ ფეხებზე, ოცნებებზე ნისლი გვახურავს

მგზავრები მოჯადოებულებივით მისჩერებოდნენ სამების ეკლესიას. ოდნავ მოშორებით მდგარი ლელთ ღუნიას სიამაყის გრძნობით, გაცისკროვნებული მზერით, შესცქეროდა განცვიფრებულ სახეებს. ბავშვები ცხენებიდან ჩამოსვეს და ყველამ ტაძრისკენ გასწია. მოხევემ ცხენები იქვე, ბუჩქზე მიაბა და ჯგუფს წინ გაუძღვა. გალავანს გასცდნენ და სამრეკლოს ძირში, ტაძრის ეზოში შესასვლელ კართან შეგროვდნენ. ამ დროს იქიდან სამი უცხოელი გამოვიდა. შორტები ეცვათ, საკმაოდ ასაკოვანნი ჩანდნენ. წელზე ხანჯლები ეკიდათ. არ უხდებოდა უცხოელ მოხუცებს ქართული ხანჯალი. ლელთ ღუნიას სიამაყის ღიმილი სიმწრის ღიმილში გადაუვიდა, მთელი ტანით დაიზაფრა, ყელზე ძარღვები დაებერა. შემდეგ უცხოელების თანმხლებ ახალგაზრდასთან მივიდა, ხელი მკლავში წაავლო, თავისკენ მიიბრუნა, თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა: – „სხვა მილეთის ხალხზედ, საიდან ქართველთა სატევარ“?!– ქვემოთ, ყაზბეგში იყიდეს, – მიუგო გაკვირვებულმა უცნობმა. მოხევემ მას ხელი გაუშვა, ცაში გამოკიდებულ მყინვარწვერს შეხედა და გაქვავებულმა წაიჩურჩულა: „მახევემ ხმალი გაყიდა მამა-პაპისა ნაქონი, ჟანგმა შეჭამა ქვეყანა, ამისა დამნახ-გამგონი“. შემდეგ ხმას უმატა. მისი ხმა დაჭრილი ირმის ბღავილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანისას:„ჰაი დედასა, ყაზიბეგ, ნისლ გადაიკარ თვალზედა, თერგ არ გაყუჩდე, იღმუვლეშენ ერისა სატირალზედა“.დასჯილივით ჩაქინდრა თავი. რამდენიმე წუთი ნაცემივით იდგა. მერე თანამგზავრს მიუბრუნდა: – ილია, წავედით! – არავის დამშვიდობებია, მძიმე-მძიმედ გააბიჯა ცხენებისკენ. ბავშვები, მათი აღმზრდელი და მძღოლი სიტუაციაში ვერ გარკვეულიყვნენ. ხან ყუროს მთას გახედავდნენ, ხან თერგს, ხანაც მყინვარწვერს, რომელმაც დამჯერი შვილივით მოხევის სიტყვას ყური უგდო და ნისლის ფარდის უკან დაიმალა. – ეკლესიაში შევიდეთ, – სიტუაციის განმუხტვა სცადა იამ. ყველამ ტაძრის შესასვლელთან მოიყარა თავი. მონუსხულები შესცქეროდნენ ხუროთმოძღვრის მიერ კარის ირგვლივ ლამაზი ორნამენტებით გრეხილ-ხვეულ ჩუქურთმას. – შეხედეთ, – თითი გაიშვირა სალომ ჩუქურთმის თავზე, ქვის ნაპრალში ამოსული მინდვრის შროშანისკენ, რომელიც თავმომწონედ, ალბათ, ღიმილით, ეგებებოდა იქ მისულ სტუმრებს...

მანუჩარ II ჯაყელი და

1578 წელს ოსმალთა სულთანმა მურად III-მ ირანის წინააღმდეგ ახალი ომი დაიწყო. „მესხური მატიანეს“ მიხედვით, შეტაკებები ოსმალებსა და ყიზილბაშებს შორის ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყო. „პატრონი მანუჩარ და პატრონი ერეკლე - ლაშქარი შეიყარეს - წავიდეს, ურუმთ პირს მიუდგეს“. მაგრამ ბრძოლაში არ ჩარეულან. „მობრუნდა ბატრონი მანუჩარ და აწყუჭრს ჩამოვიდა“.[1]

სულთანმა სარდლად ლალა მუსტაფა ფაშა დაინიშნა. ფაშამ საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ ქართველ მეფე-მთავრებს წერილები დაუგზავნა, მორჩილება და ირანის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება მოსთხოვა. 5 აგვისტოს ლალა მუსტაფა ფაშა არტაანში ჩავიდა და ფაქტობრივად ჯაყელთა საგამგებლოს საზღვარს მიადგა[2].

საათაბაგოს მმართველი ამ დროს ყვარყვარე IV იყო, თუმცა ოსმალთა სარდალმა მის ძმას, მანუჩარს გაუგზავნა წერილი. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „თურქეთის სარდალმა, ცხადია, კარგად იცოდა რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მისი ლაშქრობის წარმატებისათვის საათაბაგოს მმართველ წრეებში არევ-დარევის შეტანას, მათს ზნეობრივად მოშლას. აი რატომ მიმართა მან ზემოთ აღნიშნულ წერილებით მანუჩარს. ეს დამპყრობლების ჩვეულებრივი ხერხი იყო. მაგრამ საყურადღებოა, რომ ადრესატად მან აირჩია არა ათაბაგი ყვარყვარე IV და არც მისი დედა – პოლიტიკური ამბების მხურვალე მონაწილე დედისიმედი, არამედ მანუჩარი. ეტყობა, მას წინასწარვე ჰქონდა ცნობები ამ პიროვნების ზნეობრივი ავლადიდებისა და მისი უზომო მთავრობისმოყვარეობის შესახებ“.[3]

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყვარყვარესა და მანუჩარს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო და მანუჩარი ძმას „ხელისუფლებას ეცილებოდა“.[4]

სანამ ჯაყელთა საგვარეულოში არსებულ თუ არ არსებულ დაპირისპირებაზე ვისაუბრებთ, უნდა გავიხსენოთ თუ რა ვითარება იყო მესხეთში ლალა მუსტაფა ფაშას შემოსვის წინ. ცოტა ხნის დამთავრებული იყო სასტიკი და სისხლისმღვრელი ომი ჯაყელებსა და მათ მოწინააღმდეგე ფეოდალებს შორის. ერთიანობის გარეშე ამ ომში ჯაყელები ვერ გაიმარჯვებდნენ. ამ შინაომის დროს ძმები ერთად იბრძვიან და მათ შორის არანაირი წინააღმდეგობა არ ჩანს.

ქრისტინე შარაშიძე მართებულად აღნიშნავს ლალა ფაშას სურვილს, ჯაყელთა შორის უთანხმოების ჩამოგდების შესახებ. ამის გაკეთება კი, მართლაც, მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა – მანუჩართან დაკავშირებით. აბა, წერილის მიწერა ყვარყვარესადმი სრულიად გასაგები იქნებოდა და საგვარეულოში ურთიერთდაპირისპირებას არ გამოიწვევდა. არ არის აუცილებელი, რომ ძმებს შორის წინააღმდეგობა და ცილობა ყოფილიყო. ოსმალო სარდალს, უბრალოდ, სხვანაირად ჯაყელთა შორის დაპირისპირების გამოწვევა არც შეეძლო.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი რეალობა. სავარაუდოა, რომ მანუჩარი, თავისი პიროვნული თვისებებით, ძმას აღემატებოდა კიდეც და ფაშამ ამიტომაც მიმართა მას, როგორც სამხედრო საქმეში უფრო გამოცდილსა და გამოსადეგს. შემდგომში განვითარებული მოვლენები მართლაც დაადასტურებენ მანუჩარის ვაჟკაცობას, ენერგიულობას, გამჭრიახობას.

მანუჩარსა და ლალა ფაშას შორის აქტიური მიწერ-მოწერა გაიმართა. ფაშა **„მოითხოვს მანუჩარისაგან მორჩილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰპირდება ქვეყნის სრულ განადგურებას. შემდეგ მოდის კონკრეტული წინადადება, თუ რაში უნდა გამოიხატოს ეს მორჩილება: ოსმალეთის ჯარი მოამარაგოს საომარი იარაღით, სურსათ-სანოვაგით და ოსმალებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობაში და მეგზურობა გაუწიოს მას. ყოველივე ამის საფასურად, ლალა მუსტაფა ფაშა მანუჩარს პირდება, რომ მისი ქვეყანა დაცული და გაშენებული იქნება.„**[5]

ჯაყელის ამ მუქარით შეშინება ძნელი იქნებოდა. თანაც, მანუჩარი ალბათ კარგად ხვდებოდა, რომ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ოსმალებთან „ვაჭრობა“ და უკეთესი პირობების მიღება სავსებით რეალური იყო. მანუჩარი საპასუხო წერილში **„მოითხოვდა არა მარტო მის მფლობელობაში მყოფი მამულების შენარჩუნებას, არამედ კიდევ უფრო მეტი, მას სურდა დაებრუნებინა ის ადგილები და ციხეები, რომლებსაც ადრე მისი წინაპრები ფლობდნენ“.** მუსტაფა ფაშა მანუჩარის მოთხოვნებს დათანხმდა. თუმცა აღნიშნა, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდებოდა, რაც მანუჩარი საქმით დაამტკიცებდა თავის ერთგულებას. მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდა. ჯაყელი ამჯერად **„მოითხოვდა, რომ ოსმალებს ხელი არ ეხლოთ ადგილობრივი მოსახლეობისა და რელიგიისთვის. საპასუხოდ ლალა ფაშა წერდა, „თქვენ თვითონ, თქვენს ქვეშევრდომებს, ციხეებს, ნაჰიებსა და თქვენს ჯარისკაცთაგან არავითარი გზით არავინ არ გაეკარება და წინააღმდეგობას არ გაუწევს. თქვენ თვითონ ბედნიერად იქნებით და თქვენი ქვეშევრდომები**



კეთილდღეობაში იქნებიან. თქვენს მფლობელობაში მყოფი ადგილები, ისევე როგორც უწინ, თქვენს განკარგულებაში იგულეთ“.[6]

ამაზე უკეთესი პირობების მიღება ოსმალთაგან შეუძლებელი იყო. სხვა საკითხია, სჯეროდა თუ არა მანუჩარს, რომ ოსმალები პირობას ბოლომდე შეასრულებდნენ?

არსებობდა მეორე გზაც, ომის გზა – ოსმალებთან ბრძოლის დაწყება. მანუჩარი, სავარაუდოდ, კარგად ხვდებოდა, რომ მარტო საათაბაგოს (თანაც თითქმის ორწლიანი შიდა ომის შემდეგ) ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლო. საერთო ქართული კოალიციის შექმნა თითქმის შეუძლებელი იყო. ომის გზა უეჭველ დამარცხებასთან ერთად, საათაბაგოს აოხრებასა და მოსახლეობის გაწყვეტას ნიშნავდა. ასე რომ, რეალურად ასარჩევიც არაფერი იყო.

ამასობაში ოსმალთა ჯარი საქართველოს საზღვრებში შემოვიდა. **„მარიამობისთუჭს ზ (7) ხუთშაბათს დღესა ხუანთქრის ლაშქარი და ლალაფაშა მგელციხის ციხეს მოადგეს, შეიბნეს. სამშაბათამდის ყოველთ დღეთ ომში იყუნეს ციხოანი. გოგორიშვილი როინ და მისი ძმა ბერი ერუშნელი და მისი ძმისწული ზურაბ იყუნეს, მათის ყმითა და ღთის შეწევნით უკუყარნეს და ციხე ჩუენვე დაგურჩა, ჩუენთ გაემარჯუა. პარასკევს დღესა, ჭ (8) მარიამობისთუჭსა ქაჯის ციხე, ველი და თეთრციხე წაგუართუჭს ურუმთა და ქაჯის ციხის მეციხოვნენი სრულად შემოეჴოცნეს.„**[7]

ოსმალო ისტორიკოსისი იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, ლალა ფაშა **„(9 აგვისტოს) არტაანიდან დაიძრა და ველე-ს ციხის მახლობლად დაბანაკდა. შესაძლებელი გახდა ამ ციხის ადვილად დაპყრობა. მეორე დღეს ჯარი იენი-ყალას უსწორმასწორო ადგილებში დაბანაკდა. ეს ციხე მდებარეობს ორ მთას შუა, მაღალი გორაკის მწვერვალზე. მაღალი ალაჰის შემწეობით სასტიკი ბრძოლის შემდეგ ციხე აღებულ იქნა შუადღემდე„**[8]. ჩვენი აზრით, ქართველი მემატიანე უფრო ზუსტ ცნობებს იძლევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 9 აგვისტოს ჩილდირის ბრძოლა გაიმართა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ 9 აგვისტოს არტაანიდან გამოსულ ოსმალთა სარდალს, იმავე დღეს გადამწყვეტი ბრძოლა გაემართა მოწინააღმდეგესთან.

1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირთან, ირან-ოსმალეთის მეორე ომის გადამწყვეტ ბრძოლაში ოსმალებმა ყიზილბაშთა და ქართველთა გაერთიანებული ჯარი დაამარცხეს. **„მანუჩარი ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა. იდგა იქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა“.**

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ოსმალთა სარდალი **„დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა მანუჩარის მხარდაჭერას ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. დონ ხუან სპარსელის ცნობით, ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარი დიდი ალერსით მიიღო და ამის შესახებ სულტანს აცნობა, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, მომავალი დიდი ამბების დასწყისის კარგი მომასწავებელი.„**[9]

რა მნიშვნელობა ჰქონდა მუსტაფა ფაშასთვის მანუჩარის მხარდაჭერას? ჯაყელი კარგი სარდალი და უბადლო მეომარი იყო. მისი 6 000 მებრძოლიც ხელწამოსაკრავი ძალა არ იყო. თუმცა, ჩილდირის ბრძოლაში მოპოვებული დიდი გამარჯვების შემდეგ, ოსმალები მანუჩარის გარეშეც შეძლებდნენ დასახული ამოცანის შესრულებას. ეგებ მუსტაფა ფაშას მანუჩართან ურთიერთობა სჭირდებოდა, როგორც მაგალითი, სხვა ქართველი მეფე-მთავრებისთვის, რომ თუ ისინიც ჯაყელივით მოიქცეოდნენ, არაფერი დაემუქრებოდათ. გარდა ამისა, ცხადია, ოსმალთა სარდალი მანუჩარის დახმარებით საათაბაგოს უბრძოლველად დაკავებას ცდილობდა.

თომაზო მინადოის **თანახმად, „მანუჩარის მოსვლამ ოსმალთა ბანაკში გააორკეცა მუსტაფას სიხარული. მან ბრძანა, რომ ყველა ფაშა და ჯარის ნაწილების სხვა მეთაურები სრული წესრიგით, დიდი ზეიმით, საყვირების დაკვრით, ზარბაზნების სროლით და სიხარულით მიგებებოდნენ მანუჩარს და მას წინ გაძღოლოდნენ მანამ, სანამ მანუჩარი მივიდოდა ლალა ფაშას კარავში. როცა მანუჩარი გამოცხადდა მუსტაფასთან, ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, გაამეორებინა ზარბაზნებისა და თოფების სროლა და საყვირებისა და დაფდაფების ხმაური. მართალია, ლალა ფაშამ მანუჩარი დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა გაუმართა, მაგრამ იქვე უსაყვედურა და დასძინა, რომ მისთვის კიდევ უფრო სასიამოვნო იქნებოდა, თუ იგი მის მოწოდებას დროზე გამოეხმაურებოდა და მასთან დაუყოვნებლივ გამოცხადებოდა“.**

მართებულია ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ჯაყელებსა და ოსმალთა სარდალს სხვადასხვანაირად ესმოდათ თუ რას ნიშნავდა საათაბაგოს მორჩილება **„ბრწყინვალე პორტასადმი“.**[10] თითოეული მხარე „მორჩილების“ გაგებაში იმ შინაარსს დებდა, რაც თვითონ აწყობდა. მანუჩარი – მაქსიმალურ დამოუკიდებლობასა და მინიმალურ დაქვემდებარებას, ხოლო სულთნის კარი პირიქით – მინიმალურ დამოუკიდებლობასა და მაქსიმალურ დაქვემდებარებას.

ოსმალები მესხეთის ციხეების დაკავებას განაგრძობდნენ. **„იმავ კუირას, ი (10) მარიამობისთუჭსა, პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა. ვერც ლაშქრის ომსა და ვერც ციხეების აღებას ვერ მიესწრა. ამილახორიშვილი ქოიარ მიეგებაჲ არტანს და ორი ციხე მან შესძღუნა ლალაფაშასა მარიამობისთუჭსა ორსა. აგრეთვე არფაქსად ჰბირებოდა ექუსით ციხეთა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძღუნა და პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა, იმწამს გამოჰგუარეს, ციხეები გამოართუჭს და ხახული სასანჯახოდ მისცეს. პატრონმა მანუჩარ იზ (17) ამავე თუჭსა თმოგუის ციხე მისცა ლალაფაშასა.„**[11] თმოგვი შალიკაშვილთა ერთ-ერთი მთავარი ციხე-სიმაგრე იყო. იქ კოკოლა შალიკაშვილის მეციხოვნეები იდგნენ და საინტერესოა როგორ „გადასცა“ მანუჩარმა ოსმალებს შალიკაშვილების ციხე? აქ, ალბათ, იგულისხმება ფორმალური გადაცემა.

ქ.შარაშიძე წერს: **„სად იმყოფება მანუჩარი 1578 წლის მარტიდან მარიამობის თვის 10 რიცხვამდი, არ ჩანს. „მატიანე“, საერთოდ სდუმს ამ საბედისწერო ხუთი თვის ამბების შესახებ“.** მკვლევარის აზრით, მანუჩარი ლალა ფაშასთან 2 აგვისტოზე ადრე მიდის არფაქსად ამატაკიშვილთან ერთად და ოსმალებს ექვს ციხეს, მათ შორის ხერთვისს, უძღვნის. საბოლოოდ მეცნიერი აკეთებს დასკვნას, რომ **„მანუჩარის ყოველი ნაბიჯი 1578 წლის მარტიდან მოყოლებული, როდესაც იგი ბრძოლის ველიდან მობრუნდა და აწყურს ჩამოვიდა, ამავე წლის მარიამობისთვის (აგვისტოს) 17-დის, როცა მან თმოგვის ციხე მისცა ლალა-ფაშას, გამცემლობით არის აღბეჭდილი.„**[12] მძიმე ბრალდებაა! ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით გავერკვეთ მოვლენათა თანმიმდევრობაში, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქ.შარაშიძე ეყრდნობა ჰამერის (Hammer) ცნობას, რომ მანუჩარი ჩილდირის ბრძოლამდე ორი კვირით ადრე მივიდა ლალა ფაშასთან.[13] სავარაუდოდ ჰამერის ცნობა მცდარია. მას არ ადასტურებენ სხვა წყაროები. იბრაჰიმ ფეჩევის თანახმად, **„ხსენებული ბეგი ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა. იდგა აქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა. და, როგორც კი გაიგო, თუ რა ბედი ეწია თოქმაქ-ხანს, წამოვიდა მანუჩარი დილას და ღირსეული სარდლის კარავში შეაღწია„**[14]. თუ მანუჩარი ჩილდირის ბრძოლამდე გამოცხადდა ოსმალებთან, გადასცა მათ ციხეები, ანუ თავი მათ ვასალად აღიარა, განა გასაკვირი არაა, რომ ჩილდირის ბრძოლაში ოსმალებს არ ეხმარებოდა? ჩილდირის ბრძოლის დროს მისი საქციელი იმაზე მიუთითებს, რომ მას კავშირი ჯერ არც ერთ მხარესთან არ აქვს და მოვლენათა განვითარებას ელოდება.

„მესხური მატიანეს“ მიხედვით, 2 აგვისტოს ქოიარ ამილახორიშვილი არტაანში შეხვდა ოსმალებს და ორი ციხე გადასცა. 7 აგვისტოს ოსმალები მგელციხეს შემოადგნენ, მაგრამ ვერ აიღეს. 8 აგვისტოს კი მათ ქაჯის ციხე, ველის ციხე და თეთრციხე აიღეს. 9 აგვისტოს გაიმართა ჩილდირის ბრძოლა. 10 აგვისტოს მანუჩარი ქაჯის ციხეს „შეეყარა“, მაგრამ, ცხადია, იქ მას ოსმალთა გარნიზონი დახვდებოდა (ქაჯის ციხის დამცველები ყველანი ბრძოლაში დაიღუპნენ). 17 აგვისტოს მანუჩარი ოსმალებს თმოგვის ციხეს გადასცემს. უცნობია, როდის მივიდნენ არფაქსადი და მანუჩარი ოსმალებთან. მემატიანის სიტყვებიდან გამომდინარე – **„პატრონს მანუჩარს თან მიჰყუა“** – ქ.შარაშიძე ვარაუდობს, რომ მისვლისა და ექვსი ციხის გადაცემის ინიციატორი მანუჩარი იყო და არა არფაქსადი. მატიანეში ჯერ წერია, რომ 2 აგვისტოს ქოიარ ამილახორიშვილი მივიდა ოსმალებთან და მერეა აღნიშნული არფაქსადისა და მანუჩარის მისვლა „ურუმებთან“. აქ გასათვალისწინებელია, რომ ქოიარის მისვლის ამბავი 10 აგვისტოს განვითარებული მოვლების აღწერას მოსდევს, ანუ დარღვეულია თხრობის ქრონოლოგია. ამიტომ ძნელი სათქმელია არფაქსადის და მანუჩარის მისვლა ოსმალებთან ზუსტად როდის მოხდა.

ჩვენი აზრით, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 2 აგვისტოს ქოიარ ამილახორიშვილმა ოსმალებს ორი ციხე გადასცა. 7 აგვისტოს ოსმალებმა მგელციხის წარუმატებელი იერიში დაიწყეს, ხოლო 8 აგვისტოს ქაჯის ციხე, ველის ციხე და თეთრციხე აიღეს. 9 აგვისტოს გაიმართა ჩილდირის ცნობილი ბრძოლა. 10 აგვისტოს მანუჩარი ქაჯის ციხეს ოსმალთა გარნიზონს „შეეყარა“. ამის შემდეგ ის და არფაქსადი მიდიან ოსმალებთან. 17 აგვისტოს კი მანუჩარი ოსმალებს თმოგვის ციხეს გადასცემს. მართებულია ქ.შარაშიძის შენიშვნა, რომ 7-8 აგვისტოს ბრძოლების დროს მანუჩარი არ ჩანს. მაგრამ ამ ბრძოლებში არც სხვა ვინმე ჩანს. არც ჯაყელთაგან და არც მათ მოწინააღმდეგეთაგან. ბრძოლას მხოლოდ ციხის გარნიზონები აწარმოებენ.

ლალა-ფაშა არტაანში 5 აგვისტოს ჩავიდა. ჩვენ არ ვიცით სად იყო ამ დროს მანუჩარი. დავუშვათ, ახალციხეში. როდის შეიტყობდნენ ამ ამბავს ჯაყელები? ყველაზე კარგ შემთხვევაში, მეორე დღეს – 6 აგვისტოს. ცხადია, მანუჩარს არ ეცოდინებოდა ლალა-ფაშას გეგმები. ამიტომ ის წინასწარ (პრევენციის სახით) ვერაფერს დაგეგმავდა. მას მხოლოდ რეაგირების გაკეთება შეეძლო ოსმალთა სარდლის ქმედებებზე. თუნდაც, ვივარაუდოთ, რომ მან მოწინააღმდეგის გეგმა – მგელციხეზე შეტევა გამოიცნო, ის ახალციხიდან დაიძრებოდა 7 აგვისტოს, ანუ იმ დღეს, როდესაც ოსმალებმა მგელციხეს შეუტიეს. რეალურად მანუჩარს მგელციხისკენ მოძრაობა შეიძლება დაეწყო მხოლოდ მას შემდეგ,

1 შარაშიძე გვ. 47; 2 სვანიძე გვ. 103; 3. შარაშიძე გვ 166-167; 4. სვანიძე გვ. 103; 5. სვანიძე გვ. 105; 6. სვანიძე გვ. 106; 7. შარაშიძე გვ. 47; 8. ს.ჯიქია, ირაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. 1964 წ. თბ. გვ. 39; 10. სვანიძე გვ. 109; 11. სვანიძე გვ. 110; 12. შარაშიძე გვ. 48-49; 13. შარაშიძე გვ. 163-166; 14. შარაშიძე გვ. 165;

ლალა მუსტაფა-ფაშას 1578 წლის ლაშქრობა

რაც ამ ციხესთან დაწყებული ბრძოლის ამბავს გაიგებდა.

ლალა-ფაშა არტაანიდან ჩილდირის მიმართულებით დაიძრა. ველის ციხე, ქაჯის ციხე და თეთრციხე ოსმალთა ჯარის მოძრაობის არეალში მოექცნენ. სავარაუდოდ მის ასაღებად ლალა-ფაშა საგანგებო რაზმს გაგზავნიდა, მაშინ როცა გზაზე მყოფი ველის ციხის, ქაჯის ციხისა და თეთრციხის აღება ძირითად ლაშქარს მოუწევდა (მანძილი არტაანიდან ჩილდირამდე ოსმალებს თავისუფლად შეეძლოთ ერთ დღეში გაევლოთ. სავარაუდოდ, ციხეების ასაღებად ლალა-ფაშა გარკვეულ ძალას ტოვებდა და დანარჩენი ლაშქარი გზას აგრძელებდა). მგელციხე ოსმალთა მარშრუტში არ ხვდებოდა, ის უფრო ჩრდილოეთითაა მტკვრის ხეობაში. მგელციხე ჯაყელთა ერთ-ერთი უმთავრესი დასაყრდენი იყო. მისი აღების მცდელობა, ოსმალთა მხრიდან ჯაყელებთან დადებული შეთანხმების დარღვევად შეიძლება ჩავთვალოთ. ამიტომ, თავის მხრივ, მანუჩარსაც შეეძლო შეთანხმება გაუქმებულად ჩაეთვალა და ბრძოლა დაეწყო, მაგრამ ასე არ გააკეთა.

მგელციხისათვის ბრძოლა ხუთშაბათს – 7 აგვისტოს დაიწყო და სამშაბათამდე, ანუ 12 აგვისტომდე გაგრძელდა. ცხადია, მანუჩარს თავისუფლად შეეძლო ამ ბრძოლისთვის მიესწრო, მაგრამ არ მივიდა. რაც შეეხება ოსმალთა მიერ 8 აგვისტოს დაკავებულ ციხეებს, თუ მანუჩარი ახალციხიდან 7 აგვისტოს დაიძრა, შეიძლება ვერც მიესწრო.

შეიძლება გვეფიქრა, მანუჩარ ჯაყელი იმიტომ არ ჩანს 7-8 აგვისტოს ბრძოლებში, რომ, უბრალოდ, ვერ მოასწრო ბრძოლების ადგილზე მისვლა. თუმცა მგელციხესთან მისი მიუსვლელობა უფრო სხვა რამეს გვავარაუდებინებს. მანუჩარი ოსმალებთან პირდაპირ შეტაკებას გაურბოდა (არ სურდა თავიდანვე დაპირისპირება და ომის დაწყება) და დროს „ჭიმავდა“. ელოდებოდა, რა მოხდებოდა. შეიძლება მისი ეს გადწყვეტილება გარკვეულწილად ღალატად ჩავთვალოთ. ოსმალებთან ბრძოლის გამართვა ძალიან პატრიოტული და თავდადებული საქციელი იქნებოდა, მაგრამ რამდენად რაციონალური? მანუჩარის პოზიცია ციხესიმაგრეების დამცველთა გაწირვას ნიშნავდა. მართალია ზოგი ციხე მის მოწინააღმდეგეებს ეკუთვნოდა და ჯაყელს შესაძლოა მისი გარნიზონის ბედი არ აღელვებდა, პირიქით, მოხარულიც კი იქნებოდა, თუ, ვთქვათ, შალიკაშვილების კუთვნილი ქაჯის ციხე დაეცემოდა, მაგრამ ნაწილი ციხეებისა ჯაყელების კუთვნილებას წარმოადგენდა (მგელციხე ჯაყელების ერთ-ერთი მთავარი ციტადელი იყო). მანუჩარის პოზიცია ალბათ მცირეს გაწირვით უფრო მნიშვნელოვანის გადარჩენა იყო.

ჩილდირის ბრძოლის შემდეგ კი ყველაფერი გაირკვა და მანუჩარიც ლალა-ფაშასთან გამოცხადდა.

რთულია პასუხის გაცემა კითხვაზე, რა უნდოდა მანუჩარს 10 აგვისტოს ქაჯის ციხესთან? ძნელი დასაშვებია, რომ ოსმალთა მიერ ამ ციხის დაკავების ამბავი არ ცოდნოდა.

სწორედ ამის შემდეგ მიდიან არფაქსადი და მანუჩარი ოსმალებთან. ქ.შარაშიძე აქცენტს აკეთებს სიტყვებზე – **„არფაქსად... პატრონს, მანუჩარს თან მიჰყუა“** და თვლის, რომ მისვლის ინიციატორი ჯაყელი იყო. მატიანეში პირდაპირ წერია, **„არფაქსად ჰბირებოდა ექუსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლუნა.“** მემატიანის სიტყვები შეიძლება ასეც გავიგოთ, რომ მანუჩარს თავისი საქმე ჰქონდა ოსმალებთან, არფაქსადმა კი გამოიყენა მანუჩარის კავშირი ლალა-ფაშასთან და მას გაჰყვა.

ლალა მუსტფა-ფაშასა და ჯაყელებს შორის მოლაპარაკების შედეგად ამ უკანასკნელებს ებოძათ: **„ქაიხოსროს შვილთაგან ზემოხსენებულ მელიქ მანუჩარს – აწყურის სანჯაყი, მის ძმას მელიქ ყვარყვარეს ძველთაგანვე მისი დაბადების ადგილი – ოლთისის სანჯაყი და სხვა მის ძმებს – დიდი ზეამეთები და მათ დედას ზემოაღნიშნულ დედისიმედს – სამი სოფელი სახასო მამული“.**[15] აღსანიშნავია, რომ **„ოსმალეთის მთავრობა საერთოდ მიღებულ წესს არღვევდა, როდესაც ათაბაგის სახლის წევრებს ქრისტიანობით და არა მაჰმადიანობით უმტკიცებდა მიწის ნაკვეთს, რაც მეტად იშვიათი მოვლენა იყო ოსმალეთში“.**[16]

ლალა მუსტაფა-ფაშასა და ჯაყელების ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის თხზულებაში: **„საქართველოს მეფე ქალმა, დედისიმედად წოდებულმა, თავისი შვილი მანუჩარი ექვსათასიანი ქართველთა ჯარით და რამდენიმე აზნაურით გაგზავნა და უბრძანა – რომელი მხარეც გამარჯვებული გამოვა, იმ მხარეს დამორჩილდითო. როდესაც მანუჩარმა დაინახა, რომ ისლამის ჯარია გამარჯვებული, მივიდა და მათ მორჩილება მოახსენა. სარდალმა მას პატივი სცა, საპატიო ხალათი ჩააცვა, ყიზილბაშთაგან აღებული დოლი და დროშები უბოძა. შემდეგ არტაანის ბეგი აბდარ-რაჰმანი გაგზავნა და აიღო და დაიპყრო ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისისა და ახალქალაქის ციხეები. ზემოხსენებული მანუჩარი საქართველოს მეფეების დიდებულთა ჩამომავალი იყო. მამამისი – ქაიხოსრო რომ გარდაიცვალა, ის და მისი ძმა ყვარყვარე პატარები დარჩნენ. მათმა დედამ – დედისიმედმა ქვეყნის საქმეების მოწესრიგება დაიწყო. იგი ალთუნ ყალას[17] ფადიშაჰის სახელწოდებით იყო ცნობილი. მანუჩარი თავის ძმასთან – ყვარყვარესთან ერთად სარდლის უდიდებულესობის წინაშე მივიდა. რომ**ელ**ი**ც** **ა**ი**ნ**ი**ც** **ა**ი**ნ**ი**ც** **ა**ი**ნ

ერთი ღლე ჯავახეთში

„მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე მადგა მზესავითა,
კალმახი და დიკის პური
წინ მეყარა ბზესავითა“.
ხალხური

ჯავახეთი... ისტორიული მესხეთის ერთ-ერთი მრავალჭირვარამგამოვლილი, ტყიანი და უტყეო, კლდოვან-ქარაფოვანი და მრავალი ტბებით მდიდარი, ლეგენდებად ქცეული მხარეა, მარტო ლეგენდა „თავფარავნელ ჭაბუკზე“ რად ღირს!

დიდი ხანია არ ვყოფილვარ ჯავახეთში, არა და ჩემი ბავშვობის მრავალი წელი იქ მაქვს გატარებული. ხშირად ვსტუმრობდი ჯავახელ მამიდას. სამწუხაროდ, ის ჯავახური სოფელი, რომელიც ქარაფზე იყო გაშენებული, დღეს ნასოფლარადაა ქცეული. იმ სოფელს უცნაური სახელი ერქვა – „დამკალი“. დამკლიდან, როგორც ხელისგულზე, ისე ჩანდა თმოგვი, წუნდა, ნაქალაქევი, კუმურდო, ხოლო იმის იქით – ჩრდილო-აღმოსავლეთით – ვარევანი, ხანდო, გოკია...

მომენატრა ჯავახეთი... აქაურ ძველ ფურნეში გამომცხარი დიკის პურის გემო, მისი სუნი მთელ სოფელს რომ მოეფინებოდა...

და, ერთ დღესაც, ჩემი ძველი კოლეგა დიმიტრი მაღრაძე შემხვდა:

– იცი, გოკიაში, ჩემს ახლობელს, ძველი ეკლესიის ტერიტორიაზე, მიწაში დამარხული, უცნაურ ფიგურებიანი დიდი ქვა აღმოუჩენია, იქნებ დრო გამოვნახოთ, წავიდეთ და ვნახოთო!

მალე ჩვენსავით დაინტერესებულნი შევიკრიბენით – ივერიელ ლექსო ღორჯომელაძესა და ავთანდილ ბერიძესთან ერთად გოკიას გზას დავადექით. ლექსო საჭეს უზის. ის მშობლიურ კუთხეზე ფანატიკურად შეყვარებული, ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცია. გამაკვირვა მისმა მოქმედებამ: შვილიშვილს ელოდებოდა, რძალი იმ დილით ახალციხის სამშობიაროში დაუწვენიათ. მალიმალ მობილური ტელეფონით თავისიანებს ეხმაურება...

– ბიჭს ველოდები, ბიჭს! – იმეორებს ხშირად.

ლექსო კარგი მოსაუბრეა. ის ხან საქართველოს ისტორიაზე საუბრობს, ხან რომელიმე ქართველი პოეტის ლექსს კითხულობს, შიგადაშიგ საკუთარ ლექსებსაც გამოურევს ხოლმე.

ხერთვისის ციხეს ავუარეთ გვერდი. ფარავნის მტკვარს მივუყვებით ზემოთ და ზემოთ. ხუთიოდე კილომეტრის შემდეგ, მტკვრის ხეობის მარჯვნივ გადავუხვიეთ და ხანდოს ხევს ავუყევით. მშვენიერი გზაა. ის-ის იყო, ხეობას გავცდით და ხანდოს მივუახლოვდით, რომ ხანდოს ბოლოში, ზედ ქარაფზე, სამსართულიანი სასახლე გამოჩნდა. ბუნებრივ ლანშაფტს ლამაზად იყო შერწყმული დიდი გემოვნებით ნაგები შენობა. უნებლიედ, ძველი თბილისის – მტკვარზე გადმოკიდებული აივნიანი სახლების ასოციაცია გამიჩნდა. მოგვიანებით გავიგეთ, ის გზა და ეს სასახლეც რუსეთში მოღვაწე აქაურ ბიზნესმენს გაუკეთებია.

ღმერთმა დალოცოს ასეთი ბიზნესმენები, რომლებიც ასე ეხმარებიან საკუთარ სოფელს.

აღმართი რამდენიმე წუთში ავათავეთ. უკან, მარჯვნივ, მოვიტოვეთ ხანდო, ვარევანი. აი გოკიაც გამოჩნდა. თრიალეთის მთათა გრეხილის ძირს მიყუჟული ჯავახური ლამაზი სოფელი.

გვიანი შემოდგომაა. ერთბაშად ჯავახეთის სოფლებისთვის დამახასიათებელ განსხვავებულ ოაზისში აღმოვჩნდით.

თვალებს არ ვუჯერებთ: სოფელში ჯერ კიდევ დაუკრეფავი ვაშლის, მსხლის, ჭანჭურის დახუნძლულ ხეებს ვხედავთ. სად ჯავახეთის ზეგანი და სად ხილი?! ან ეს ცად აზიდული ცაცხვის ხეები როგორ ამშვენებენ სოფლის შესასვლელს!

ჩვენი მასპინძელი ამირან ტაბატაძე ჯავახური სტუმართმოყვრობით გულითადად გვეგებება და სანამ ნამგზავრები სუფრას მივუსხდებოდით, ის, იქვე, სახლიდან ათიოდე ნაბიჯზე, თითქმის სახლის ეზოში მდებარე ეკლესიის ნანგრევებისკენ გაგვიძღვა:

– აი, ეს ქვა აღმოვაჩინე – მე და ჩემმა ვაჟებმა ძლივს ამოვიღეთ მიწიდან, – ამბობს და ეკლესიის შიგნით, შემაღლებულ ადგილზე



დადებულ დიდ ფილა ქვაზე მიგვითითებს. დაკვირვებით ვათვალიერებთ. დიდი ზომის საფლავის ქვაა – რელიეფურად გამოსახული სამუშაო იარაღები – მაკრატელი, ჩაქუჩი, გირაგი, სწორედ ისეთი, როგორი საფლავის ქვებსაც ხელოსნის გარდაცვალების შემდეგ ახლობლები მიცვალებულს რომ უკეთებდნენ. თითქოს იმედი გამიცრუვდა... ეს მასალა ხომ გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა დევი ბერძენიშვილმა შეიტანა თავის საინტერესო წიგნში – „ჯავახეთი“, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გამოიცა. მაგარამ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დათვალერებამ, რომელიც ასე გულდაგულ შემოუღობავს ჩვენს მასპინძელს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: საკმაოდ დიდი მოცულობის უამრავი ცხენის ქანდაკებები, ქვა-ჯვრები, ვერძები, აკვანი. ესენი ხომ საფლავის ტრადიციული ქვებია. ასეთ ქვებს მხოლოდ მხედრებს ადგამდნენ, ვერძებს – კარგ მწყემსებს, აკვანს – მშობიაროობას გადაყოლილ ქალებს...

რაც შეეხება ეკლესიას: მკვლევარები მას VIII-IX საუკუნეების ძეგლად მიჩნევენ. იგი მცირე ზომისაა და ისეა დანგრეული, რომ მხოლოდ კვადრატს მიახლოებული გეგმა იკითხება. შემორჩენილია ნალისებური მოყვანილობის სამი აფსიდი, რომლებიც საკურთხევლის კედელზეა აღმართული.

ჩამოშლ ნანგრევებს შორის შემორჩენილია კარნიზის ქვები და ბოლნური ჯვრის გამოსახულება. აღნიშნული ქვები მოყვითალო ფერისაა და ისეა შემონახული, რომ მათში არ იგრძნობა სიძველის კვალი. აქვეა დაცული არქიტავრის (სწორხაზოვანი) ქვა, განედლებული ჯვრის დახვეწილი გამოსახულებით.

ეკლესიის სამხრეთ ფასადზე გამოსახულია საინტერესო დეტალი – ფარი და ხმალი. მეცნიერთა აზრით, მისი ანალოგი ქართულ ხუროთმოძღვრებაში არ მოიპოვება.

– აქეთ სხვა ეკლესიის ნანგრევებიცაა შემორჩენილი, – ამბობს ბატონი ამირანი. სოფლის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში შვიდი საინტერესო და მნიშვნელოვანი ეკლესიის ნანგრევებია, რომელთა არქეოლოგიურ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, სამწუხაროდ, აქეთ ჯერ არავის არ გამოუხედავს! ცოტაც და, შესაძლოა, უყურადღებობამ სამუდამოდ დაგვაკარგვინოს ქართული სულის მატარებელი ეკლესიების იერსახეც კი. მერე, სოფლის შუაგულში, შემაღლებული ბორცვისკენ წაგვიძღვა მასპინძელი. ადგილზე მისულნი, თვალებს არ ვუჯერებთ, ჯავახური ლანშაფტისთვის დამახასიათებელ, ბუნებრივად ამოზიდულ დახავსებულ, ვებერთელა ქვათა და მათ შორის მიმოფანტულ უამრავ ცხენიან საფლავის ქვებს შორის ფუნდამენტამდე შემოძარცვული ეკლესიის ნანგრევებია. მათ შორის კარგად იკვეთება ეკლესიის გეგმა: აღმოსავლეთით მიმართული ოვალური საკურთხეველი, სამი პილასტრის კვალი. ეკლესია საკმაოდ დიდი ზომისაა (24X12), იგი ერთნავიანი, დარბაზული ტიპის ბაზილიკას წარმოადგენს, რომლის პირვანდელ სახეს, ეკლესიის სიახლოვეს, სანახევროდ მიწაში ჩაფლული ეკლესიის მაკეტი წარმოადგენს. სამცხე-ჯავახეთში არ მინახავს ასეთი დიდი ზომის, შუა საუკუნეების ერთნავიანი ბაზილიკა. ჩემი ვარაუდით, ეკლესია IX-X საუკუნეებს შეიძლება მივაკუთვნოთ. მას კარგად ეტყობა მოპირკეთების კვალი, თუმცა, შემოგარენში, მოპირკეთებული პერანგის ფრაგმენტები ვერ აღმოვაჩინეთ. ვინ იცის, იქნებ ჟამთა სიავემ, ისე იავარჰყო ეკლესია, როგორც აწყურის უნიკალური ტაძარი.

სამწუხაროდ, ისტორიულ წყაროებში, აღნიშნული ეკლესიის შესახებ ძალზე მწირი ცნობებია შემორჩენილი. დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენიებს მხოლოდ გოკიას, როგორც მცირე ქალაქს:

„ხოლო ხერთვისის ზეით ამ ჯავახეთის წყალს ერთვის გოკიის მდინარე, გამოსდის შარვაშეთის მთას ანუ ჯავახეთისას, მოდის გოკიამდე ჩრდილოდამ სამჴრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ჯავახეთის მტკუარს ჩრდილოდამ. გოკია არს ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი. გოკიას ქუეით ამ გოკიის წყალს ერთვის ოლდამის წყალი, გამომდინარე შარვაშეთის მთისა და მომდინარე ჩრდილოდამ სამჴრით“ *(იხ.ვ.ბაგრატიონი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. 4. გვ. 669, გამ. 1973).*

სოფლის თავზე, მარცხნივ, ორი დიდი გორაა. ერთ-ერთ გორაკზე უძველესი გალავნის ფრაგმენტებია შემორჩენილი საბრძოლო გოდოლით. მის მიდამოებში მრავლადაა წინა ფეოდალური და ფეოდალური ხანის კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევები.

თუ შუა საუკუნეების ქალაქების შესახებ ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სამცხე-ჯავახეთში წარმოიშვა ახალი ქალაქები: ახალციხე, ახალქალაქი, თმოგვი, ხერთვისი, გოკია, ბარალეთი და სხვ. მათი წარმოშობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მომძლავრებისა. უფრო მოხერხებულ დიდ სავაჭრო გზებზე მდებარე ეს ქალაქები მალე დაწინაურდნენ და გაუსწრეს მესხეთის ისეთ უძველეს ქალაქებს, როგორებიცაა წუნდა და არტანუჯი. 1392 წელს გოკია საკათალიკოსო მამულებში ითვლება თავისი ტერიტორიით.

ნიკ. ვიტსენის ცნობით – **მე-17 საუკუნეში სამცხის საათაბაგოში 10-ზე მეტი ქალაქი ყოფილა. მე-18 საუკუნის დასაწყისში – 15, ხოლო იმავე საუკუნის ბოლოს, მხოლოდ რამდენიმე ქალაქი მოიხსენიება, ნაწილი გაქრა, განადგურდა, ზოგი – დაიმცრო.**

მაგალითად, თუ ადრე თმოგვი ქალაქი იყო **„მე-18 საუკუნის დასაწყისში მხოლოდ დაბაა, ასევე ოძრხე, რომელიც ადრე იყო ქალაქი და ციხე“**, შემდეგ დაბად გადაიქცა, ხოლო მე-18 საუკუნის 30-იან წლებში სულაც განადგურდა და გაუქმდა. XVI საუკუნის ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, ოსმალთაგან დაპყრობილ ჯავახეთში, „ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, სოფელი გოკია ხერთვისის ლივაში შედის ტყე-ჯავახეთის რაიონში სადაც 18 კომლი ქრიატიანი ქართველი ცხოვრობს ტრადიციული მეურნეობით. ჰქონიათ ერთი თვალი ნისქვილი 6 თვით, ორი თვალი კი მაშინვე გაპარტახებულა. ასევე ჰქონიათ ზეთსახდელი. მათ სარგებლობაშია ჩაირი თეთრობი, ამთი წლიური გადასახდელი შეადგენს 15.000 აბცას. ცნობილია გოკიაზე ერთი ხალხური ლექსიც:

„ბარალეთს ადოვაშვილსა სუფრა გაეგდო გრძელია,
გოკიას ცეცხლი ეკიდვის, შიდ მოიხალოს ქერია“.

„ჯავახეთის ზეგანზე მდებარე მცირე ქალაქები – ბარალეთი, გოკია, მე-18 საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ ცოცხალი ქალაქებია, სადაც ცხოვრობენ გამაჰმადიანებული და ჯერ კიდევ მართლმადიდებელი ქართველობა და იქვე ესახლნენ სომეხნი და ურიანი“.

(იხ.შ.ლომსაძე, „სამცხე-ჯავახეთი“ გვ.46. გამომც. თბ.1975).

საინტერესო მასალას გოკიას შესახებ წარმოადგენს ***„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“*** რომლის მიხედვით, გოკია მოხსენებულია, როგორც სოფელი. იგი შედის ტყიანი ჯავახეთის რაიონის ხერთვისის ლივაში.

აქ ცხოვრობენ:
მახარებელ ...-სძე
რუბენ (?) ძე მისი
როსებ ძმა მისი
ვარაზგულ ესტატესძე
ქრისტესა ძმა მისი
იმარინდო ჯვარა(?) სძე
ილარიონ ძე მისი
პაპუნა ძმა მისი
გიორგი მახარებლისძე
რევაზ ძმა მისი
ქაქუჩა ...-სძე
ზურაბა ძე მისი
... ვეფხიაძე
მაზანა ...-ძე
სოზია ძე მისი
იორდანე ...- სძე

ბადურა ბეროზასძე
ილო(?) ძე მისი

აღნიშნული სოფლის მოსახლეობა თურქ-დამპყრობთა სასარგებლოდ იხდის შემდეგი სახის გადასახადს:

ისფენჯი, 18 კაცი – 450
ხორბალი – ქილა 800, ღირებ. 800
ქერი – ქილა 600, ღირებ.400
ჭვავი – ქილა 15, ღირებ.120
სელის თეს. – ქილა 5, ღირ. 40
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 90
გამოსაღ. ფუტკარზე 100
გამოსაღ. ცხვარზე 300
გამოსაღ. ღორზე 100
გამოსაღ. თაფუზე და დეშთიბანი 100
გამოსაღ. ბოსტანზე 100
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღ. 550
გამოსაღ. იალაღზე 100
გამოსაღ. იათაღზე 24
წისქვილი 1 თვალი 6 თვით 30
გამოსაღ. მურახხასნჲე 36
წისქვილი 2 თვალი – გაპარტახებული ბეზირხანა 1 თვალი 60
ჩაირი (?) ხსენებული სოფლის მცხოვრებთა მფლობელობაში (ა)„

(ს.ჯიქია, დას. ლიტ. გვ.191-192)

ერთი შეხედვით, თუ დავთრის მიხედვით ვიმსჯელებთ, მე-16 საუკუნის ბოლოს გოკია სოფელია, სადაც 18 კომლი ქართველი გლეხი ცხოვრობს, ხოლო მე-18 საუკუნეში ვახუშტი გოკიას ***„მცირე ქალაქად“*** მოიხსენიებს. ისე, ჩანს, სოფელი გაზრდილა თურქთა ბატონობის პერიოდში, – მცირე ქალაქად ქცეულა, მაგრამ თუ შუა საუკუნეების ქალაქების ცხოვრების წესს დავაკვირდებით, ეს არაა გასაკვირი. იმ დროს დიდი თუ პატარა ქალაქების ძირითადი ნაწილი ვაჭრობისა და ხელოსნობის გარდა მისდევდა სოფლის მეურნეობას, ბუნებრივია, მკვიდრი მოსახლეობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. თურქთა საგადასახადო არეალში გოკიაში – ***„მცირე ქალაქში“*** მცხოვრები გლეხობაც მოექცა. რას იხდიან ვაჭარ-ხელოსნები, დავთარში არ ჩანს. ამავე დროს, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული სოფლის ეს გრანდიოზული ეკლესიის ნაშთი, საქალაქო ცხოვრების მაჩვენებელია. ასევეა სხვა ეკლესიებიც.

ეკლესიის განადგურება კი, ვინ იცის, იქნებ თურქთა ბატონობის, ან, სულაც, პროლეტკულტელების ქმედების შედეგი იყო? მთავარი უბედურება კი მესხებისთვის მაინც ოსმალთა ბატონობის ხანაა. დაიცალა და განადგურდა უამრავი ქრისტიანული ეკლესია-მონასტერი, შეწყდა წირვა-ლოცვა, სახე იცვალა ქართულმა ეთნოსმა. ვინც ვერ გაუძლო, გაეცალა და თავი შეაფარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, თან წაიღო მშობლიური სოფლისა და კუთხის სიყვარული, სოფლის სახელი გვარად აქციეს: გოკიელი, დადეშელი, ვარძიელი, მუსხელიშვილი, ჯავახიშვილი, მესხია, ჯავახია, ასპინძელაშვილი და სხვ. ხოლო, ვინც ადგილზე დარჩა, მხოლოდ მცირედმა ნაწილმა შესძლო მამაპაპური რჯულის შენარჩუნება, უმეტესობა – გათათრდა. გადაჯიშდნენ გამრეკელთორელნი, აბაშიძეები, შალიკაშვილები, ჯაყელები, დიდებულიძეები, ვაჩნაძეები...გათათრდნენ ქრისტესია, პაპუნა, ზურაბი, მაზანა... მათი შთამომავლობა ე.წ. „თურქ-მესხებად“ იქცნენ...რჯულშეცვლილნი აღმოჩნდნენ გოკიელებიც, აქ ***„თათრულის გარდა სხვა ენა არ იზრახვებოდა სოფელში“.***

დროთა განმავლობაში გოკიას მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა გარე ფაქტორებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა. აკადემიკოს ნ.ბერძენიშვილის ცნობით 1918 წლამდე აქ ყარაფაფახელები (თურქმანული ტომი) ცხოვრობდნენ. მათი დაასხლება აქ მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის პირველ მესამედში უნდა მოხდარიყო. ყარაფაფახელები 1944 წლამდე ასევე სახლობდნენ დღევანდელი ასპინძის რაიონში – ლებისში, ვანში, ქარზამეთში, კოინდარში ტაშლიყიშლაში, ალანძიაში. მათი ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და აბრაგობა იყო. მოგვიანებით მცირე ნაწილმა მიწათმოქმედებასაც მიჰყო ხელი.

1955 წელს 8-წლიანი ქართული სკოლა დაამთავრა 13 მოსწავლემ. ეროვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 120-კომლიან სოფელში ნახევარი ქართველი მოსახლე იყო. აქ ცხოვრობდნენ შემდეგი გვარის ოჯახები:

ბერიძე – 6 ოჯახი;
ტაბატაძე – 15 ოჯახი;
მაღრაძე – 3 ოჯახი;
მაისურაძე – 4 ოჯახი;
ველიჯანაშვილი – 1 ოჯახი;
ხუციშვილი – 1 ოჯახი;
მექოშვილი – 2 ოჯახი;
ინასარიძე – 10 ოჯახი;
ზაზაძე – 6 ოჯახი;
ანძაველიძე – 1 ოჯახი;
სუდაძე – 1 ოჯახი;
გვირჯიშვილი – 3 ოჯახი;
ფაფაშვილი – 1 ოჯახი;
ჯინჭველაძე – 1 ოჯახი;
გერასიმიდი – 1 ოჯახი;
დავლაშერიძე – 1 ოჯახი;
ლეკიშვილი – 1 ოჯახი;
ჭონიშვილი – 1 ოჯახი;
მოსიძე – 1 ოჯახი.

თუ ზემოთჩამოთვლილ ქართულ ოჯახებს შევაჯამებთ, სულ სოფელში 62 კომლი ქართველი ცხოვრობდა. როგორც აქ მაცხოვრებლებს, არაერთგზის აღუნიშნავთ, ისინი განსაკუთრებულ კეთილმეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ სომხურ მოსახლეობასთან, ერთმანეთთან ნათელმირონობა და ნათესაური კავშირებიც ჰქონდათ.

გოკიაში, ამ პერიოდში, შერეული მოსახლეობა ყოფილა. ისინი შედგებოდნენ სამცხიდან გადმოსახლებული ქართველების, სომხების, ოსებისა და ბერძნებისაგან. სალაპარაკო ენა ჯერ კიდევ თურქული იყო, თუმცა, მოგვიანებით – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბალანსი მთლიანად შეიცვალა სომხური მოსახლეობის სასარგებლოდ.

გასული საუკუნის შუა ხანებში, გოკიაში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ყოფილა ვინმე ქილდელი გლეხი – ლავრენტი მოსიძე. როგორც აქაურები ამბობენ, რევოლუციამდე იგი, მეფის ხელისუფლებას, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო ელემენტი, ხაშურში დაუკავებია და, მეტეხის ციხეში, სტალინთან ერთად, ერთ საკანში აღმოჩენილა. როგორც ჩანს, მას სტალინთან კეთილმეგობრული ურთიერთობაც ჰქონია. დიდი ხნის შემდეგ, მოულოდნელად, ქილდაში, ამ მიყრუებულ ჯავახურ სოფელში, ლავრენტი მოსიძის სახელზე ბელადის წერილი მოსულა. ბელადი ყოველგვარ დახმარებას პირდებოდა თურმე ლავრენტი მოსიძეს.

გაოგნებულა ლავრენტი. დიდი ფიქრის შემდეგ, მას გოკიაში ცხოვრების ნებართვა უთხოვია. სტალინს, თურმე, ძალიან გაკვირვებია და დაუკმაყოფილებია მისი თხოვნა. მოგვიანებით იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც აურჩევიათ. მოსიძეს 5 შვილი ჰყოლია – სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი. მისი შთამომავლები ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.

სამწუხაროა, რომ დროთა განმავლობაში სწავლა-განათლება მიღებულმა და უკეთესი ცხოვრების მაძიებელმა აქაურმა ქართველებმა ისე დასტოვეს მშობლიური სოფელი, რომ უკან აღარავის მოუხედავს. მხოლოდ ჩვენი მასპინძელი – ამირან ტაბატაძე და ზაზა ზაზაძის ოჯახი შემორჩა ჯავახეთის ამ ოაზისს.

დიდი სიყვარულით ეფერება ამირანი პატარა გიორგის, რომელსაც სწორედ ჩვენი სტუმრობის დღეს – 2 ნოემბერს სამი წელი შეუსრულდა. ხვალ, ზეგ, სად წაიყვანს? ან სად უნდა ასწავლოს? არა და, მშობლიურ მიწაზე დედა ენის დავიწყება არ შეიძლება!

ვინ იცის, მის შვილებსა და შვილიშვილებსაც სხვათა მსგავსად მოუწიოთ სოფლის დატოვება ... თუმცა, ისევ ბატონი ამირანი გვიმაგრებს გულს:

– მამაპაპურ კერიას პატრონობა სჭირდება, ისე, როგორც იმ ვაზს, ეზოში რომ გავაშენე და მისი ნაჟურით რომ მასპინძლობას ვეწევიო, – ბრძანებს ამირანი და თვალცრემლიანს ვემშვიდობებით.

მკაფიო მაგალითი იქნება

საქართველოს სამხრეთ რეგიონში – სამცხე-ჯავახეთში ქართული დრამატული თეატრის ფუნქციონირება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მატარებელია.

მესხეთის თეატრმა არსებობის მანძილზე 200-ზე მეტი სპექტაკლი წარუდგინა მაყურებელს, არაერთი დამწყები მსახიობი და რეჟისორი აზიარა დიდ თეატრალურ ხელოვნებას, უმასპინძლა არაერთ გამოჩენილ მსახიობს, დრამატურგსა და ხელოვანს, განახორციელა და სცენური სახე მისცა ათეულობით ბრწყინვალე ქართულ და უცხოურ ნაწარმოებს, გამართა უამრავი საინტერესო შემოქნედებითი საღამო და შეხვედრა-ღონისძიება.

მთელი ეს შემოქმედებითი წარმატებები ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების გარდა, პირდაპირ პასუხობენ ზოგად მოთხოვნებს და კულტურის მაღალ დონესთან ერთად მნიშვნელოვან პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებენ.

საყოველთაო-სახალხო ზეიმის სახე მიიღო რეგიონში გასული საუკუნის 70-იან წლებში, კერძოდ, 1967 წელს მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის აღდგენამ, რომლის ინიციატორი და სულისჩამდგმელი ახალგაზრდა რეჟისორი ქალბატონი ნანა დემეტრაშვილი იყო.

ამავე წლის 23 სექტემბერს მან ახლადაღდგენილი თეატრის სცენაზე განახორციელა პირველი საპრემიერო სპექტაკლი – ოთარ ჩხეიძის ისტორიული პიესა – „თევდორე“, რომელშიც, ძირითადად, ნანა დემეტრაშვილის მიერ ქ.ახალციხეში ჩამოყვანილი მაშინდელი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი-ახალგაზრდები იყვნენ დაკავებულები.

ამ დიდ ეროვნულ საქმეში, ცხადია, ასევე განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა მაშინდელ კულტურის სამინისტროსა და ახალციხის ხელმძღვანელ მუშაკებს.

მესხეთში თეატრის აღორძინებამ კულტურის, ხალხთა მეგობრობის, მოსახლეობის ზნეობრივი აღზრდის მძლავრ ცენტრად ჩამოყალიბება უზრუნველყო..

დღეს, როცა საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ღვაწლმოსილ ადამიანთა საქმიანობისა და დამსახურების აღიარებას, როცა, რომ იტყვიან, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს, მიზაშეწონილად მიგვაჩნია, გარდაცვალების შემდეგ ღირსეულად იქნეს დაფასებული მესხეთის თეატრის აღმდგენელის, საქართველოს სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონ ნანა დემეტრაშვილის ღვაწლი და ამაგი, ის პირადი წვლილი, რომელიც მან შეიტანა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თეატრის აღდგენისა და აღორძინების დიდ საშვილიშვილო საქმეში.

მისი განსაკუთრებული დამსახურების აღიარების დასტურად მიგვაჩნია, ახალციხის დრამატული თეატრის შენობის წინ გაიხსნას მისი სახელობის ვარსკვლავი და მესხეთის (ახალციხის) დღემდე სახელდაურქმეველ სახელმწიფო დრამატულ თეატრს ეწოდოს ნანა დემეტრაშვილის სახელი.

ეს იქნება მკაფიო მაგალითი ჩვენი საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისათვის, რომ ქვეყნის სასიკეთოდ გაწეულ თავდაუზოგავ შრომას ყოველთვის ახლავს დამსახურებული დაფასება.

იმედია, ამ საკითხით უპირველესად დაინტერესდება ახალციხის მუნიციპალიტეტი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ამ ინიციატივას ფრთებს შეასხამს. გვჯერა, ამით მნიშვნელოვნად გაიზრდება მხარისადმი ცენტრალური ხელისუფლების ინტერესი და თეატრის ფაქტობრივი – 140-წლოვანი იუბილეც განსაკუთრებულ გარემოში აღინიშნება.

ლია სულუაშვილი, *მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი;*

მერაბ ბერიძე, *სსიპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;*

ციური ლაფაჩი, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის რეგიონული მუზეუმის ადმინისტრაციული მენეჯერი;*

ავთანდილ ბერიძე, *გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი*

სამეცნიერო ექსპედიცია ფოცხოვის ხეობაში, კოლა-არტაანში, ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში

(2005 წლის 19-26 აგვისტო)

ბუბა კუდავა, გოჩა საითიძე, თემო ჯოჯუა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №12, 2013 წ.)

მაშასადამე, მდინარე წურწყაბისწყლის ხეობაში, პ. უვაროვას მიხედვით, შემდეგი სოფლები და ისტორიული სიძველეებია: სოფ. ხუნამისი (ციხე და ეკლესია), სოფ. ხეოთი (ეკლესიის ნანგრევები), სოფ. ვარხანე (ციხის და ეკლესიის ნანგრევები), ყველისციხე, სოფ. აგარა (ციხისა და ეკლესიის ნანგრევები), სოფ. წურწყაბი (საეპისკოპოსო ტაძრის ნანგრევებზე და მისივე ნაშთებისაგან აშენებული ჯამე). მათ შესახებ წყაროებიდან დამატებით შემდეგი ინფორმაცია მოგვეპოვება: ხუნამისი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, აღნიშნული სოფელი მდებარეობდა ჩრდილის ნაჰიეში (რაიონში). „დავთრის“ შედგენის პერიოდში, 1595 წელს, აქ მოსახლეობდა 11 კომლი; 1878 წელს – 79 კომლი.

ხეოთი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღნიშნულია, რომ 1595 წელს სოფელ ხეოთში ცხოვრობდა 4 ოჯახი.

ვარხანე. „დავთრის“ მიხედვით, XVI საუკუნის მიწურულს სოფელ ვარხანეში მოსახლეობდა 21 კომლი; 1834 წელს – 10 კომლი; 1878 წელს – 11 კომლი.

აგარა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ წერია, რომ მზვარის ნაჰიეში შემავალ სოფელ აგარაში ცხოვრობდა 17 კომლი. ალ. ფრონელი, პ. უვაროვას მსგავსად, მიუთითებს სოფელში ეკლესიის ნანგრევების არსებობაზე, თუმცა ციხის შესახებ არაფერს ამბობს.

წურწყაბი. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული სოფელი, საეპისკოპოსო ცენტრი შუა საუკუნეებში. XVI საუკუნეში შედგენილ „სამცხე-საათაბაგოს მღუდელმთავართა და მწყემსთა“ ნუსხაში იხსენიება „წურწყაბლის სამწყსო“. საუკუნის ბოლოს, აღწერის მიხედვით, სოფელ წურწყაბში ცხოვრობდა 46 ოჯახი – გეროტისძეები, სულიასძეები, მამისასძეები, ბაბელასძეები, ფოცხვერასძეები, ბასილასძეები, ინანასძეები, დავითისძეები, ზურაბისძეები, ლიპარიტისძეები და სხვ.

ოსმალთა ბატონობის პერიოდის შესახებ, ყველისციხის მსგავსად, წურწყაბზეც მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა გაგვაჩნია: „ხოლო წურწყუმას არს ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-შუენიერად ნაგები და დიდი. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ბოცოს წყლისა და ახალციხის წყლის სამხრეთისა, ვიდრე მტკურადმდე, და ერუშეთისა, და არსიანის მთამდე“.

აკად. ს. ჯიქია აღნიშნავს, რომ 1834 წლის საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ამ დროს წურწყაბში ცხოვრობდა 41 კომლი.

ჩვენს ხელთ არსებული ქრონოლოგიურად ბოლო ინფორმაცია წურწყაბის შესახებ ალ. ფრონელს ეკუთვნის: „ყველის ციხის სიახლოვეს არის სოფელი წურწყაბი. ბატონიშვილ ვახუშტის სიტყვით, წურწყაბში ყოფილა ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-მშვენიერად ნაგები და დიდი. აქა მჯდარა ეპისკოპოსი...

დღეს ამ მშვენიერი საკათედრო ეკლესიის კვალიც აღარ მოჩანს. წურწყაბელებს დაუქცევიათ და თლილი ქვით ჯამე აუშენებიათ. აღმოსავლეთის კედელი ჯამესი აშენებულია ეკლესიის კედელზე. ამ ცოდვის გასაქარწყლებლად წურწყაბელები ამბობენ, რომ არც ჩვენს წინაპრებს არ ახსოვთ, რომ აქ ოდესმე ეკლესია ყოფილიყოო, ჩვენ იმ ოსმალთა ჩამომავალნი ვართ, რომელთაც ეს ქვეყანა დაიმორჩილესო“.

ჩვენთვის საინტერესო სოფლების შესახებ წყაროთა მონაცემების მოხმობის შემდეგ განვაგრძობთ სამეცნიერო ექსპედიციის აღწერას. ხუნამისი-წურწყაბი-ყველის გადასახვევიდან 1 კილომეტრში მარჯვნივ ჩადის გზა *სოლუთლუქაიასკენ (ხუნამისი),* ხოლო პირდაპირ გრძელდება გზა სხვა ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული სოფლებისაკენ. გადასახვევთან შემოგვხვდა 3 ხუნამისელი მამაკაცი. გამოვესაუბრეთ. მათ გვითხრეს, რომ ხუნამისში 3 ეკლესიაა, რომლებიც სხვადასხვა ადგილას მდებარეობს; ციხის არსებობის შესახებ არაფერი სმენიათ (თუმცა, შესაძლებელია, რომ რომელიმე ეკლესია ციხე იყოს); არის ძველი ჯამე. სოფლის იქით არის ჩიხი, ანუ გზა წინ აღარ გრძელდება. ამიტომ განვაგრძობთ გზას პირდაპირ ყველის ციხისაკენ. ერთ-ერთმა მოხუცებულმა ხუნამისელმა გვითხრა, ყველის ციხე და „ქოლ-მანასტირ“ სხვადასხვა რამეა, თუმცა ეს უკანასკნელი ყველის ციხის მახლობლად მდებარეობსო. ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ ხეობიდან ძველად საქარავნო გზა გადადიოდა შავშეთში არსიანის ქედის გავლით. ეს გზა პ. უვაროვამაც გაიარა. ხუნემისელები გვეუბნებიან, რომ გზა ამჟამადაც არსებობს, მაგრამ მანქანით მასზე მგზავრობა შეუძლებელია.

სოლუთლუქაიას (ხუნამისის) გადასახვევიდან მალე დაიწყო აღმართები, ვმოძრაობთ გრუნტის გზაზე. გადასახვევიდან 3,5 კილომეტრში არის სოფელი *აშიქუზეირი*, იგივე *ბოშდერე* (ძველი სახელწოდება *ხეოთი)*. იგი უშუალოდ გზაზე არ მდებარეობს, სოფელში ჩასასვლელად გზიდან მარჯვნივ უნდა გადაუხვიო. ჩვენ ახლა სოფელს ზემოდან დავყურებთ, საოცარი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს შუა საუკუნეების საქართველოში ვიმყოფებოდეთ – მიწური სახლები, რომლებიც ერთმანეთთან ბანებითაა დაკავშირებული, სოფლის ვიწრო შუკები... ხეოთის მოპირდაპირე მთაზე, მდინარე წურწყაბისწყლის ხევს გადაღმა, ფერდობზე სოფელი

მოსჩანს, რომელიც რუკის მიხედვით, *ვარხანე* (ახალი სახელწოდება *ულუჯამი*) უნდა იყოს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1888 წელს პ. უვაროვა მიუყვებოდა წურწყაბისწყლის მარჯვენა ნაპირზე იმჟამად არსებულ ძველ გზას, ჩვენს ექსპედიციას კი მდინარის ხეობიდან გაცილებით მაღლა, მთის კალთაზე გაჭრილი სამანქანო გზით უხდებოდა სოფლებზე გავლა.

გადასახვევიდან 9 კილომეტრის გავლის შემდეგ შემოვედით სოფელ *აშიქზულალში (წურწყაბი)*. სოფელს ზერელედ ვათვალიერებთ, ყველისკენ მიგვეჩქარება. საკმაოდ მოზრდილი სოფელია, აქაც ძირითადად ძველებური ბანიანი სახლებია, თივების, წივების გროვები (ზამთარი აქეთ ძალიან ცივი იცის). ზემოთ აღნიშნული მეჩეთი ამჟამადაც დგას სოფლის ცენტრში. უშუალოდ სოფლის შესასვლელთან მარჯვნივ ჩასახვევია, როგორც აბრაზეა აღნიშნული, სოფელ *აქბალლისკენ (ობოლა*). ჩვენ არ ვუხვევთ და პირდაპირ განვაგრძობთ გზას. წურწყაბში ადგილობრივ ბავშვებს გამოვესაუბრეთ, რომლებმაც გვითხრეს, სოფელ ქოლში დიდი ციხეა, მაგრამ არავინ შედის, მიზეზი არ ვიცით, შეიძლება იმიტომ, რომ აკრძალულიაო.

წურწყაბში, სოფლის ცენტრთან, კიდევ ერთი აბრაა, სადაც წერია, რომ აქედან მიდის გზა *ბაიკენტისკენ (ძველი სახელი ვახლა), ქალედიბისკენ, იგივე ქალეონუსკენ (აგარა), ალაბალიქისკენ (საიხვე) და ქოლისკენ (ყველი).* წურწყაბიდან რამდენიმე წუთის სავალზე, 2 კილომეტრში (ანუ გადასახვევიდან 11 კილომეტრში) მდებარეობს სოფელი *ბაიკენტი (ვახლა).* უშუალოდ სოფელში გზაგამყოფია – მარცხნივ მიდის გზა ალაბალიქისკენ (საიხვე), ხოლო მარჯვნივ – ქალედიბისა (აგარა) და ქოლისკენ (ყველი). ჩვენ ამ უკანასკნელ გზას დავადექით. რამდენიმე წუთში გზიდან ხელმარჯვნივ, მდინარის გაღმა ნაპირზე დიდი კლდოვანი კონცხი გამოჩნდა. იმ მხრიდან, საიდანაც ჩვენ ვიმყოფებოდით, კლდეს ციხის არანაირი კვალი არ ემჩნეოდა. ცოტათი წინ რომ წავიწიეთ, გადასახვევიდან 14 კილომეტრში შევედით რომელიღაც სოფელში. ადგილობრივ მოსახლეობას ვკითხეთ სოფლის სახელი. აღმოჩნდა *ქალედიბი, იგივე ქალეონუ, იგივე აგარა,* რომლის მოსახლეობაც 40 ოჯახს შეადგენს. ზემოაღნიშნული ციხე სწორედ მის მოპირდაპირე მხარეს, მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. აგარიდან მარცხნივ, დაახლოებით 2-3 კილომეტრში, მოჩანდა სხვა სოფელი, ცხადზე ცხადი იყო, რომ იგი ყველი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, აგარელებმა ჩვენი ვარაუდი დაგვიდასტურეს. ისიც გვითხრეს, რომ ამ მიმართულებით ყველი (მისი მოსახლეობის რაოდენობა 80 კომლს შეადგენს) არსიანის ქედამდე ბოლო სოფელია, რის შემდეგაც შავშეთში გადასასვლელი იწყება. აქაურებიც, ხუნამისელების მსგავსად, გვეუბნებიან, რომ არსიანის ქედით შავშეთში ავტომანქანით გადასვლა უაღრესად ცუდი ხარისხის გზის გამო ძალიან რთულია. აგარელებმა ისიც დაამატეს, რომ ბილიკებით საიხვედანაც შესაძლებელია შავშეთში გადასვლა.

იქვე ერთ-ერთი ადგილობრივი ყმაწვილი მოგვიყვა გადმოცემას ყველისა და მერეს ციხეების შესახებ: ძველად თურმე ორი მეფე ყოფილა, რომელთაგან ერთი მერეში მჯდარა, ხოლო მეორეს რეზიდენცია ყველში ჰქონია. ყველის ციხის პატრონს შეჰყვარებია მერეს ციხის მფლობელის ასული და მისი ხელი უთხოვია მეფისათვის. მერეს ციხის პატრონს ამ თხოვნის შესრულებაზე სასტიკი უარი უთქვამს, რის გამოც გაბრაზებულ ყველის ციხის მფლობელს დიდი ჯარი შეუკრებია, დასხმია თავს მერეს, დაუმარცხებია მისი მეფე და ასულიც წამოუყვანია. გარდა ამისა, ერთმა აგარელმა მოხუცებულმა კაცმა გვითხრა, რომ ყველის ციხე მისი დამპყრობის – აჰმედ ფაშას სახელობისაა, იქვე დასძინა, რომ აქაური მოსახლეობა ქართული წარმომავლობისაა, რაშიც მათი თურქული წარმოთქმის საფუძველზე ჩვენ თვითონაც ნათლად დავრწმუნდით, თანაც აგარელები მშვენივრად გამოთქვამდნენ ხინკლის, მჭადის, ხაჭაპურის, ჭანჭურის, ლობიოს, სიმინდის და სხვა ქართული საჭმელების სახელწოდებებს. „ჭ“, „ყ“, „წ“-ს, ვგონებ, ჩვენზე უკეთესად გამოთქვამდნენ. ეთნოგრაფიაში ცნობილია, რომ შეიძლება დავიწყებული იყოს სარწმუნოება, ენა, ეროვნება, მაგრამ ყოფის ისეთი ელემენტი, როგორიცაა საკვები, ყველაზე ხანგრძლივად ინახავს წინაპართა ვინაობას.

სოფლების მდებარეობა, მათი სახელწოდებები, შავშეთში გადასასვლელები გამოვარკვიეთ, გადმოცემა და ადგილობრივი მოსახლეობის ქართული წარმომავლობა კი შევიტყვეთ, მაგრამ სერიოზული პრობლემა შეგვექმნა ციხესთან დაკავშირებით. საქმის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ფოცხოვის ხეობის ორივე ცნობილი მკვლევარი – პ. უვაროვა და ალ. ყიფშიძე თავიანთ ნაშრომებში მიუთითებენ ორი – აგარისა და ყველის ციხის არსებობას, მათთვის აგარის ციხე და ეკლესია სხვაა და ყველის ციხე – სხვა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ლოგიკურად მივიჩნიეთ, რომ სოფელ აგარის მოპირდაპირე მხარეს არსებული ციხე აგარის ციხე უნდა ყოფილიყო, ხოლო ყველის ციხე ამავე სახელწოდების სოფელში ან მის სიახლოვეს იქნებოდა. სოფელ აგარის მოსახლეობის გამოკითხვამ სულ სხვაგვარი სურათი მოგვცა – მათი თქმით, არავითარი ორი ციხე ამ ხეობაში არ არსებობს და არც არასდროს ყოფილა, არის მხოლოდ მათი სოფლის ციხე, რომელსაც ქოლის (ყველის) ციხე ეწოდება. მაშ, რა მოხდა, რატომ მიუთითებენ პ. უვაროვა და ალ. ყიფშიძე აგარის ციხისა და ეკლესიის არსებობაზე? ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით გაუცემელი დაგვრჩა..

ქალედიბიში რომ მივედით, უკვე შებინდებას იწყებდა, ამიტომაც „ყველის“ ციხის დათვალიერება, აღწერა, აზომვა მომდევნო დღისთვის გადავდეთ, ღამის გათენება კი ყველაზე ახლომდებარე დასახლებულ პუნქტში, ფოცხოვის ხეობის ადმინისტრაციულ ცენტრში – ფოსოფში (ყოფილი დიღური) გადავწყვიტეთ. როცა აგარიდან უკან გამობრუნებას ვაპირებდით, რამდენიმე ადგილობრივმა ყმაწვილმა გვითხრა, რომ მათი სოფლის სიახლოვეს, იაილებთან, რაღაც ძველი ნანგრევებია, თუმცა არ იციან, რისი. ჩვენ, რასაკვირველია, დაგვაინტერესა ამ ინფორმაციამ და მისი ადგილზე გადამოწმება მოვიწადინეთ. ახალგაზრდები სიამოვნებით დაგვთანხმდნენ მეგზურობა ეკისრათ. გავემართეთ იმ ნანგრევების მოსანახულებლად. ჯერ აგარიდან პირდაპირ მივდიოდით სოფელ ყველის მიმართულებით, ცოტა ხანში მარცხნივ ავუხვიეთ, რის შემდეგაც სოფელი ყველი ჩვენგან ხელმარჯვნივ დარჩა. დაახლოებით ათი-თხუთმეტი წუთის მგზავრობის შემდეგ რაღაც უცნაური ფორმის ნაგებობის ნაშთებთან ვიყავით, რაც ჩვენი აზრით, ციკლოპური ტიპისა უნდა ყოფილიყო. დავათვალიერეთ, აღვწერეთ, ავზომეთ, რის შემდეგაც ფოსოფისკენ გავემართეთ.

20 აგვისტო. შაბათი. დილის ათის ნახევარზე გამოვედით ფოსოფიდან და კვლავ „ყველის ქვეყნისკენ“ გავემართეთ, რათა საფუძვლიანად შევისწავლოთ ყველის ციხე. ხეოთის გადასახვევთან შემოგვხვდა რამდენიმე ადამიანი სოფელ წურწყაბიდან – ქალები, მამაკაცები, ბავშვები... რასაკვირველია, გავაჩერეთ ისინი და გამოვესაუბრეთ. განსაკუთრებით საინტერესო მოსაუბრე გამოდგა 75 წლის წურწყაბელი კაცი ფაზლი ილმაზი. ამ უკანასკნელმა და მისმა თანასოფლელებმა დაგვიდასტურეს, რომ ყველისა და აგარის ციხეები ერთი და იგივეა, არავითარი ორი ციხე არ არსებობს; შავშეთში არსიანის ქედით გარდამავალი სამანქანო გზა მხოლოდ სოფელ ყველიდან მიემართება; გვითხრეს, რომ მოპირდაპირე ფერდობზე მდებარე სოფელი მართლაც ვარხანეა; მისგან მარცხნივ მდებარე სოფელი ობოლაა (ახალი სახელი აქბალლი); ფაზლი ილმაზმა გვითხრა, ჩვენ „გურჯუდენ დონმა“ (ე. ი. ქართული წარმომავლობისა) ვართო... წურწყაბელები ძალიან საინტერესო მოსაუბრეები, უაღრესად თბილები გამოდგნენ, სხვათაშორის, ქალები ჩადრებში სახეს არ მალავდნენ; საჭმელების დასახელებები აბსოლუტურად ყველა ქართულია.

დღეს უფრო ყურადღებით ვაკვირდებით მიდამოს. *ყველის ციხე* პირველად გადასახვევიდან 8 კილომეტრში გამოჩნდა. როგორც თემომ მოსწრებულად შენიშნა, „მთა, რომელზეც ყველის ციხე დგას, მდინარის მარცხენა ნაპირზე თივის ზვინივითაა ამოზიდული“. იგი აკონტროლებდა ხეობაში გამავალ მთავარ გზას. გავიარეთ სოფელი წურწყაბი, ვახლა, აგარა და განვაგრძეთ გზა სოფელ ყველისაკენ, სადაც გუშინ არ ვყოფილვართ. *სოფელი ყველი* გადასახვევიდან 21 კილომეტრში მდებარეობს. ესეც საკმაოდ მოზრდილი სოფელია, 80-კომლიანი, ბანიანი სახლებით, მეჩეთით და ა. შ. მანქანა სოფლის შესასვლელში გავაჩერეთ, მარჯვნივ გადავუხვიეთ ბილიკზე და ფეხით გავუყევით გზას ყველის ციხისკენ, რომელიც ამ ადგილიდან დაახლოებით 2 კილომეტრში, მდინარე წურწყაბისწყლის თავზე მდებარე ბორცვზე მდებარეობს. ციხეს ნავისებური ფორმა აქვს, ზომები – 15 მ./50 მ.

მცდელობამ, ყველისციხის რომელიმე მხარეს ძველი ნაშენების კვალი აღმოგვეჩინა. შედეგი ვერ გამოიღო; ციხის უკიდურესი ზედა ნაწილის გარდა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, არანაირი ნაგებობის კვალიც არ ჩანს. სამაგიეროდ, ციხის გარშემოვლის დროს უამრავი ნამტვრევი კერამიკა აღმოვაჩინეთ, მათ შორის, მოჭიქულიც.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

ილია მაისურაძე – მესხეთის თეატრის მემატიანე

ცნობილი ქართველი მეცნიერის ილია მაისურაძის მდიდარ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული თეატრის საკითხს. იგი წლების მანძილზე საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს წევრად, აქვეყნებდა სტატიებს თეატრსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

მას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მესხეთში თეატრალური ცხოვრების შესწავლასა და გამომზეურებაში. კერძოდ, მან სხვადასხვა არქივებსა და კერძო პირებისაგან მოიძია საინტერესო მასალა. ამასთანავე, მის ხელნაწერთა ფონდში თავმოყრილია XIX და XX საუკუნეების ქართულ პერიოდიკაში წარმოდგენილი მასალა მესხეთის თეატრის შესახებ, რითაც შესაძლებელი გახადა მესხეთში თეატრის განვლილი გზის წარმოჩენა. ილია სამართლიანად მიუთითებდა, რომ მესხეთში თეატრი იმთავითვე დადგა ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე მყოფი მოსახლეობის სამსახურში: **„ახალციხეში თავმოყრილი მცირერიცხოვანი მოწინავე ინტელიგენციის სასახელოდ უნდა ითქვას,** რომ თეატრალური საქმიანობის პირველ ნაბიჯებს მესხეთში საერთო სახალხო ინტერესები წარმართავდა. აქ გამართული პირველი წარმოდგენები კეთილშობილური იდეებით იყო ნაკარნახევი, მათ მიზანს შეადგენდა ერთი მხრით, სახალხო განათლებისათვის ზრუნვა და ხელის შეწყობა, მეორე მხრით მონობისაგან დაბეჩავებული ხალხის ამოძრავება, მისი სულიერი გამოფხიზლება და ესთეტიკური ამაღლება“ ***(ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ.#.433)***

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ილია მაისურაძეს საინტერესო მოსაზრება ჰქონდა მესხეთში თეატრალური ცხოვრების დაწყების შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო. დავით კოჟორიძის აზრით, **„მესხეთში თეატრს საფუძველი უნდა ჩაყროდა 1874 წელს. ილია მაისურაძე განმარტავდა: „ეს თარიღი ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებასთან მუდმივი დრამატული დასის ოფიციალურად ჩამოყალიბების დროდ უნდა ჩაითვალოს და არა თეატრალური მოღვაწეობის დასაწყისად“ *(ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ.#.433).*** ილია მაისურაძეს მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტი, რომ 1870 წელს, ქ. ახალციხეში, ანნა მუსხელიშვილ-ღოღობერიძის მიერ დაფუძნებული იქნა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის მისიას წარმოადგენდა მის მიერვე დაარსებული სკოლის შენახვა. რამდენადაც, სკოლას არანაირი სახსარი არ გააჩნდა, აღნიშნული საზოგადოება ცდილობდა სხვადასხვა საშუალებებით მოეპოვებინათ სახსრები სკოლისთვის. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენების გამართვა წარმოადგენდა. სწორედ აქედან გამომდინარე, ილია მაისურაძე ფიქრობდა, რომ „**ახალციხური წარმოდგენები, რაკი მათი შემოსავალი ქალთა სკოლისათვის იყო დანიშნული, ამ სკოლის დაარსების პირველ წლებშივე უნდა იღებდეს სათავეს 1870-1872 წლებში“ *(ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ.№.433).*** აქვე მოცემული აქვს ახალციხის დრამატული დასის პირველი შემადგენლობის (70-80-იანი წლების) მსახიობთა სია: **სტეფანე მესხიშვილი, ეკატერინე ბეთანიშვილი, ნ.ყორღანაშვილი, ნ.გამრეკელი, ს.ღოღობერიძე, ი.სულხანიშვილი, ალავერდიშვილი**. შემდგომ კი შემატებიან: **ევგენია სავანელი, დავით ჩიმაკაძე, ე. ფალიაშვილი, ო. ღოღობერიძე, ბ. ოქროპირიძე, როზა ალელიშვილი, ეთერ ღვთისავარიშვილი, ა.მესხიძე, ა.ბაიბურთელი, ვ.ბეზირგაშვილი, ბუტკოვსკი და ა.შ.**

ილია მაისურაძის ფონდში დაცული მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ ქალაქ ახალციხის ძველ ნაწილში – რაბათში თეატრალური დასის ჩამოყალიბების მცდელობას ადგილი ჰქონია XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. იაკობ ლაზარაშვილის თაოსნობით აქ შექმნილა მოწაფეთა პატარა წრე, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პავლე ყალაიჯევი, ანდრო მაისურაძე, თომა ფაფაზოვი, ნიკა კოპაძე და სხვ., რომელმაც ერთგვარი ნიადაგი მოამზადა რაბათში თეატრალური დასის ჩამოსაყალიბებლად. რაბათში თეატრალური დასის შექმნის შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის ილია მაისურაძის მიერ მოძიებული დავით ყარსელიშვილის მოგონება. როგორც დავით ყარსელიშვილის გადმოცემიდან ირკვევა, თომა ფაფაზოვის დახმარებით შეუქმნიათ მომღერალთა გუნდი, რომელიც 1890-1893 წლებში კონცერტებს მართავდა მოსახლეობისათვის. პარალელურად დგამდნენ წვრილ-წვრილ სცენებსაც. როდესაც გარკვეული გამოცდილება შეუძენიათ, დაუწყიათ რთული წარმოდგენების დადგმაც. კერძოდ, პირველად დაუდგამთ გიორგი ერისთავის პიესა „ძუნწი“ – 1891 წლის 2 თებერვალს. თავდაპირველად წარმოდგენებს მართავდნენ რაბათში – კათოლიკური ეკლესიის სკოლის შენობაში, მღვდლის – ივანე გვარამაძის ხელშეწყობით.

ილია მაისურაძის ფონდში დაცული ალ.ხითარიშვილის მოგონებიდან ცნობილი ხდება, რომ თეატრისთვის ხელშეწყობის გამო ივანე გვარამაძე დაუსმენიათ ქალაქის თავთან. ქალაქის თავს დაუბარებია იგი და უკითხავს: **„მე შენი მიკვირს. ეგ რა გაგიმართია შკოლაში, ტეატრია, შკოლაა, თუ საგდარიო?“** ივანე გვარამაძეს უპასუხნია: **„ეგ ჩემი სახლია, მე ჩემ სახლში რასაც მინდა იმას ვიზამო. კიდეც ვილოცვებ და კიდეც ვიხტუნამო. თქვენ საქმე არა გაქვთო“ *(ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ. №88).***

ილია მაისურაძის ფონდში ასევე უხვად მოიძებნება მასალა რაბათში ახალი ქართული სცენის დაარსების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ იგი ავსებს მუზეუმში დაცულ მასალას. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სტეფანე მესხელის მოგონებები. მისი გადმოცემით, კონსტანტინე გვარამაძის მიერ დაარსებული რაბათის თეატრი წარმოდგენებს მართავდა **„ჯერ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ქართული სკოლის სცენაზე და შემდეგ ქალთა სკოლის ახალ შენობაში. იქ მოწყობილი იყო სცენა დიდ დარბაზში, სადაც საკმაოდ ბევრი მაყურებელი ეტეოდა“ *(ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ №927)***. იგი ასევე გვანვდის თეატრის რეპერტუარს, და ცნობას იმის შესახებ, რომ კონსტანტინე გვარამაძეს ჩამოუყალიბებია ქართული სიმღერების ანსამბლი: „გუნდში ვმღეროდით სამშობლოს, შავო მერცხალო, მიყვარს მუხა მე მეგრული და ა.შ.“ ***(ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ.#927).***

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალციხის ორივე თეატრალურ დასში მონაწილეობდნენ მსახიობები და სცენის მოყვარულები როგორც ჩამოსულნი, ისე ადგილობრივნი. ილია მაისურაძის ფონდში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერში „მესხეთის თეატრალური წარსულიდან“ – წარმოდგენილია სია ადგილობრივი და ჩამოსული მსახიობების: 1) ***ადგილობრივნი***: ფაფაზაშვილი, ყარსელიშვილი, ი.ლაზარაშვილი, მიხ. გეთანიშვილი, ვინმე მესხი, კ.გვარამაძე, ვ.გეზირგანაშვილი, ა.მოლოზანი (ფედოტოვა), ა.მესხი, დ.ზედგინიძე, ეკ. გეთანიშვილი, რ.მღებრიშვილი, იაკიბ აბულაძე, ოლღა აბულაძე. 2) ***ჩამოსულნი***: ა.ფროელი, ნ.შიუკაშვილი, გრ.ექსანიშვილი, ვასილ გამრეკელი, გ.ღოღოგერიძე, მარიამ გამრეკელი, ანა მუსხელიშვილი, გ.ოქროპირიძე.

აქვეა 900-იან წლებში ახალციხის თეატრების სცენაზე დადგმული წარმოდგენების აბრები (აფიშები) და დასახელებულია წარმოდგენები. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში დაუდგამთ: „აირია მონასტერი“, „მათიკო“, „საუბედურო დებიუტი“, „საცოლე ერთი საათით“, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და ა.შ.

ილია მაისურაძემ მესხეთის თეატრს ის სამსახურიც გაუწია, რომ მის მიერ წარმოჩნდნენ ის პიროვნებები, რომლებიც წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ ახალციხეში და თავიანთ პირველად სამსახურს უთავსებდნენ თეატრალურ ცხოვრებას. კერძოდ, მათ შორის მხედველობაში გვყავს ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე). იგი ახალციხეში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა და, ამავე დროს, არჩეული იყო ქალთა სკოლის გამგისა და საქველმოქმედო საზოგადოების მდივან-ხაზინადარის თანამდებობაზე. იგი მხარში ედგა თეატრს და „ივერიის“ ფურცლებზე სისტემატურად ათავსებდა სტატიებს მისი საქმიანობისა და პრობლემების შესახებ. მაგალითისთვის მოვიყვანთ მის კორესპოდენციას. იგი მიუთითებდა, რომ დაესწრო ერთ-ერთ რიგით წარმოდგენას „გაცრუებული იმედი“: **„პიესა ისე რიგიანად, მწყობრად, გატაცებით შეასრულეს მოყვარულთ, რომ გამოტეხილი ვიყავი, ხშირად ჩვენ პროფესიონალურ არტისტებსაც გაუჭირდებათ ამ გვარად პიესის თამაში – განა ეს გასაოცარი არ არის საქართველოს მივარდნილ კუთხეში? მარტო ის რადა ღირს, რომ ყველამ როლები შესანიშნავად იცოდა და სიტყვებს და ფრაზებს ისე არ ამახინჯებდნენ, როგორც ამას მიჩვეულია ტფილისის სათეატრო პუბლიკა. უხერხულად მიგვაჩნია გარჩევა თითოეული მოყვარულის თამაშისა, მაგრამ იმას კი ვერ დაგიმალავთ, რომ ზოგიერთის თამაში თითქმის ხელოვნური იყო. სწორედ მოსალოცია აქაური ქართველობა, რომ თავის შორის ასეთი გუნდი მოეპოება, მერმე ისიც სიყვარულით გამსჭვალული კარგისა და საეროვნო საქმისადმი“ *(გაზ.ივერია, 1902:#277*).**

ალექსანდრე ფრონელის ასეთი აღფრთოვანება, იმავდროულად, ახალციხის თეატრის დიდი აღიარებაც იყო.

ილია მაისურაძის მიერ ასევე შესწავლილია გამოჩენილი დრამატურგის ნიკო შიუკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მესხეთის კულტურულ ცხოვრებაში და ჩამოსულ მსახიობთა შორის აქტიურობით გამოირჩეოდა. 900-იან წლებში იგი ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად მუშაობდა. ამასთანავე, აქტიურად იყო ჩაბმული ახალციხის თეატრალურ ცხოვრებაში. კერძოდ, იგი ხელმძღვანელობდა დრამატულ დასს. მისი, როგორც დრამატურგის მოღვაწეობა, სწორედ ახალციხის თეატრში დაიწყო. აქვე დაიწერა და დაიდგა მისი პირველი პიესა „გამხმარი ფოთოლი“. ამ პიესის გაგრძელებას წარმოადგენდა „მეგობრობა“, რომელიც ისევ ახალციხის დასმა განახორციელა და ა.შ.

ილია მაისურაძის მიერ ნიკო შიუკაშვილის შესახებ მოძიებული საინტერესო მასალები დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. ერთ-ერთ წერილში – **„გამოჩენილი დრამატურგი, პედაგოგი და მოღვაწე – ნიკო შიუკაშვილი“ ვკითხულობთ: „პირველი წარმატებით გამხნევებულმა ახალციხეშივე ყოფნისას ზედიზედ დაწერა სხვა სპექტაკლებიც: „მეგობრობა“ („გამხმარი ფოთლის“ გაგრძელება) „სულელი“, „ციცინათელა“, „მთის ზღაპარი“, „ბერიკაობა“ და ა.შ. ნ.შიუკაშვილმა დაწერა 30 დასახელებული ნაწარმოები. ილია მაისურაძის მიერ მოძიებული მასალები ცხადყოფს, რომ ნიკო შიუკაშვილმა, რომელიც იმ დროის ცნობილი დრამატურგი გახლდათ, როგორც დრამატურგმა პირველი ნათლობა ახალციხის თეატრის სცენაზე მიიღო“.**

ილია მაისურაძის ფონდში – ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მასალებში, – ასევე ინახება ვრცელი ინფორმაცია ცნობილი მესხი დრამატურგის იაკობ ლაზარაშვილის შესახებ. შესწავლილი აქვს მისი ბიოგრაფია და როგორც დრამატურგის მოღვაწეობა. მან, ზაქარია ჭიჭინაძესთან და კონსტანტინე გვარამაძესთან ერთად, დიდი ძალისხმევა გამოიჩინა პირველი მესხი დრამატურგის წარმოსაჩენად. თუმცა, იგი, როგორც დრამატურგი, არ არის ცნობილი, მაშინ, როდესაც მისი პიესები წარმატებულად იდგმებოდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართული თეატრების სცენებზე, ქართველი მაყურებელი იყო აღფრთოვანებული და კმაყოფილი, დღეისათვის ქართველი საზოგადოება არ ფლობს ინფორმაციას მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ილია მაისურაძის ფონდში, გარდა წერილობითი მასალებისა, დაცულია მესხეთის თეატრში სხვადასხვა დროს დადგმული წარმოდგენების აფიშები და ფოტომასალა როგორც ახალციხის თეატრალური დასის, ისე თეატრთან დაკავშირებულ მოღვაწეთა ფოტოები, რითაც შესაძლებელი გახდა თეატრის ისტორიის სრული წარმოჩენა. მის ხელნაწერთა ფონდში ასევე დაცულია მდიდარი მასალა არამარტო ძველი, არამედ, საბჭოური პერიოდის მესხეთში დრამატული თეატრის ფუნქციონირების შესახებ.

ღვაწლმოსილი მეცნიერისა და მამულიშვილის დაინტერესება ქართული და მესხეთის თეატრით, იყო როგორც პროფესიული, ისე მოქალაქეობრივი. იგი მუშაობდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს წევრად. აქედან გამომდინარე, მიაჩნდა, რომ თეატრის წინაშე იყო მრავალი პრობლემა მოსაგვარებელი. მას უნდა უზრუნველეყო არამარტო მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, ასევე ქართული ენის სიწმინდის დაცვაც: **„დედაენის დაცვისა და განმტკიცების საქმეში ქართულ თეატრს ჭეშმარიტად დიდი ადგილი უჭირავს, ვინაიდან სწორად და მკაფიოდ წარმოთქმული სიტყვის გარეშე თეატრის სიცოცხლე წარმოუდგენელია.“**

ილია მაისურაძის მხრიდან მესხეთის თეატრით დაინტერესება იყო პიროვნულიც. რამდენადაც იგი ამ კუთხის ღირსეული შვილი იყო. იგი გახლდათ ცნობილი მესხი განმანათლებლის – ივანე გვარამაძის შვილიშვილი.

ამრიგად, ილია მაისურაძემ თავისი მოღვაწეობითა და მასალების მოძიებით, უდიდესი სამსახური გაუწია როგორც საერთოდ ქართულ თეატრს, ისე მესხეთის თეატრსაც. რამდენადაც მის ფონდში ინახება უნიკალური და მდიდარი მასალა, იგი შეიძლება მიჩნეული იქნას მესხეთის თეატრის მემატიანედ.

ნატო ყრუაშვილი

თარგმანები

ჟორა სნხჩიანი

ესკიზი

დაისი, ჯერ კიდევ შეუმშრალი
სურათის მსგავსი,
ადგილ-ადგილ ფერმკრთალი,
ადგილ-ადგილ ჩამუქებული,
ზაფხული სულის მღაფავი და
ჯერ უღონოა,
მოწყენილი შემოდგომა,
ქარი, ძალაგამოცლილი და
მიხვეულ-მოხვეული მაღლობი,
ჰორიზონტს მიღმა უპატრონო
ცხენის ხვიხვინი,
ბალახზე – ჩაფერფლილი კოცონი,
მიმოფანტული რბილი ნაცარი.
შეისვენე, სულ ცოტა ხანს შედექი მაინც,
იქნებ, ერთი სხივი მაინც გამობრწყინდეს, –
პატარა, თბილი, იმედიან ცის
ნაპერწკალი.

***

ამსხვრევენ, ანაწევრებენ, ანაწილებენ,
ამტვრევენ, ანგრევენ, სწვავენ
ამ პატარა, მოქანცულ ქვეყანას.
ჯოჯოხეთის ზარ-ზეიმია ირგვლივ,
გონწასული ურჩხული ბობოქრობს,
იბრძვიან სიკვდილი და ჯვარი.
მოხუცთა და ქვრივთა ტირილი, ობლები,
ძაძებით შემოსილი ცა და დედამიწა, –
ბუნების შემკრთალი თვალი.
და ირგვლივ გვამების სუნი შესაზარი
და თითქმის კართან მრისხანება
უფლის მოსილი.
და უცქერს ამას საუკუნე
სმენადახშული...

მე და შენ

ჩემო ბობოქარო სულო,
ამ არარაობად ქცეულ ქვეყანაში,
ხრიკების ქვეყანაში,
მარტონი შემოვრჩით ერთმანეთს
პირისპირ
ისევ მე და შენ.
მოვარდნენ და მოგვატყუეს,
დაგვკოდეს და წავიდნენ,
დაჭრილი და ცრემლით ნასეტყვარი
შევრჩით მე და შენ.
არავინ გვიფარავდა,
დაგვიხურეს კარები,
ბედისგან დასჯილნი
ვეყარენით გათოშილნი.
ნუ წახვალ,
ჩემი სხეულიც ხომ ის შენი სახლია,
ვცხოვრობ თუნდ უღონოდ
მე შენი სიცოცხლით.
ჩემო ბობოქარო სულო,
ათასჯერ ნაგვემო ჩემი გულისთვის,
მაწოვარ დედად იქეც,
რომ ვიცოცხლოთ ერთად
მე და შენ.

***

ჩემს ფანჯრებს იქით,
ზაფხულია ღონემიხდილი,
თანდათანობით გამკრთალებულ
ფერებთან ერთად,
ბაღის კიდესთან განშორების
ისმის სიმღერა,
შემოდგომა კი
მოდის ფრთხილად და საიდუმლოდ.
ისე ვით სხეულს
გამჭოლავი დამივლის ჟრუოლვა.
ჩემს მშფოთვარე ზაფხულს,
ფხიზლად მდგარო ალვის ხეო,
ვიცი, მარტოდ ხარ,
შენთვის მარტოდ და უხმოდ ნაღვლობ.

ამ დილას

აღდგომის სუნთქვაა დღევანდელი დილა,
გადაღლილ ღამის მოჩვენებათ
შემცვლელი.
განმწმენდი, მოზიარე და თან გამკურნავი.
სიცოცხლეს რომ აფხიზლებს ისეთი დილა
ძე კაცის ქვეყნად მოვლინების
მაუწყებელი...
უმანკო სახით იცქირება
დღევანდელი დილა,
ჩვილის ვარდფურცელა ბაგეზე მიკრული
ღიმილის სხივია დღევანდელი დილა,
იმგვარად ლმობიერი და იმგვარად
მომხიბლავი,
იმედიანი და ნათელ სხივკაშკაშა,
სულის მალამოდ ანთებული ვით
კელაპტარი.
სიყვარულის ბოძება და სიყვარულის ჟამი.
ჩემი სულის განახლების აფოთლილი
ნატვრა,
აი, ჩემი ცხოვრების განახლების
გულსათნო დილა.

სომხურიდან თარგმნა
დავით შემოქმედელმა

"ლექსი, სრული დასაყრელები"!

არტემ აკოფაშვილი

ჩემი ისტორია

ყველა ჩვენ დროის ბოვშვები,
ვიყავით ბედით დამწვარი,
სწავლისთვის მოწყურებული
ვის ესმის ჩვენი ამბავი.
თურქთაგან შევიწრებულსა
ღამეც კი აღარ გვეძინა,
საწერი კალმის მაგივრად,
ჩვენ ხმელი ჯოხი გვეჭირა.
მივატოვებდით სახლებსა,
თავს სად რას შევაფარებდით,
ნაწილი უღრან ხევებში,
ცას საბნად დავიფარავდით.
ასე წავიდა ის დრონი,
იყო ტანჯვა და გალია,
ბევრმა ვერ შეძლო ეს ტანჯვა,
ზოგმაც კი სული დალია.
ხშირად ჩვენ მინდვრად ვათევ-
დით,
ხან კავი ხელით გვეჭირა,
ტანჯვით და შრომით დაღლილებს
გუთანის კვალში გვეძინა.
.
ათას ცხრაას თვრამეტ წელსა
სული მოვიდა ყელშია,
კაცობრიობამ არ ნახის,
რაც ვნახეთ ჩვენ იმ დროშია.
იმ დღეს, საღამო პირასა,
თურქეთი შემოდიოდა,
სოფელი ყველამ დატოვა,
ხმა აღარ გამოდიოდა.
მამამ უთხრა თავის ძმასა,
ცრემლით ნუ ამიმღვრევ თვალსა,
ცოლ-შვილი ვალეს გაიყვა,
შეახიზნე ნათესავსა.
– ოჰ, რას ამბობ, ჩემო ძმაო,
ახლა ხომ საღამო ჟამია,
აგერ, სოფელში შემოდის
თურქთა ურიცხვი ჯარია.
– რასაცა გეტყვი, გაიგე,
და იარაღი აიღე,
ცოლ-შვილი ურემზე დაისვი,
წამალი ბევრი წაიღე.
ამ ძმების დავა-კამათში
დიდი დრო გადიოდაო,
საღამო ახლოვდებოდა,
და მზე კი ჩადიოდაო.
– შვილო, არტემა, აქა ხარ? –
ნუ გეშინია მტრისაო,
კარგი ხარები შეაბი,
ეს დასვი ურმის ყელსაო.
ასე დავტოვეთ ოჯახი,
ჩავედით სოფლის ბოლოსა,
მთელი ამ ხალხის ცრემლები
ნაკადულს ჰგავდა, – წყაროსა.
ორღობე გამოვიარეთ,
მოვედით ხოდაბუნსაო,
თურქები შემოგვეყრება
და ის მოგვიკლავს გულსაო.
კორაშნის სერზე ავედით,
იქ კი დიდი დრო გადისო,
სამარილეზე გავხედეთ,
თურქეთის ჯარი მოდისო.
ერთი ურემით მივდივართ,
სხვა არვინა გვყავს მამშველი,
ეს ბიძაჩემი მოგვყვება,
ის არის ჩვენი დამცველი.
თურქეთის ჯარმა შეგვხედა,
და აგვიტეხა სროლაო,
გზა უნდა გადაეკეტათ,
ტყვეთნა წავესხით ყველაო.
ბიძაჩემი კი ამბობდა,
რა ვუყოთ ამ წვრიშვილსაო,
თურქებთან ბრძოლა, შიშებმა
ყველა დაყარა ძირსაო.
ვალემ შეკრიბა სულ ყველა
რაც მამაკაცი ჰყავდაო, –
ისე დაიცვა სოფელი,
ციხესიმაგრეს ჰგავდაო.
ამ ჩვენსა გაჭირვებასა
იქიდან ყველა ხედავდნენ,
რომ ჩვენი თავი დაეხსნათ
შიშითა ვერას ბედავენ.
ვალის წყლის აქეთ ჩვენა ვართ,
ვალის წყლის იქით – ისინი,
ურმის კოფოზე ვსტირივართ, –
აბა, თუ ვინმე გვიშველის?
სტეფანე ერქვა სახელად,
ლალობათ ლაპონიაო,
თურქეთის ჯარი ერთ ურემს
ბუზივით დაჰფენიაო.
ბიჭო, წამოდი, მომყევი,
ეს ჩვენი ვალი მოვიხსნათ,
ის ხალხი გასაჭირშია,
იქნებ ვუშველოთ, დავიხსნათ.
ქართველი ქალი ტიროდა,
ცრემლმა მატკინა გულიო,
ნუთუ ექნება ჩვენს ტანჯვას
ოსდესმე დასასრულიო?
დღე-ღამე ვძივართ ბნელ კუთხეს,
მოგვნატრდა მზისა ნათელი,
ნეტავ ოდესმე ყოფილა,
ხალხის წამება ამდენი?!

ადიგენი, სოფ. უდე

გარდაიცვალა... არა, მართლაცდა მოკლე წუთის სოფლიდან ვრცელ სოფელში – უკვდავებაში გარდაისახა შერმადინ ქალდანი!

კაცი პოეტი! კაცი სინდისი, უბრალოდ – კაცი!!!

მართალია, შენი დარი ადამიანებისთვის სიკვდილი არ არსებობს, მაგრამ, მაინც ძნელია უშენობა...

ეს ყოველგვარი პათეტიკის გარეშეა. შენ მეტი გეკუთვნის, მაგრამ ზოგჯერ სიტყვაც კი უძლურია...

მშვიდობით იყავ და დროებით ძმაო!

ეთერ ზარიძე, ელდინო საღარაძე, დალი ყარაულაშვილი, მარინა თეძთუმანიძე, თამარ ლომიძე, ძეთევან დოლიძე, თამარ ფარჩუკიძე, მაყვალა ლიპარტელიანი, ზურაბ ძოგალია, ამირან ჯმუხაძე, მერაბ სადღოგელაშვილი, რევაზ აბზიანიზე, მერაბ ბერიძე, ავთანდილ ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გასცდა, გადალახა საზღვარი

გასცდა, გადალახა საზღვარი,
გული გადაევსო ნაღველით,
გლოვობს ჯიშს-ჯილაგი ქალდანის,
სულში ჩაეღვარა ნათელი.
გასცდა, გადალახა საზღვარი,
ალბათ, შეუერთდა ვარსკვლავებს,
ცაში შეეგება მაყარი,
უფალს მისი მოსვლა ახარეს.
გული ნაფლეთ-ნაფლეთ გვაჩუქა,
ზეცამ გასვლის წამი აცნობა,
თავზე დაეღვარა ცა შუქად,
მიწას დაუტოვა კაცობა.
გული გაუჩერა ტკივილმა,
სული მისი გახდა ცის მგზავრი,
ალბათ, საუფლოდან ჩივილად
ლოცვებს კვლავ ლექსებად გვიგზავნის.
იშლება ქელეხის სუფრა და...
ნეტავ, შერმადინი სად არის,
მას ხომ თამადობა უყვარდა,
ტირის მწერლის სახლთან ჭადარი.
ჰეი, ძმებო! ჩვენო სვანებო!
ზეცამდე ასწიეთ ყანწები,
თმები გაიშალეთ ქალებო!
შერმადინისთანა კაცები
არა! არ კვდებიან, ცოცხლობენ,
უკვდავნი რჩებიან მარადჟამს,
ერწყმიან მითებსა და მოთხრობებს,
დრო მას ვერასოდეს დამარხავს.
ჟამი მაღალ ძეგლებს აუგებს,
ძეგლებს დაუნგრეველს, ასწლიანს,
გზებზე ია-ვარდი დაუგეთ,
ის ხომ ბუმბერაზი კაცია.
გასცდა გადალახა, საზღვარი,
სული, სული ჰქონდა ბროლისა,
შესვით მოგონება ქალდანის,
ხსოვნა! უპირველეს ყოვლისა!

დალი ყარაულაშვილი

მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია, მადლობას უხდის შპს „არალის“ დირექტორს, ბატონ **ოთარ თათეშვილს** ფინანსური დახმარებისთვის.

ჰეტრეს სარდაფი

„საქონელი“

ლუბა ქეშეშევა ახალციხის სატყეო მეურნეობაში „დისპეტჩერად“ მუშაობდა. ქვრივი ქალი იყო. დილაადრიან მოდიოდა სამსახურში, მძღოლებს საგზურებს უწერდა და სახლშიც ადრე ბრუნდებოდა.

ხუთშაბათი დღე იყო. მძღოლები ლუბას ელოდნენ, ლუბა კი არ ჩანდა. ამასობაში დირექტორიც მოვიდა. უსაქმურად მდგომ მძღოლებს გადახედა და უსაყვედურა, სამუშაოზე დროზე რატომ არ გახვედითო.

– ლუბას ველოდებითო, – უთხრეს მძღოლებმა.

კარგა ხნის დაგვიანების შემდეგ, ლუბაც გამოჩნდა და პირდაპირ დირექტორის კაბინეტში შევიდა, დაგვიანებისთვის ბოდიშის მოსახდელად.

– მაპატიე, ნიკალაევიჩ, დროზე ვერ მოვედი, საქონელმა არ გამომიშვაო.

სატყეოში ერთი მძღოლი ჰყავდათ, ზედმეტ სახელად „საქონელს“ ეძახდნენ, – უხეში, დაუფიქრებელი კაცი იყო, სულ იგინებოდა. დირექტორს ეგონა, ალბათ წუხელის ესენი ერთად იყვნენ, დილით თვითონ წამოვიდა სამსახურში, ლუბა კი გზაში მიატოვაო.

დირექტორმა თავისთან დაიბარა „საქონელი“ და უსაყვედურა: შე კაი კაცო, ქალის გზაში მიტოვება როგორ შეიძლება, შენ რომ მოდიოდი სამსახურში, ის ქალიც წამოგეყვანაო.

ლუბა მაშინვე მიხვდა, დირექტორი რას ფიქრობდა მასზე და საშინლად აწიწმატდა: მე ამ „საქონელზე“ კი არა გელაპარაკები, არამედ, ნამდვილ საქონელზეო.

თურმე მეურნეობის მსხვილფეხა პირუტყვი იალაღებისკენ მიჰყავდათ და გზა გადაუკეტიათ.

დირექტორი მიხვდა თავის შეცდომას, ბევრი უბოდიშა ლუბას და ძლივს შეირიგა.

ნოდარ ასპანიძე

დამფუძნებლები: შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის სახელით და კერძო პირის სტატუსით **ავთანდილ ბერიძე;**
საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება,
ა(ა)იპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა „კოლორ-პრინტში“
მისამართი: ქ. თბილისი,
საბურთალოს 43ა
ტელ: 2–93–27–66

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, სერგო მელიქიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 99 97 95524,
პასუხისმგებელი მდივნის – 99 23 35584;
lit_meskheti@yahoo.com

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში